ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 088 (12 463) 15 აპრილი სამშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა





ნაკრების უსახურმა თამაშმა ეროვნული სტადიონიც დააზარალა

3

მინდა, მალე დავბრუნდე

ინტერვიუ რონალდოსთან

9

# შეხვედრები ევროპაში

## ვის ელაპარაკა ახალკაცი





ფოლკერ ფინკე



ლუის ვან გაალი



ჟაკ სანტინი

ჩვენ ვეძებთ მწვრთნელს 2

## ოსკარი ზირაქას



ლეგიონერები 11

## ასათიანი ფორმაში რომ იქნება...



ლეგიონერები 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დავით ინასარიძესთან

# ვინაა ახალციხელთა ტიგანა?

## მეგოლე ნარინჯისფრებიდან

**ბოლოს** ჩატარებული ორ მატჩში ლიგის დებიუტანტის, ახალციხის "მესხეთის" ნახევარმცველმა დავით ინასარიძემ ორი დუბლი მიითვალა. ნარინჯისფრად მოსილმა "მესხებმა" "ბორჯომი" შინ სწორედ ინასარიძის ორი გოლის წყალობით დაამარცხეს. "მერანთან" სტუმართა მიერ გატანილი ოთხი გოლიდან ორი "მესხეთის" 5 ნომრიანმა მეგოლემ მიითვალა.

ბუნებრივია, ეს მოვლენა აღნიშვნის ღირსია და დავით ინასარიძეს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**- საუბარი "მერანთან" ბოლოს ჩატარებული მატჩით დავიწყოთ.**

- "მერანი" გასავარდნთა სიაშია და ბუნებრივია, დაძაბულ თამაშს ველოდით. თბილისელებმა მართლაც აგრესიულად დაიწყეს თამაში, მაგრამ ტაიმის შუაწელში უკვე 2:0-ს ვიგებდით. ამ ორი გოლით "მერანის" წინააღმდეგობა გავტეხეთ, შესვენებამდე კიდევ ერთი ბურთი გავიტანეთ და ამით თამაშს საბოლოოდ დავუსვით წერტილი.

**- ერთი გოლი პენალტით გაიტანე, გუნდში შტატიანი პენალტისტი ხარ?**

- დიახ, ასეა. თერთმეტრმეტრიანებს ყოველთვის მე ვასრულებ. მართალია, პენალტის დარტყმას დიდი ნერვები უნდა, მაგრამ ეს საქმე კარგად გამომდის და გუნდშიც ყველა მენდობა.

**- ბოლო ორ მატჩში ორი დუბლი...**

- მოედანზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები. მუდამ იმას ვფიქრობ, გუნდს მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო და ბოლო ორ შეხვედრაში ეს ჩინებულად გამომივიდა.

**- მიმდინარე სეზონში სულ 8 გოლი დაგიგროვდა. ასეა?**

- დიახ, აქედან სამი დუბლი შევასრულე -"სპარტაკთან", "მერანთან" და "ბორჯომთან".

**- ტიგანას რატომ გეძახიან?**

- ეს მეტსახელი ბავშვობაში შემარქვეს. იმიტომ, რომ მუქი ფერის კანი მაქვს. თან საფრანგეთს ვგულშემატკივრობ... და კიდევ ერთი, ბავშვობაში ტიგანა მომწონდა. ეს მეტსახელიც მაშინ შემარქვეს და შემრჩა.

**- "მესხეთი" სულ ნარინჯისფერი მაისურით ასპარეზობს. რატომ?**

- ადრე საქართველოს ყველა კუთხეს თავისი დროშა და გერბი ჰქონდა. როგორც ვიცი, ნარინჯისფერი მესხეთის დროშის ერთ-ერთი ფერია და ჩვენი კლუბის ერთი ფერიც ამიტომაა.

**- ასაკოვანი ხარ და "მეორე სუნთქვა" გაგეხსნა?**

- 32 წლის ვარ და ასე გამოდის. კარგად აწყობილ და შეთამაშებულ გუნდში მეც მსიამოვნებს თამაში და უფრო შედეგიანიც ვარ. 2-3 წელი კიდევ ვითამაშებ. რეჟიმს ვიცავ, არ ვეწევი, არ ვსვამ, ასე რომ, პრობლემა არ შემექმნება.

**- უმაღლეს ლიგაში ადრეც გითამაშია. მაშინაც შედეგიანი იყავი?**

- ადრე რუსთავის "გორდაში" გამოვდიოდი. იმ სეზონში 6 გოლი გავიტანე. ამჯერად "მესხეთში" ვარ და უფრო შედეგიანად ვასპარეზობ.

**- გუნდში ვის უგებ უფრო იოლად?**

- გვირჯიშვილთან ერთად წლებია, ვთამაშობ და მას უკეთ ესმის ჩემი. მას გარდა, კარგად ვაწყობ თამაშს კოშკაძესთან, თაყაძესთან... კიკნაძე დაგვემატა, 21 წლისაა და საკმაოდ ნიჭირი ფორვარდია.

**- "მესხეთი" რა მიზნისთვის იბრძვის?**

- ჩვენ ხუთეულში გვინდა მოხვედრა. ლიგის დებიუტანტი გუნდის პირობაზე ეს მიზანი ამბიციურად მოჩანს, მაგრამ არარეალური სულაც არაა. თავად განსაჯეთ, მე-6 ადგილზე უკვე ვართ. ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ დარჩენილი 5 ტური მაქსიმალურად გამოვიყენოთ და ხუთეულში მოვხვდეთ.

**დავით ცაბაძე**



დავით ინასარიძე

ეროვნული ნაკრები

# ახალკაცი უკვე ორ მწვრთნელს შეხვდა

## ხვალ-ზეგ კიდევ სამ მწვრთნელს გაესაუბრებიან



ნოდარ ახალკაცს რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს

**ფეხბურთის** ფედერაციის ხელმძღვანელობა ეროვნული ნაკრების თავკაცის შერჩევა-მოძიებისთვის პრაქტიკულ ქმედებაზე გადავიდა. როგორც შევიტყვეთ, ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** ორ მწვრთნელს უკვე შეხვდა. თუმცა ქართული ფეხბურთის თავკაცები მწვრთნელთა ვინაობას ჯერ არ ახმაურებენ. ეს ცნობა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემაც** დაგვიდასტურა.

*"ნოდარ ახალკაცი გერმანიაშია და უკვე შეხვდა ორ მწვრთნელს. მომიტევეთ, მაგრამ იმ მწვრთნელების გვარებს ვერ დაგისახელებთ. ეს თავად მწვრთნელების თხოვნაცაა და გარდა ამისა, არ გვინდა მათი ვინაობის გახმოვანებამ საქმეს ავნოს"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა გოგი ქავთარაძემ.

რაზე იყო საუბარი ახალკაცისა და მწვრთნელების შეხვედრისას?

*"მწვრთნელებმა თავისი პირობები თქვეს, ჩვენ ჩვენი გავაცანით. მოიფიქრებენ და პასუხსაც გვეტყვიან. მოდით ასე ვთქვათ, ამ შეხვედრაზე რამე კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიღებულა და ეს არც იყო ჩაფიქრებული".*

რაც შეეხება სხვა კანდიდატურებს...

*"მიმდინარე კვირის ბოლომდე კიდევ გვექნება შეხვედრები. 2-3 მწვრთნელს შევხვდებით. თუმცა მათ გვარებსაც ვერ დაგისახელებთ"*, - აღნიშნა ქავთარაძემ.

საინტერესოა თუ როდის გაცხადდება ეროვნული ნაკრების მწრთნელ-კანდიდატების ვინაობა. ამ საკითხზე გოგი ქავთარაძემ შემდეგი გვიპასუხა:

*"მომდევნო კვირის ბოლოს, მაქსიმუმ 10 დღეში, ჩვენ 2-3 კანდიდატურას გავახმოვანებთ. ამ დროისათვის მწვრთნელებთან უკვე დასრულების სტადიაში იქნება მოლაპარაკებები. ჯერჯერობით შეთანხმებული არაა, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ ნაკრების მწვრთნელობის რომელიმე კანდიდატთან მოლაპარაკება თბილისშიც გაიმართოს. მაისის დასაწყისში თუ არა, შუა რიცხვებამდე მაინც ეროვნულ ნაკრებს ახალი თავკაცი ეყოლება".*

მართალია, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნაკრების მწვრთნელობის არც ერთი კანდიდატი დაგვისახელა, მაგრამ ჩვენ გარკვეული ცნობები მოვიპოვეთ. როგორც გავიგეთ კანდიდატებს შორის არის საფრანგეთის ნაკრების თავკაცი **ჟაკ სანტინი**, ასევე ირანის ნაკრების ყოფილი თავკაცი **ბრანკო ივანკოვიჩი**. კანდიდატებს შორის კვლავ რჩებიან მოქმედი კონტრაქტის მქონე მწვრთნელები, "ალკმაარის" თავკაცი **ლუის ვან გაალი** და დანიის ნაკრების მესაჭე **მორტენ ოლსენი**. სიაში ასევე რჩება, "ფრაიბურგის" ყოფილი თავკაცი **ფოლკერ ფინკე**.

იმასაც ვწერდით, რომ **გია გურული** ჟაკ სანტინის უნდა დაკავშირებოდა. გუშინ შევიტყვეთ, რომ გურული ფედერაციის ხელმძღვანელებს მასთან შეხვედრის თაობაზე პასუხს დღეს-ხვალ ეტყვის.

**დავით ცაბაძე**

# სანდრო ლივერპულში

**მამა** ჩაუჯდა ინტერნეტს, 8 წლის შვილის მონაცემები გააგზავნა და მონვევაც მოვიდა - ასე აღმოჩნდა 35-ე სკოლის მოსწავლე **სანდრო ქურდაძე** "ლივერპულის" საფეხბურთო აკადემიაში.

სანდრო ხუთი დღით იყო "ლივერპულში" და იქიდან ხელმეორედ დაპატიჟებას ელოდება. თქმა რად უნდა, ძალიან კმაყოფილია, იქაურებმა ის "ლივერპულის" ერთ-ერთ პრემიერლიგურ მატჩზეც წაიყვანეს.

პატარა ბიჭმა უკვე ბევრი ნახა. ახლა ისევ სწავლა და ბურთის დევნა თბილისში. ეს ფოტო კი "ლივერპულის" აკადემიაშია გადაღებული, სადაც ბავშვები ცხრა მთასა და ცხრა ზღვის იქიდანაც ჩადიან. ილბლიანი სანდრო ზედა რიგში მარჯვნიდან მესამეა."ლივერპულში" მისასვლელად მას 35-ე სკოლამაც გაუწია რეკომენდაცია.



დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დილომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# რატი, რომლის ხელობა რეტის დასხმაა



ფეხბურთში ბევრი ლეგენდაა. ზოგი გამოგონილია, ზოგი გაბუქებული, ზოგიც ნამდვილი.

ნამდვილი ამბავია: **პაოლო როსიმ** ორწლიანი დისკვალიფიკაცია 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორი თვით ადრე მოილია და მუნდიალზე მთები გადააგორა.

ნამდვილი ამბავი პატარა საქართველოშიც შეიძლება მოხდეს - **რატი ალექსიძე** ფეხბურთს ოთხწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და ახლა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

...თერთმეტი წლის წინათ რატი ალექსიძე პირველად მივიდა ლონდონის "ჩელსიში". ის მაშინ სტაჟირებაზე იყო იქ. "ჩელსის" თავმჯდომარე **კენ ბეითსმა** ხელი გადახვია რატის და "სტემფორდ ბრიჯზე" სტაჟირებაზე მყოფ კიდევ ერთ დინამოელ **არჩილ სახვაძეს** - ის ფოტო მაშინ "ლელოშიც" დავბეჭდეთ.

2000 წლის იანვარში კი 21 წლის ალექსიძე "ჩელსიში" ჩაირიცხა - ძალიან მჭექი ამბავი იყო.

ფირს მაკრატლით ჭრიან და მონტაჟი კეთდება. ალექსიძე ფეხბურთიდან წავიდა და დაბრუნდა - ყველაფერი გრძელდება.

*"ემოციებისგან ჯერაც ვერ დავიცალე, თითქოს ყელში მაწვება რაღაც. ოთხი წელი გამიცდა და მინდორზე გასვლისას ბალახის სუნი რომ ვიგრძენი, გამაჟრჟოლა, ემოციებით ძალიან დავიტვირთე. არც ბიზნესში წასვლა მდომებია და არც სხვა რამე, ყოველთვის ფეხბურთის თამაში მინდოდა. ვნახოთ, იქნებ კიდევ ვითამაშო ფეხბურთი"*, - გვითხრა ალექსიძემ, რომელმაც მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის 6 მატჩში 3 გოლი გაიტანა.

რატი ახლა თბილისის "ლოკომოტივის" ფეხბურთელია, რომელიც ჩემპიონატში მე-11 ადგილზეა და უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. ალექსიძის გარდა "ლოკომოტივმა" კიდევ შეიმატა სახელიანი ხალხი - **ვიტალი დარასელია** და **ლევან ცქიტიშვილი**. ალბათ წარმოუდგენელია, ასეთი გუნდი უმაღლესი ლიგიდან რომ გავარდეს.

*"ახლანდელ და უწინდელ ეროვნულ ჩემპიონატებს შორის დიდი სხვაობაა. გული ძალიან მწყდება, ეროვნული ჩემპიონატის დონემ რომ დაიწია, რაც მთავარია, მკვეთრად იკლო გულშემატკივართა რაოდენობამ. იმედია, "ლოკომოტივის" საშინაო მატჩებზე ახლა ბევრად მეტი მაყურებელი მოვა"*, - ვარაუდობს ალექსიძე.

"ლოკომოტივის" მწვრთნელები **გიორგი კიკნაძე** და **ზაზა ზამთარაძე** რატის მეგობრები არიან, თუმცა ალექსიძემ გვითხრა, ვარჯიშებზე და თამაშებზე, ანუ საქმეში, ჩვენი მეგობრობა სულაც არ აისახებაო.

*"სანამ "ლოკომოტივში" მივიდოდი, ორი კვირით სომხურ "მიკას" გავყევი შეკრებაზე თურქეთში. ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ორკვირიანი მომზადება - ასეთი კონდიციით მივედი "ლოკომოტივში". რა თქმა უნდა, ჯერ ვერ ვიქნები საუკეთესო ფორმაში, მაგრამ ყველაფერი ნორმალურად მიდის, "ლოკომოტივი" ძალიან შეკრული, მეგობრული გუნდია".*

მაინც, რა მოხდა, რატომ გამოტოვა ალექსიძემ ოთხი წელიწადი?

*"ჯერ "როსტოვში" ამერია საქმეები, მერე მამაჩემი გარდაიცვალა, შემდეგ ავარიაში მოვყევი. ყველაზე დიდი სტრესი მამაჩემის დალუპვა იყო. როცა მანამდე ჩემი ძმაკაცი თორნიკე რუხაძე გარდაიცვალა, ვერ წარმომედგინა, ამაზე უარესი რა უნდა მომხდარიყო ასე ძალიან რა მატკენდა გულს. მამაჩემის ამბავის შემდეგ ძალიან ავირ-დავირიე, "როსტოვმა" კი მამაჩემის ორმოცზეც არ გამომიშვა თბილისში. ჰოდა, წამოვედი "როსტოვიდან". კლუბი კარგა ხანი სატრანსფერო ფურცელს არ მაძლევდა. მერე დაბრუნებას მთავაზობდნენ. ამ გუნდისკენ გული აღარ მიმიწევდა. შეცდომა დავუშვი, "დინამოდან" იქ რომ წავედი, ჯობდა ნაკლებ პირობებზე ევროპაში წავსულიყავი. შეცდომა მერეც დავუშვი - მამის დალუპვის მერე მეგონა, ფეხბურთს ველარ ვითამაშებდი".*

ალექსიძე 3 აგვისტოს გახდება 30 წლის. ფეხბურთელისთვის ეს ოპტიმალური ასაკია, ხოლო ოთხწლიანი უქმობა როგორ იმოქმედებს მის ორგანიზმზე, ამის თქმა წინასწარ ალბათ არავის შეუძლია.

*"ყველაფერი ჟინით და ფეხბურთში დაბრუნების სურვილით გადავძლიე. რიცა კაცს ძალიან უნდა რაღაცის გაკეთება და ამასთან ახლოსაა, არ არსებობს, ეს ვერ მოახერხოს. ახლა ისეთი შემართებით ვარ, ისევ მიხარია ფეხბურთის თამაში. ასაკი მომემატა, მაგრამ ახლა უფრო მინდა, რაღაცას მივაღწიო. რაც მთავარია, "ლოკომოტივში" ჩემს ძმაკაცებს არ უნდა ვუმტყუნო".*

რატიმ ახლანდელ ეროვნულ ჩემპიონატს გემო კი გაუგო, მაგრამ ყველაზე გემრიელი მატჩი ჯერ კიდევ სათამაშო აქვს.

*"ძალიან მწყურია "დინამოსთან" თამაში, უბრალოდ, ეს ძალიან მაინტერესებს".*

ალექსიძემ საუკეთესო წლები სწორედ "დინამოში" გაატარა "ჩელსიმდე" თუ "ჩელსის" შემდეგ. "დინამო" მისთვის განსაკუთრებულად ძვირფასია, თუმცა...

*"ჩემთვის ყველაზე მაგარი მწვრთნელი რამაზ მუმლაძეა, ის ძალიან კარგი სპეციალისტი და ადამიანია. ყველანაირად ვეცდები, მუმლაძე წლეულს ჩემპიონი გავხადო. რაც შეეხება ივო შუშაკს, ის დიდებული პიროვნებაა და როგორც მწვრთნელი, ბევრს სჯობია".*

მუმლაძე "დინამოს უახლოესი მდევრის, "ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელია. ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში ალექსიძის "ლოკომოტივი" "დინამოს" ხვდება და თუ ქულებს დააკარგვინებს, მუმლაძის გუნდს გაუადვილებს საქმეს.

რატის კი საქმეს ის "ჩელსი" უადვილებს, სადაც სულ სამჯერ ითამაშა და გოლი ვერ გაიტანა...

*"ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული. როცა ღმერთი ასეთ შანსს გაძლევს, მისი არგამოყენება ცოდვაა. ვერ მოვიქეცი ისე, როგორც უნდა მოვქცეულიყავი. "ჩელსიში", ასე ვთქვათ, საკუთარი თავი შემასწავლეს, კარგად ვხედავდი, რა მჭირდებოდა. ამ გამოცდილებას ახლა ვიყენებ და ყველაფერს გავაკეთებ, რათა დედაჩემის, მეუღლის და ორი შვილის გული გავახარო. ახალგაზრდებს კი ვურჩევ, ნურასდროს იქნებიან კმაყოფილნი საკუთარი თავით, იყვნენ თავდამბლები და არ დაანებონ ფეხბურთის თამაშს თავი".*

**დავით თავართქილაძე**

## ეროვნული სტადიონის ზარალი:

# უკვე 10 ათასი სკამი შევცვალეთ

ეროვნული სტადიონი სულ რაღაც წელიწადნახევრის წინათ გაარემონტეს. ხალხი გახარებული იყო, როგორც იქნა, საქართველოს საუცხოო სტადიონი ეღირსა, რომელზეც სტუმრის მიღება შეიძლებოდა. აღარ იყო საბჭოური ნაცრისფერი და ეროვნული არენა მთელი სილამაზით გამოჩნდა.

გვიხაროდა ჩვენ და სტადიონის ამშენებლებსაც, მაგრამ დღეს თავში ხელს იშენენ, რამხელა ხარჯი ავილეთო. სტადიონის აშენებას არ ნანობენ, სხვა რამ ადარდებთ.

საქმე ისაა, რომ რეკონსტრუქციის შემდეგ სტადიონზე დაახლოებით 60 000 ინდივიდუალური სკამი დაიდგა და მათგან 10 ათასი უკვე გამოიცვალა.

ამის შესახებ სტადიონის მთავარი ინჟინერი ბადრი მაჩიტაძე გვესაუბრება:

- სტადიონი 2 სექტემბერს, საფრანგეთთან მატჩით გაიხსნა და მას შემდეგ, აშენებულით გახარება ერთი დღითაც არ დაგვცალდა. ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოს ნაკრები ხშირად აგებს და გამწარებული გულშემატკივრები სკამებს ისეთი ტემპით ამტვრევენ, მალე ალბათ ყველას გამოცვლა დაგვჭირდება.

**- ყველაზე მეტი როდის დაიმტვრა?**

- პირველი მატჩის შემდეგაც არ დააკლეს ხელი, მაგრამ ლატვიის ნაკრებთან წაგება საერთოდ, კატასტროფული შედეგებით შემოგვიტრიალდა –3700 სკამი დაამტვრიეს?! ლამის ყველა მატჩის შემდეგ იმდენი სკამი გვიფუჭდება, რამდენის დამონტაჟებითაც ახალ სტადიონს მივიღებთ. შრომა წყალში იყრება, ფული უაზროდ იხარჯება და ვისი მიზეზით? წაგება ჩვენც გვწყინს, მაგრამ რა ვქნათ, დავანგრიოთ სტადიონი?

**- სულ რამდენი სკამია შეცვლილი?**

- მთლიანობაში 10 ათასი სკამი დაამტვრიეს და სხვა გზა არ გვქონდა, ყველა შევცვალეთ. სტადიონი გამოშიგნული ვერ დარჩებოდა. ჩვენთან ტარდება ყველაზე მნიშვნელოვანი სანაკრებო და შიდა ქართული მატჩები. ბოლოს და ბოლოს, ეროვნულ სტადიონი მოუწესრიგებელი არ შეიძლება იყოს. არ გახსოვთ, რა უპატრონოდ იყო მიგდებული?

**- სტადიონზე ვიდეოთვალი ტყუილად დაამონტაჟეთ? ხომ შეგიძლიათ გაარკვიოთ, ვინ ჩადის ამ ბარბაროსობას?**

- ჩანაწერები პოლიციას გადავეცით, რამდენიმე კაცი დაიჭირეს კიდეც, მაგრამ მაინც თავისას აგრძელებენ. სკამებს ძველებური ენთუზიაზმით ამტვრევენ. არ ვიცი, საქმეს რა უშველის.

**- გამოსავალს რაში ხედავთ?**

- სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავ. უბრალოდ, დროა ხალხი თავად მივიდეს იმ აზრამდე, რომ ეს სტადიონი ეროვნულია, თითოეული ჩვენგანისაა და არა მარტო სტადიონის მეპატრონეების. სტუმრები რომ ჩამოვლენ და ცარიელ ტრიბუნებს დაინახავენ, რა ხასიათზე დადგებიან? თან ვყვებით, ძველებურად რომ აღარ თქვან, სალორეში მივედითო. მარტო დასუფთავებაში დიდი ოდენობის წყალი გვეხარჯება, რაშიც უზარმაზარ თანხას ვიხდით. ამ დროს, ეს ფული სტადიონის კიდევ უფრო კეთილმოწყობას შეიძლება მოხმარებოდა. 10 ათასი სკამით ორ პატარა სტადიონს მოვაწყობდით.

**- სიტყვამ მოიტანა და სათადარიგო სტადიონის რეკონსტრუქციას არ იწყებთ?**

- აქაც გაუთვალისწინებელ პრობლემებს წავაწყდით. ჩვენ გვსურდა 5 ათას მაყურებელზე გათვლილი სტადიონის აშენება, რომლის ქვევითაც, პარკინგს მოვაწყობდით. თუმცა ნახევარი მეტრის გათხრის შემდეგ, გრუნტის წყლებმა ამოხეთქა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, წერეთელზე, ბაზრობის მხარეს დრენაჟის დაგება საჭირო, ამას კი უზარმაზარი თანხა სჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

***P.S.* მდგომარეობის გამოსწორება ისევ და ისევ ეროვნულ ნაკრებს შეუძლია. სწორედ მისი უსახური და უგერგილო თამაშია, ხალხში აგრესიას რომ იწვევს.**



პირვანდელი სახის დასაბრუნებლად სტადიონზე 10000 სკამის გამოცვლა გახდა საჭირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. XXI ტურის მიმოხილვა

# ემოციები და დაბრუნებები



## პენალტების ტური

ერთ ტურში შვიდი პენალტი, მართლაც, მეტისმეტია! თანაც, თითქმის ყველა შემთხვევაში მსაჯების გადაწყვეტილებების სისწორეში ეჭვი არ უნდა შეგვეტანა. სხვა საქმეა, ფეხბურთელებმა რამდენად შეძლეს პენალტების გამოყენება - შვიდიდან სამ შემთხვევაში ხომ მეკარეებმა იყოჩაღეს და თერთმეტმეტრიანი ნიშნულიდან დარტყმული ბურთები მოიგერიეს. თანაც, ვინ ვერ გაიტანა პენალტი - **გივი დიდავამ** და **ზურაბ იონანიძემ**, ქართული ფეხბურთის ორმა დამსახურებულმა ვეტერანმა. ისე, დიდავამ მაინც იყოჩაღა და "დინამოს" ჩინებული მეკარის **დიდიე ოვონოს** მიერ მოგერიებული ბურთი მოხდენილი თავური დარტყმით დაუცველ კუთხეში გადაგზავნა. იონანიძის გაცუდებული პენალტიც არაფერს ცვლიდა - "ზესტაფონი" უკვე ორბურთიანი უპირატესობით ამარცხებდა განახევრებულ-გადახალისებულ "ბორჯომს". აი, ბათუმში კი, საერთოდ, "პენალტების დღე" იყო - სტუმართა კარში ხომ სამი თერთმეტმეტრიანი დაინიშნა! თუმცა **ლაშა ქებაძე** თუ ორივეჯერ ზუსტი იყო, აი, **ირაკლი ცანავამ** უმოტივაციო სტუმართა გუნდის მეკარის მოტყუება ვერ შეძლო. ჰო, მოტივაცია შემთხვევით არ გვიხსენებია - რაც უფრო ახლოვდება ჩემპიონატის ფინიში, ამ სიტყვის მნიშვნელობა უფრო და უფრო აქტუალურ ხასიათს იძენს. ისე, ზოგ გუნდს ვერც გაამტყუნებ- ლოკალური თუ გლობალური მიზანი მიღწეული აქვს და რატომღა უნდა "გაიგიჟოს თავი"?

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 21 | 19 | 0 | 2 | 53-12 | 57 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 21 | 17 | 2 | 2 | 40-10 | 53 |
| 3. ზესტაფონი | 21 | 16 | 3 | 2 | 45-11 | 51 |
| 4. ამერი | 21 | 12 | 2 | 7 | 37-23 | 38 |
| 5. ოლიმპი | 21 | 11 | 4 | 6 | 19-15 | 37 |
| 6. მესხეთი | 21 | 9 | 4 | 8 | 23-23 | 31 |
| 7. ბორჯომი | 21 | 8 | 4 | 9 | 25-26 | 28 |
| 8. მგლები | 21 | 8 | 3 | 10 | 21-22 | 27 |
| 9. სიონი | 21 | 6 | 5 | 10 | 22-30 | 23 |
| 10. სპარტაკი | 21 | 4 | 5 | 12 | 8-23 | 17 |
| 11. ლოკომოტივი | 21 | 4 | 5 | 12 | 14-26 | 17 |
| 12. მერანი | 21 | 5 | 1 | 15 | 11-39 | 16 |
| 13. ბათუმი | 21 | 4 | 3 | 14 | 12-37 | 15 |
| 14. დილა | 21 | 1 | 5 | 15 | 8-42 | 8 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| ხუციშვილი (დინამო) | 12 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 8 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია/ზესტაფონი) | 8 |
| გ. ნოდ. ქელიძე (ზესტაფონი) | 8 |
| ინასარიძე (მესხეთი) | 8 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 7 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| ჩასემი (სიონი) | 7 |

## თოთხმეტსერიანი ფილმის დასასრული

პირველი წრის ბოლოს, თბილისის "დინამომ" რომ "ზესტაფონს" მოუგო, მაშინ დასრულდა **თემურ მახარაძის** გუნდის ერთწლიანი წაუგებელი სერია ჩემპიონატში. სამაგიეროდ, ახალი "სერიალი" დაიწყო - "ვიტ ჯორჯია" ყველა მეტოქეს მუსრავდა და ამ ტურამდე ზედიზედ 14 გამარჯვებითაც იწონებდა თავს, მაგრამ სერიას გაგრძელება აღარ ეწერა. **კობა ჟორჟიკაშვილის** ახალგაზრდულმა "სპარტაკმა" იმდენი. მოახერხა, რომ "ვეტერინარებს" ნამეტნავად ძვირფასი ქულები დააკარგვინა. მტკიცება არ სჭირდება იმას, თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა ამ შეხვედრას **ნესტორ მუმლაძის** გუნდისთვის, თუმცა ნურც "სპარტაკის" სატურნირო მდგომარეობას დავივიწყებთ. ისე, ძალიან საინტერესო იქნება მომდევნო ტურში ჟორჟიკაშვილის გუნდისა და "მესხეთის" შეხვედრა.

დაუმარცხებელ და ზედიზედ მოგებული მატჩების სერიებზე ვსაუბრობთ და თბილისის "დინამო" არ გვიხსენებია. საქმე ისაა, რომ **დუშან უჰრინის** გუნდი უნიკალურ რეკორდზე მიდის - ამ ჩემპიონატში "დინამო" ერთადერთი გუნდია, ფრე რომ არ უთამაშია. ეგ კი არა, წინა სეზონშიც, თუ არ ვცდებით, მხოლოდ ორჯერ ითამაშა ფრედ. ოღონდ, ორივე შემთხვევაში უშუალო კონკურენტებთან ("ზესტაფონთან" და "ოლიმპთან") მოხდა და, ფაქტობრივად, ამან განაპირობა კიდეც, რომ "დინამო" ზედიზედ მეორედ უტიტულოდ დარჩა. სამაგიეროდ, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ორწლიანი პაუზის მერე ჩემპიონის ტიტულს კვლავაც ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი უნდა დაეუფლოს. ისე, "დინამოს", ფაქტობრივად, უშუალო კონკურენტებთან ("ვიტ ჯორჯიასთან" და "ზესტაფონთან") ორი ფრე სჭირდება და ყველაფერი, ალბათ, ამით მორჩება...

## ლომა და სამი მუშკეტერი

მერამდენედ გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ ჩვენს ჩემპიონატს ერთობ მოუხდა უცხოეთმოვლილი ფეხბურთელების დაბრუნება. ახლაც, გასულ ტურში "ლოკომოტივის" "სამმა მუშკეტერმა", მართლაც, ლამაზი სანახაობა შემოგვთავაზა! **რატი ალექსიძე, ლევან ცქიტიშვილი** და **ვიტალი დარასელია**, გეგონებოდათ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო ლამაზ გოლს გაიტანდა "სიონის" კარში. სამივე გოლი ეფექტური და დიდოსტატური იყო. ისეთი, ამ ჩინებულ ფეხბურთელებს თავიანთი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში არაერთხელ რომ გაუტანიათ. თანაც, საქმე მხოლოდ გოლებში ხომ არ არის - რატი, ლევანი და ვიტალი ისეთი მონდომებით თამაშობენ, გულშემატკივარი გულგრილი რომ ვერ დარჩება.

გასულ ტურში კიდევ ერთი დაბრუნების მოწმენი გავხდით - ბოლოს და ბოლოს, **გიორგი ლომაიას** უქმობაც მორჩა და ამიერიდან ეს ნიჭიერი მეკარე "ოლიმპში" ითამაშებს. უშეცდომო არავინ არის, მით უფრო მეკარე, მაგრამ ერთი კონკრეტული მატჩის გამო ფეხბურთელს კარიერა არ უნდა დაუნგრიო. აღარ გვინდა **კლაუს ტოპმიოლერზე** და მის ცნობილ ექსპერიმენტებზე საუბარი, მაგრამ ყველას უნდა გვეყოს ვაჟკაცობა და ვაღიაროთ - საქართველოში გიორგი ლომაიაზე უკეთესი მეკარე არა გვყავს! თანაც, ეს მარტო ბოლო წლებს არ ეხება - აი, 1998 წელს თბილისის "მერანი-91"-ში რომ გამოჩნდა 19 წლის პერსპექტიული მეკარე, იქიდან მოყოლებული ასეა...

## პრინციპი ყველასთვის

სეზონის დასრულებასთან მოახლოებით დაძაბულობის ხარისხიც მატულობს და, ხშირ შემთხვევაში, ფეხბურთელებს ემოციების მოთოკვაც უჭირთ. აქედან გამომდინარე, მსაჯების ობიექტურ ქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. რა თქმა უნდა, მსაჯიც ადამიანია და უნებლიე შეცდომისგან დაზღვეული არავინ არის. ისიც ფაქტია, რომ თითქმის იშვიათია შემთხვევა, როცა მსაჯობით ორივე გუნდია კმაყოფილი. რაღა შორს წავიდეთ: გასული ტურის ცენტრალურ მატჩში "დინამოსა" და "ამერს" შორის ორი მეტად საკამათო ეპიზოდი მოხდა. მასპინძლები თავიანთ კარში დანიშნულ პენალტს აპროტესტებდნენ, სტუმართა აზრით კი მეორე ტაიმში "დინამოს" მეკარემ ოვონომ საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა. თითქმის იგივე სიტუაცია იყო "დინამო"-"ზესტაფონის" სათასო შეხვედრაში - ორივე გუნდს რომ საპრეტენზიო ჰქონდა ლაშა სილაგავასთან. აღარაფერს ვამბობთ მეორე ნახევარფინალზე, როცა "ამერი"-"ბორჯომის" მატჩში ყოველთვის პრინციპულობით გამორჩეულმა **ლევან ფანიაშვილმა** მოედნიდან სტუმართა კამერუნელი ფორვარდი **ჯიუსტი** გააძევა. მიზეზი კი ის იყო, რომ "ბორჯომის" ახალგაზრდა ლეგიონერმა გულშემატკივრის გინებას... გინებითვე უპასუხა. თანაც, ფანიაშვილს ეს ეპიზოდი არ დაუნახავს - ყველაფერი დამხმარე მსაჯმა **დავით ხარიტონაშვილმა** აცნობა. ხარიტონაშვილი ახალგაზრდა მსაჯია და ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენიმე პრინციპულ მატჩს არცთუ ურიგოდ გაუძლვა. თუმცა პრინციპულობის გამოვლენა ყოველთვის და ყველგან მართებს: ბოლო ტურში "სიონისა" და "ლოკომოტივის" შეხვედრაში ერთ-ერთმა მასპინძელთა ფეხბურთელმა ტრიბუნიდან წამოსულ უხამსობას "გემრიელი ხურდა" დაუბრუნა. თანაც, ისე, რომ სტადიონზე ყველამ გაიგო, მაგრამ ხარიტონაშვილი მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით დაკმაყოფილდა...

**გია ტუხაშვილი**

### XXI ტურის სიმბოლური ნაკრები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონი

# კლასით დაბალშიც კლასს გვიწუნებენ

მოწინავე ევროპულ ლიგებს ვინ ჩივის, ქართველი ლეგიონერისთვის სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა უკვე არასაფეხბურთო ლიგებშიც არაა იოლი. თვალსაჩინოებისთვის, ასეთ ქვეყნებში მოთამაშე ქართული ლეგიონის დღევანდელ მიმოხილვას გაეცანით. მოკლედ, კრიზისი კარს მოგვადგა.

ჩეხეთის გამბრინუს ლიგის 25-ე ტურში 20 წლის **გიორგი განუგრავას** „მლადა ბოლესლავმა" ოსტრავას „ბანიკს" 3:1 მოუგო. „მლადა ბოლესლავი" 33 ქულით მეშვიდე ადგილზეა. ქართველს ამ შეხვედრაში არ უთამაშია. მიზეზით რომ დავინტერესდით, ჩეხური კლუბის ოფიციალურ საიტზე ასეთი ფრაზა ამოვიკითხეთ, *„გიორგი განუგრავა „მლადა ბოლესლავის" ახალგაზრდულ გუნდთან ერთად ვარჯიშობს"*, - როგორც ხედავთ, საქართველოს ნაკრების ყოფილ ნახევარმცველს პრობლემები ისევ თან სდევს.


ბურთით ჯაბა დვალი

ნუხელ დანიის სუპერლიგის 24-ე ტურის ბოლო მატჩში „ვიბორგი" შინ 1:3 დამარცხდა „ჰორსენთან". **გიორგი ფოფხაძის** გუნდს ცუდად აქვს საქმე – „ვიბორგი" 15 ქულით ბოლოსწინაა და 6 ქულით ჩამორჩება მხსნელ, მე-10 ადგილზე მყოფ „ორჰუსს". გიორგი „ჰორსენსთან" მატჩში სათადარიგო იყო.

ბელარუსში, ჩემპიონატის მეორე ტურშიც დამარცხდა ბრესტის „დინამო", **რომან გოგინაშვილის** და **გია თოდუას** გუნდი სტუმრად „გომელთან" დამარცხდა. ქართველ ფეხბურთელებს არ უთამაშიათ. **გიორგი ჭედიას** „ტორპედო" ჟოდინოში ქვეყნის ჩემპიონ ბატე-ს დაუზავდა – 0:0. ჭედიას ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. „ტორპედოს" 1 ქულა აქვს, „დინამოს" – 0.

ლატვიის ვირსლიგაში მეორე ტურის მატჩები გაიმართა, ჩემპიონმა „ვენტსპილსმა" სტუმრად 4:1 გაანადგურა „დაუგავა". ამ სეზონში თამაში ჯერ არ დაუწყია ნაკრების ნახევარმცველ **ზურაბ მენთეშაშვილს**. რიგის „სკონტომ" პირველი ქულა მოიპოვა, სტუმრად „ვინდავას" დაუზავდა – 1:1. ამ მატჩში „სკონტოს" სასტარტოში ორმა ქართველმა ითამაშა, **დავით გამეზარდაშვილმა**, რომელიც მე-80 წუთზე შეცვალეს და **ლადო დვალიშვილმა**, ვინც 87-ეზე გამოცვალეს. გამოჯანმრთელებული **ზაალ ელიავა** მატჩის განაცხადშიც არ ყოფილა. 25-ე წუთზე სტუმრები დვალიშვილის საგოლე პასის წყალობით დაწინაურდნენ, თუმცა იქვე საპასუხო გოლი მიიღეს. მეორე ტაიმში გამეზარდაშვილი გააფრთხილეს.

**ირაკლი ქორთუას** „ბლაზმა" „მეტალურგსს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. **თამაზ პერტიას** „დინაბურგი" „იურმალას" დაუზავდა – 0:0. ამით ქართველი მწვრთნელის გუნდმა პირველი ქულები დაკარგა. პერტიამ არ ათამაშა თანამემამულე **ბაქარ გიორგაძე**.

ლიტვაში, A ლიგის მესამე ტურში სენსაცია დაფიქსირდა, ლიდერმა და ჩემპიონმა „კაუნასმა" სტუმრტად „ეკრანასთან" 0:1 დათმო. ქართველები ლიტვის ჩემპიონატში მხოლოდ „კაუნასში" თამაშობენ. სასტარტოში **აკაკი ხუბუტია** იყო. **ნუკრი მანჩხავას** და **გივი კვარაცხელიას** კი არ უთამაშიათ.

მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში ტური ორი დერბით აღინიშნა, კიშინოვში „ზიმბრუმ" 3:2 დაამარცხა „დაჩია" და ამით „შერიფს" საქმე გაუკეთა. კიშინოვურ დერბიში მასპინძელთა შორის არ გამოჩენილა **მამუკა ლომიძე**, სტუმართა გუნდში კი შეუცვლელად ითამაშეს **ჯაბა დვალმა** და **ლევან კორღალიძემ**, ამ უკანასკნელმა მეორე ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. ტირასპოლში „ტირასპოლის" და „შერიფის" დაპირისპირება ჩემპიონის გამარჯვებით, 2:0 დასრულდა. **ვაჟა თარხნიშვილმა** ჩვეულებრისამებრ უკაპიტნა „შერიფს" და დაცვაში უშეცდომოდ გაისარჯა. 24 ტურის შემდეგ თარხნიშვილის გუნდი 63 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, „დაჩია" 51 ქულით მეორეა, „ზიმბრუს" 46 ქულა აქვს და ჯერჯერობით მხოლოდ მეოთხე ადგილზეა.


ვაჟა თარხნიშვილი

აზერბაიჯანში ტურის ცენტრალური მატჩი „ოლიმპიკსა" და მის მდევარ „ნეფთჩის" შორის გაიმართა, შეხვედრა 0:0 დასრულდა, ასე რომ ლიდერმა 4-ქულიანი ფორა შეინარჩუნა. **გიორგი ადამიამ** 90 წუთი ითამაშა, თუმცა თავი ვერაფრით გამოიჩინა. **კახა ცხადაძის** „სტანდარდი" სტუმრად 1:1 დაუზავდა „ქარვანს". ამ შეხვედრაში მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში სამივე ქართველმა ითამაშა, **ალექსანდრე ინწკირველმა** და **რომან ახალკაცმა** შეუცვლელად, ხოლო **გოჩა ტრაპაიძე** 75-ე წუთზე შეცვალეს. ცხადაძემ კი კვლავ არ ათამაშა **ლადო უგრეხელიძე**. ქართველთა დაპირისპირება სამაგიეროდ ორი უამბიციო კლუბის, „თურანის" და „მასალის" მატჩში (0:0) შედგა. მასპინძელთა რიგებში 53-ე წუთზე **ირაკლი ბერაია** გამოჩნდა, სტუმართა რიგებში 77-ე წუთამდე ითამაშა **ბორის გონჩაროვმა**, ხოლო **ვაჟა ლომაშვილმა** – 90 წუთი. „ყარაბახმა" **გოგა ბერაიას** გარეშე შეძლო „კაბალის" დამარცხება – 2:1. დამარცხებულთა კარს **ზურაბ მამალაძე** იცავდა, **თორნიკე აფციაური** მეორე ტაიმში შეცვალეს, **გიორგი გაბიდაურმა** კი შეუცვლელად ითამაშა, **ირაკლი ვაშაკიძეს** დისკვალიფიკაციის გამო მოუწონია მატჩის გამოტოვება. კახში „სიმურგი" 0:0 ეთამაშა „ბაქის". **დავით ბოლქვაძემ** და **კახა ჩხეტიანმა** 90-90 წუთი ითამაშეს, „ბაქი" საინგილოში უქართველოდ ჩავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კობიაშვილს სლომკა დაენანა

როგორც იცით, ბრემენის "ვერდერთან" 1:5 განადგურების შემდეგ, **მირკო სლომკა** "შალკეს" მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან დაითხოვეს. მის ნაცვლად "ხუმარებს" დროებით **მიკაელ ბიუსკენსი** და **იური მიულდერი** განვრთნიან.

სლომკას გადაყენების შესახებ გუნდის ფეხბურთელებმა კომენტარები გააკეთეს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ყოფილ დამრიგებელს დადებითად ახასიათებს. მათ შორისაა **ლევან კობიაშვილიც**. *"არ მაქვს უფლება, კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება გავაპროტესტო, თუმცა მაინც ვიტყვი, რომ მირკოს ყველა ჩვენგანისგან მადლობა ეკუთვნის. მან "შალკესთვის" ძალიან ბევრი რამ გააკეთა და გუნდს რეალური პროგრესი განაცდევინა. იმედია, სეზონს ღირსეულად ჩავამთავრებთ, მალე კი ახალი მთავარი მწვრთნელი გვეყოლება. თავს არ დავზოგავთ იმისთვის, რომ გაისად ჩვენი გულშემატკივრები უფრო მეტად გავახაროთ"*, - ამბობს ქართველი ნახევარმცველი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ციმაკურიძე ზარიას დაუბრუნდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი **გიორგი ციმაკურიძე** ნოემბრის შემდეგ უგუნდოდ იყო. ლუგანსკის "ზარია" საკუთარი ნებით დატოვა, მაგრამ ახალი კონტრაქტი ვერ გააფორმა. მან ერთბაშად სამ კლუბში სცადა ბედი - სიმფეროპოლის "ტავრიაში", უჟგოროდის "ზაკარპატიესა" და სოლიგორსკის "შახტიორში", მაგრამ ვერც ერთ მათგანს ვერ შეუთანხმდა.

საბოლოოდ, გიორგი ისევ ლუგანსკის "ზარიას" დაუბრუნდა, სადაც საშემოდგომო ეტაპზე გამოდიოდა.

გიორგიმ უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩიც ჩაატარა – "ხარკოვის" წინააღმდეგ ლუგანსკელთა მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ კოსევიჩმა** ქართველი მცველი მოედანზე მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ დროში შეიყვანა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ციმაკურიძეს უთამაშია დონეცკის "შახტიორი 2-ში", ალჩევსკის "სტალსა" და მარიუპოლის "ილიჩევეცში".

**მერაბ მამულაშვილი**

# თარგამაძე ერთ კვირაში დაბრუნდება


დავით თარგამაძე

მეორებუნდესლიგური "ფრაიბურგისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **დავით თარგამაძე** მოედანს ერთი კვირის შემდეგ დაუბრუნდება. დათო ერთი თვის წინათ დაშავდა – როგორც გვითხრა, კოჭი ჰქონდა გატეხილი.

*"ოთხი კვირა გახდება, რაც ველარ ვვარჯიშობ. ერთი თვის წინათ, თამაშის დროს, კოჭი მომტეხეს და ვმკურნალობდი. ინდივიდუალური გრაფიკი შემიდგინეს, ვარჯიში უკვე დავიწყე. ახლა ექიმმა მითხრა, რომ გუნდს ერთ კვირაში შევუერთდები. იმედია, ფორმას სწრაფად აღვიდგენ და მალე ვითამაშებ კიდეც. ისე, ტკივილი დღემდე თავს მახსენებს, მაგრამ სერიოზული არაფერია. ტრავმის შემდეგ ეს ბუნებრივიცაა."*

**მერაბ მამულაშვილი**

# რახიმოვი: ასათიანი ფორმაში რომ იქნება...

მოსკოვის "ლოკომოტივმა" მეხუთე ტურში გროზნოს "ტერეკს" 2:0 სძლია. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების ცენტრალური მცველი **მალხაზ ასათიანი** არათუ ძირითადში, სათადარიგოთა შორისაც არ ყოფილა.

მიზეზებზე მოსკოველთა მთავარ მწვრთნელ **რაშიდ რახიმოვს** მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ჰკითხეს.

*"ასათიანი მაშინ ითამაშებს, როდესაც ფიზიკურად ასი პროცენტით იქნება მზად. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები არ გააჩნია, მაგრამ ტრავმების გამო ძალიან დიდი დრო გაუცდა და ახლა ფიზიკურად სასურველ მდგომარეობაში არაა. მალხაზი კარგი ფეხბურთელია და როდესაც კონდიციებს აღიდგენს, რა თქმა უნდა, გუნდს დაეხმარება"*, - აღნიშნა მწვრთნელმა.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ლივერპული

# ბენიტესი განმარტებებს ითხოვს

**რაფა ბენიტესი** "ლივერპულის" ხელმძღვანელობისაგან განმარტებებს ითხოვს. მწვრთნელმა გაკვირვება ვერ დამალა კლუბის ერთ-ერთი მფლობელის, **ტომ ჰიკსის** განცხადების გამო, რომელიც "მეილ ონ სანდეიში" გამოქვეყნდა. ამერიკელმა ბიზნესმენმა განაცხადა, რომ გასულ შემოდგომაზე, **იურგენ კლინსმანთან** მოლაპარაკებებს კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **რიკ პერი** აწარმოებდა. ბენიტესმა, ისევე, როგორც დანარჩენმა საზოგადოებამ, იცოდა, რომ გასული წლის მიწურულს, "ლივერპულში" გამეფებული კრიზისისას კლუბმა ნამდვილად სცადა გერმანელ სპეციალისტთან კონტრაქტის გაფორმება. მაგრამ სენიორ რაფამ არაფერი იცოდა მოლაპარაკებებში პერის მონაწილეობის თაობაზე.

*"მინდა, დირექტორებს შევხვდე, თანაც, რაც შეიძლება, მალე. მინდა, ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიო ეს საკითხი,"* - დასძინა ბენიტესმა "ბლექბერნთან" ნამატჩევს. ამ გამარჯვებამ (3:1) "ლივერპულს" ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზური გაუნაღდა. იმასაც შეგახსენებთ, რომ მერსისაიდელები ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, რაც პირადად ესპანელი მწვრთნელის მუშაობის შედეგია. "ლივერპულის" ბოსებს ბენიტესის შეშფოთებასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაუკეთებიათ.

"ბლექბერნთან" მატჩში **ფერნანდო ტორესმა** სეზონის 30-ე გოლი გაიტანა. "ლივერპულს" ასეთი შედეგიანი თავდამსხმელი დიდი ხანია, არ ჰყოლია. აქვე გერყვით, რომ ამ ფეხბურთელმა ენფილდზე ზედიზედ მეშვიდედ მოახერხა თავის გამოჩენა, რამაც ის ყველა დროის რეკორდსმენად აქცია საინტერესო ისაა, რომ ტორესი არც მადრიდის "ატლეტიკოსათვის" კარგავს აქტუალობას. ფეხბურთელის ტრანსფერისას კლუბები შეთანხმდნენ, რომ ყოველი 15 გოლის შემდეგ მადრიდელები 250 ათას ევროს მიიღებდნენ. "ბლექბერნთან" ნამატჩევს "ლივერპულს" უკვე მეორედ მოუხდა ჯიბეზე ხელის გაკვრა. ბონუსის სახით გადახდილმა თანხამ ნახევარი მილიონი ევრო შეადგინა. შეგახსენებთ, გასულ ზაფხულს "ატლეტიკომ" 33 მილიონი ევრო და ესპანელი ნახევარმცველი **ლუის გარსია** მიიღო.

გუშინ ტორესმა ინტერვიუ მისცა "რადიო მარკას". ფეხბურთელს ესპანეთისა და ინგლისის ჩემპიონატების შედარება სთხოვეს. აი, მისი პასუხი: *"ინგლისის ოთხი საუკეთესო გუნდი ესპანეთის ოთხ საუკეთესოზე ძლიერია, მაგრამ თუ დანარჩენ კლუბებსაც შევადარებთ, ესპანელებს ცალსახა უპირატესობა გააჩნიათ. საერთო ჯამში, მიმაჩნია, რომ პრიმერა დივიზიონიუფრო ძლიერი ჩემპიონატია, რადგან იი უფრო მეტი მაღალი კლასის კოლექტივი თამაშობს."*

ტორესმა ინგლისელი გულშემატკივრებით აღფრთოვანება ვერ დამალა: *"ისინი არასოდეს გაწუხებენ. გიღიმიან, ხელს გართმევენ, მაგრამ არ გავიწროებენ. ამიტომაც აქ თავს ბევრად უფრო კომფორტულად ვგრძნობ."* ფერნანდოს არც ის დაუმალავს, რომ მისი თანაგუნდელებისაგან განსხვავებით, ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ბარსელონასთან" თამაში სურს. დანარჩენი ლივერპულელების ოცნება მანჩესტერ იუნაიტედთან ურთიერთობის გარკვევა ყოფილა.

დავუბრუნდეთ "ლივერპულის" ამბებს. ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, გუნდის ყველაზე სუსტი რგოლი დაცვაა. რაფა ბენიტესი ამ პრობლემის აღმოფხვრას ცდილობს. მან "პორტუს" მარჯვენა მცველ **ჟოზე ბოსინგვას** დაადგა თვალი. ფეხბურთელის შეძენა "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ასტონ ვილასაც" სურთ. "დეილი მირორის" ცნობით, ბოსინგვა 10 მილიონი ევრო ღირს. მას პრემიერლიგაში გადასვლა უნდა.

"ლივერპული" "პორტუს" კიდევ ერთი მოთამაშის ტრანსფერზე ევაჭრება. საუბარია **რიკარდო კვარეშმაზე**, რომელიც 5 მილიონი გირვანქა ღირს. კვარეშმას "არსენალიც" სიამოვნებით გაუფორმებდა კონტრაქტს. იანვრის ტრანსფერებისას 25 წლის ფეხბურთელით მადრიდის "ატლეტიკო" და "ლაციოც" იყვნენ დაინტერესებულნი. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

"ლივერპულზე" საუბარს ერთი უჩვეულო ამბით დავასრულებთ. "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა აქციონერებმა **ჯეი ფი მაკმანუსმა** და **ჯონ მანიერმა** გადაწყვიტეს, მერსისაიდულ კლუბში სოლიდური კაპიტალი დააბანდონ. ამ ჯენტლმენებმა "მანჩესტერში" თავიანთი წილი მალკოლმ გლეიზერს 80 მილიონ გირვანქად მიჰყიდეს. მერსისაიდელთა დღევანდელ მფლობელებს, **ჯორჯ ჯილეტსა** და **ტომ ჰიკსს** უთანხმოება აქვთ. ჯილეტს კლუბის გაყიდვა სურს, ჰიკსს-არა. სპეკულაციების თანახმად, მანიერი და მაკმანუსი ჯილეტს დაუკავშირდნენ და თავიანთი დაინტერესების შესახებ ამცნეს. მოლაპარაკებები საწყის სტადიაშია. მოსალოდნელ გარიგებას განსაკუთრებულ ინტრიგას სძენს ის გარემოება, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ლივერპული" მოსისხლე მტრები არიან. ამ ორი კლუბის სახელოვან ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევაში, რომ ვინმეს ერთი კლუბი გაეყიდა და მეორე ეყიდა.

## ოუენის ახალი კონტრაქტი

"ნიუკასლი" მზადაა, **მაიკლ ოუენს** ახალი კონტრაქტი შესთავაზოს. ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი კლუბის უძვირესი ვარსკვლავია. 2005 წლის ზაფხულში ჯორდებმა მადრიდის "რეალს" 16 მილიონი გირვანქას გადაუხადეს. 28 წლის ფეხბურთელს ხელშეკრულებაში 15 თვეზე ნაკლები აქვს დარჩენილი. მას კვირაში 110 ათას გირვანქას უხდიან. მაიკლი პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა. ტრავმის მოშუშების შემდეგ, ის საუცხოოდ ათამაშდა. ოუენმა ბოლო ოთხ მატჩში ოთხი გოლი შეაგდო. მისი დიდი დამსახურებაა ის, რომ ჯორდებმა გასავარდნ ზონას დააღწიეს თავი და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესეს. ინფორმაცია ოუენთან მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე კლუბის თავმჯდომარე **კრის მორტმა** გაავრცელა. მას მოსალოდნელი გარიგების დეტალები არ გაუხმაურებია.

ამ თემას "ნიუკასლის" თავკაცი **კევინ კიგანიც** გამოეხმაურა: *"მაიკლს ცოტა ხნის წინათ ველაპარაკე. არა მგონია, შეთანხმება გაგვიჭირდეს. კონტრაქტს აუცილებლად გავაგრძელებთ. ჩვენ გვსურს, რომ ის დარჩეს. როგორც ვიცი, ფეხბურთელიც მზადაა, გააგრძელოს თანამშრომლობა. მას "ნიუკასლში" თამაში მოსწონს. მაიკლის მისამართით გამოთქმული ყოველგვარი კრიტიკა დაუსაბუთებლად მიმაჩნია. მას უთვალავი ტრავმა ჰქონდა. ამიტომ საკუთარი შესაძლებლობების ნახევარიც კი ვერ გამოავლინა. "ნიუკასლი" მას ყველა პირობას შეუქმნის, რათა თავი გამოიჩინოს."*

რამდენიმე დღის წინათ ინგლისურ გაზეთებში კიგანის სხვა, არანაკლებ საინტერესო კომენტარი გამოქვეყნდა. რადიოინტერვიუში მწვრთნელს ჰკითხეს, ყველაზე მეტად რომელი ფეხბურთელის შეძენას ისურვებდითო. მისტერ კევინმა დაუფიქრებლად მიუგო, რომ ასეთი ფეხბურთელი **ტიერი ანრია**. "მირორის" ცნობით, ეს მხოლოდ სურვილი არ არის. "ნიუკასლის" ხელმძღვანელობა მზადაა, "ბარსელონასთან" მოლაპარაკებები გააჩაღოს. ანრის ესპანური კარიერა არ აეწყო, თუმცა ფეხბურთელს არც ინგლისში დაბრუნების სურვილი გამოუთქვამს. ანრი "ბარსელონაში" გასულ ზაფხულს, 24 მილიონ ევროდ გადავიდა და ოთხწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი.

ჯორდებმა კიდევ ერთ თავდამსხმელს, არგენტინელ **ლისანდრო ლოპესს** დაადგეს თვალი. ის "პორტუს" საკუთრებაა. ლოპესი არ მალავს, რომ ინგლისში თამაში სურს. "ნიუკასლის" გარდა, ამ ფეხბურთელმა "მანჩესტერ სიტისა" და "ტოტენჰემის" ყურადღებაც მიიპყრო. ლისანდრო პორტუგალიის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად მიიჩნევა.

"ნიუკასლიდან" აბარგებას აპირებს თურქი ნახევარმცველი **ემრე ბელოზოლლუ**. მას სტამბოლური გრანდები ეპატიჟებიან. თურქული სააგენტოების მტკიცებით, ემრეს შეძენა მიუნხენის "ბაიერნსაც" სურს. ინგლისელები ემრეს არ დააკავებენ. უფრო მეტიც, მისი შემცვლელიც კი შერჩეული ჰყავთ. საუბარია ბელგიური "ანდერლეხტის" ნახევარმცველ **მუბარაკ ბუსუფზე**. მისი ტრანსფერის დეტალები უცნობია.

შალკე

# მწვრთნელის ბედი

## სლომკა მოიშორეს, ვინ იქნება შემდეგი?



მირკო სლომკა

**როდესაც მირკო სლომკა** "შალკეს" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, მას მთელმა საფეხბურთო გერმანიამ დასცინა – ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მიზეზი ის გახლდათ, რომ მირკოს მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე არასდროს ემუშავა და, ფაქტობრივად, უცნობი პერსონა გახლდათ. თუმცა მას უკვე ჰქონდა სამწვრთნელო ლიცენზია (სხვათა შორის, სლომკამ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელმა **პეტარ სეგრტმა** ეს ლიცენზია ერთად აიღეს). გეხსომებათ, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა სლომკას მაშინ "მისტერ არავინ" შეარქვეს.

საერთოდ, "შალკეს" ხელმძღვანელები ყოველთვის გამოირჩეოდნენ იმით, რომ უცნაურ და მოულოდნელ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. გელზენკირხენული კლუბი გერმანიაში ხომ ერთ-ერთ ყველაზე ქაოტურ გუნდად მიიჩნევა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სლომკა თანამდებობაზე ორ წელიწადს გაძლებდა – მირკოს სწრაფად გათავისუფლებას უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა "შალკემ" მის ხელში გარკვეული პროგრესი განიცადა და სწორედ ამის დამსახურებაა, რომ უცნობი მწვრთნელი მალე ყველამ გაიცნო, მაგრამ ფაქტია, რომ პროგრესი არ იყო ისეთი, როგორსაც "შალკეს" შეფები ელოდნენ. ამბიციები მას მერე გაიზარდა, რაც გუნდის გენერალური სპონსორი რუსული გიგანტი "გაზპრომი" გახდა. ის "შალკეს" მილიონებს ურიცხავს. მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ სლომკა განტევების ვაცად აქციეს. გერმანელი მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ეს ვარიანტი უფრო ახლოა სიმართლესთან...

კვირას, ნაშუადღევს მირკომ "აუფ შალკე" თავისი შავი "მერსედეს ემ-კლასით" იმედგაცრუებულმა და გულჩათხრობილმა დატოვა. კომპენსაციის სახით, ის დამატებით ერთ მილიონ ევროს მიიღებს – სწორედ ეს თანხა იყო გათვალისწინებული ხელფასის სახით კონტრაქტის ბოლომდე, ანუ 2009 წლამდე. მირკოს დიდი ხელფასი არ ჰქონია და არც არასდროს ჰქონდა იმის პრეტენზია, რომ "შალკეს" ამბიციებისა და შესაძლებლობების შესაბამისი ჯამაგირი მიეღო. მაშ ასე: სლომკა და "შალკე" უკვე წარსულია – **ლევან კობიაშვილის** გუნდს მიმდინარე სეზონის დარჩენილ 6 შეხვედრაში 40 წლის **მიხაელ ბიუსკენსი** და 39 წლის **იური მიულდერი** უხელმძღვანელებენ.

როგორც იცით, სლომკასთვის საბედისწერო აღმოჩნდა "ვერდერთან" კატასტროფული მარცხი. გაირკვა, რომ მწვრთნელის გაშვება, ოღონდ სეზონის ბოლოს, მანამდე ყოფილა გადაწყვეტილი – ეს გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** დაადასტურა. არადა, ყველაზე პარადოქსული ისაა, რომ "ვერდერთან" ნამატჩევს ტელევიზიებისთვის მიცემულ ინტერვიუებში მიულერი გადაჭრით ამბობდა, სლომკა პოსტზე რჩება და მომდევნო შეხვედრაში ("კოტბუსთან", დღეს) ის აუცილებლად სკამზე იქნებაო. არ გასულა ერთი დღე და სლომკას კარისაკენ მიუთითეს.

შაბათს საღამოს, 22 საათსა და 30 წუთზე, მიულერს, "შალკეს" პრეზიდენტ **იოზეფ შნუზენბერგსა** და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონისს** შორის სატელეფონო საუბარი შედგა. მოგვიანებით ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და ითათბირეს. გაირკვა, რომ სლომკას უშუალოდ გუნდშიც ჰყავდა მოწინააღმდეგეები – ფეხბურთელების ერთი ნაწილი მირკოს დაუყოვნებლივ გაგდებას ითხოვდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, კაპიტანმა **მარსელო ბორდონმა** გუნდის საბჭოში შემავალ სხვა მოთამაშეებთან ერთად უკმაყოფილება გამოთქვა და განაცხადა, ბოლო დროს სლომკა არასწორ გადაწყვეტილებებს იღებსო. მაგალითად, კაპიტანი უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ მირკომ "ვერდერთან" შეხვედრაში მარჯვენა მცველი **რაფინია** ძირითად შემადგენლობაში არ გაამწესა. უნდა აღინიშნოს, რომ რაფინია ბორდონის მეგობარი და თანამემამულეა. ადრეც არაერთხელ უთქვამთ, რომ "შალკეს" ფეხბურთელებს კოალიცები აქვთ შექმნილი. ყველაზე ძლიერი დაჯგუფება ბრაზილიელებისაა. მასში ბორდონი და რაფინია შედიან. **კობიაშვილი** მათ დაჯგუფებასთან არ ასოცირდება. ჩნდება ეჭვი, რომ სლომკა სწორედ ამ ჯგუფმა მოიშორა.

საუბრისას ბოსები შეთანხმდნენ, რომ მირკოს პოსტზე დატოვება არ შეიძლებოდა, თუმცა შეთანხმდნენ, რომ კვირას კიდევ ერთი თათბირს გამართავდნენ და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. ეს შეხვედრა დილით შედგა და ყველაფერს წერტილი დაესვა. პარადოქსია, რომ გადაწყვეტილება მიღებული და იურიდიულად გაფორმებული იყო იმ დროს, როცა სლომკა სარეზერვო გუნდს ავარჯიშებდა და გათავისუფლების შესახებ არაფერი იცოდა. მირკომ ყველაფერი მიულერისგან, 12-ის ნახევარზე შეიტყო. მასთან ერთად, კარისკენ მიუთითეს ასისტენტ **ნესტორ ელ-მაესტროსაც**.

*"ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება გარდაუვალი გახდა. ჩვენ უბრალოდ სხვა გზა აღარ გვქონდა,"* – ასეთი გახლდათ მიულერის განმარტება. მან მიზეზად ისიც მოიყვანა, რომ "შალკეს" ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენა ემუქრება, არადა გუნდი ჯერ კიდევ მესამე ადგილზეა. თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მირკო სლომკა პირველი მწვრთნელია, რომელმაც "შალკე" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაიყვანა. აქამდე გელზენკირხენულ კლუბს ევროპის უმთავრეს საკლუბო ტურნირში ასეთი მიღწევა არ ჰქონია.

*"სპორტული თვალსაზრისით პროგრესს ველარ ვხედავდით. სლომკას გაშვება ამიტომაც გადავწყვიტეთ. ასე რომ, არ მოვქცეულიყავით, შესაძლოა, უარესი შედეგი და სრული ქაოსი მიგვეღო,"* – ეს ტიონისის სიტყვებია.

და რას ამბობენ ფეხბურთელები? მირკოს მისამართით თბილი სიტყვები თავდამსხმელმა **კევინ კურანიმ** გაიმეტა: *"ძალიან მძიმე და სამწუხარო ამბავია. სლომკას სახით, ჩვენ ძალიან კარგი მწვრთნელი გვყავდა, მაგრამ მე ფეხბურთელი ვარ და ვალდებული გახლავართ, ბოსები გადაწყვეტილებას დავემორჩილო. თუმცა ვიმეორებ, რომ გული ძალიან დამწყდა."*

ასეა თუ ისე, სლომკა "შალკეს" მწვრთნელი აღარ არის და ფეხბურთელებსაც, მორიგი წარუმატებლობის შემთხვევაში გასამართლებელი საბუთი აღარ ექნებათ. თუმცა შესაძლოა, არც სჭირდებათ და ამიერიდან თავის გამართლება აღარც დასჭირდეთ – სლომკა ხომ უკვე გაშვებულია.

მირკო სლომკა "შალკეს" ზუსტად 1 287 დღე თავკაცობდა. გელზენკირხენულ კლუბში ის 2004 წლის 4 ოქტომბერს მივიდა – იმდროინდელი მთავარი მწვრთნელის, **რალფ რანგნიკის** ასისტენტის რანგში. ეს უკანასკნელი 2005 წლის დეკემბერში გააგდეს და 2006 წლის 4 იანვარს მის ადგილზე სლომკა დაინიშნა. მაშინ მირკო ამბობდა, რალფის გაგდების შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ "შალკეს" მეც დამატოვებინებდნენო. სლომკა ყოველთვის მშვიდ მწვრთნელად მიიჩნეოდა, მაგრამ იყო გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა უდიდესი სიმკაცრე გამოავლინა. მაგალითად, 2006 წელს მან ძირითადი მეკარე **ფრანკ როსტი,** ყველასათვის მოულოდნელად, სასტარტო შემადგენლობიდან ამოაგდო და მის ნაცვლად ახალგაზრდა და გამოუცდელი **მანუელ ნოიერი** ათამაშა. ნოიერმა გაამართლა, მაგრამ იმ დროს არავინ იცოდა, რომ ის ასე კარგად ითამაშებდა. დღეს ნოიერი გერმანიის ერთ-ერთო საუკეთესო მეკარე და გერმანიის ნაკრების რეალური კანდიდატია. როსტის ამოგდების მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მან სლომკას გასახდელში, მთელი გუნდის თვალწინ უთხრა, ასისტენტი იყავი და ყოველთვის ასისტენტად დარჩები, მთავარი მწვრთნელის შენ არაფერი გეტყობაო. საბოლოოდ, "ხუმარებმა" როსტი "ჰამბურგში" გაყიდეს.

2006 წლის აგვისტოში სლომკას **ჯერალდ ასამოა** აუჯანყდა. ამ უკანასკნელმა საჯაროდ განაცხადა, თუ მომდევნო შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში არ გამამწესებს, სლომკას პირადად ჩემგან პრობლემები შეექმნებაო. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამ სიტყვების გამო ასამოა არავის დაუსჯია.

მირკო არასდროს ითვლებოდა ავტორიტეტად, რასაც ფეხბურთელები ხშირად ძალიან ცუდად იყენებდნენ. 2007 წლის დეკემბერში **კრსტაიჩმა, რაკიტიჩმა** და **ჯონსმა** "აინტრახტთან" მატჩის შემდეგ დისკოთეკაზე მოილხინეს და კარგად გამოთვრნენ. წლეულს კი, "პორტუსთან" შეხვედრისას, როდესაც მირკომ კურანი შეცვალა, ეს უკანასკნელი ისე აღშფოთდა, რომ სლომკას ხელი არ ჩამოართვა. ამის გამო არც კევინი დაუსჯიათ...

რაც შეეხება სპორტულ მხარეს. პირველ სეზონში მირკომ გუნდი მე-4 ადგილზე გაიყვანა. 2006-07 წლების სეზონში "შალკეს" ჩემპიონობის იდეალური შანსი ჰქონდა – "შტუტგარტს" 7 ქულით უსწრებდა, მაგრამ გელზენკირხენელებმა უპირატესობა გაანიავეს და "ვერცხლის სინი" შვაბებს დაუთმეს. 2006 წელს სლომკამ "შალკე" უეფას თასის ნახევარფინალში გაიყვანა, 2007 წელს კი, "ხუმარები" ამავე ტურნირს პირველივე ეტაპზე გამოეთიშნენ. სამაგიეროდ, წელს "შალკემ," არსებობის ისტორიაში პირველად, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაალწია.

უნდა ითქვას, რომ "შალკესგან" ბოლო წლებში გაცილებით მეტს ელოდნენ. ფაქტია ისიც, რომ მეტის მიღწევა ნამდვილად შეიძლებოდა. მაგრამ სლომკას "შალკემ" ვერაფერი მოიგო. რას მიაღწევს მისი შემცვლელი და მიაღწევს თუ არა სლომკაზე მეტს? თუ ამ გუნდის შეფებისთვის დამახასიათებელ ქაოტურობას გავითვალისწინებთ, ეს დიდად საეჭვოა...

**გოტფრიდ ლენცი**

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIX ტურის წინ

# ბიუსკენსისა და მიულდერის დებიუტი

**დღეს**

ჰანზა-ვერდერი
ჰერტა-ჰამბურგი
ვოლფსბურგი-ბოხუმი
შალკე-კოტბუსი

**ხვალ**

აინტრახტი-ბაიერნი
არმინია-ლევერკუზენი
შტუტგარტი-ნიურნბერგი
ბორუსია (დ)-ჰანოვერი
დუისბურგი-კარლსრუე

გერმანიის პირველობის მორიგი, 29-ე ტურის მატჩები დღეს და ხვალ გაიმართება. პირველადგილოსან „ბაიერნს", ალბათ, ველარავინ დაენევა. რეკორდმაისტერს, რომელიც დღეს ფრანკფურტის „აინტრახტთან" მოსინჯავს ძალებს, „ვერცხლის სინის" დაბრუნება გუშინდელ მიმოხილვაში მივულოცეთ. სამაგიეროდ, უაღრესად დამაინტრიგებელია ბრძოლა ევროსაგზურებისთვის და ელიტაში დარჩენისთვის.

ბრემენის „ვერდერმა" გასულ შაბათს მეორე ადგილისთვის ბრძოლა („შალკესთან") დამაჯერებლად მოიგო (5:1). მას დღეს როსტოკის „ჰანზის" სახით გაცილებით იოლი მეტოქე ჰყავს. „მუსიკოსებს" მიმდინარე სეზონში არასტაბილურობა ახასიათებთ. გამორიცხული არაა, რომ მათ მეკლენბურგელებთან თავი შეირცხვინონ. თანაც, „ჰანზამ" გასულ უქმეებზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, გაიმარჯვა რა კარლსრუეში ანგარიშით 2:1. „ვერდერს" დღეს თავდამსხმელი **მარკუს როზენბერგი** არ ეყოლება – ეს უკანასკნელი დისკვალიფიცირებულია. მის ნაცვლად, ძირითად შემადგენლობაში, სავარაუდოდ, **ივან კლასნიჩს** ვიხილავთ.

„შალკეს" „კოტბუსთან" ექნება საქმე – **მირკო სლომკას** გარეშე, რომელიც კვირას გაათავისუფლეს. „ენერგი" ბუნდესლიგაში დარჩენისთვის გააფთრებით იბრძვის. გელზენკირხენულ კლუბს დღეს და მიმდინარე სეზონის ბოლომდე **მიხაელ ბიუსკენსი** და **იური მიულდერი** უხელმძღვანელებენ. მათი ამოცანა **ლევან კობიაშვილის** გუნდის ჩემპიონთა ლიგაში გაყვანაა.

„ჰამბურგმა" შაბათს უდიდესი სირცხვილი ჭამა - საკუთარ მოედანზე „დუისბურგთან" 0:1 წააგო და ახლა ვალდებულია, გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაცია მოახდინოს. **ჰუუბ სტევენსის** შეგირდები ბერლინში ჩადიან.



მაიკ ბიუსკენსი

თუ ჰამბურგელები ვერ მოიგებენ, შეუძლიათ, ჩემპიონთა ლიგა დაივიწყონ. სტევენსს ლაზარეთიდან **ივიცა ოლიჩი** უბრუნდება, **იორის მატიისენმა** კი დისკვალიფიკაცია მოიხადა. სამაგიეროდ, ვერ ითამაშებენ **ტიმოთი ატუბა** და **რაფაელ ვან დერ ვაარტი**, რომლებიც დისკვალიფიცირებულები არიან. ბერლინელები კი, შეიძლება ითქვას, რომ უაზროდ არიან – არც გავარდნის საფრთხე ემუქრებათ და არც ევროტურნირების საგზურის მოპოვებაზე ოცნების საშუალება აქვთ.

„შტუტგარტის" განადგურების შემდეგ (3:0), ლევერკუზენელებს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების ამბიცია ისევ გაუჩნდათ. „ფარმაცევტები" ბილეფელდის „არმინიას" სტუმრობენ. **მიხაელ სკიბეს** სასჯელმოხდილი **ქარიმ ჰაგი** უბრუნდება, რომელიც **იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერის** ადგილს დაიკავებს.

გავარდნის კიდევ ერთმა კანდიდატმა, „დუისბურგმა", რომელმაც წინა ტურში "ჰამბურგს" მოუგო (1:0), ამ ფონზე, წესით არც „კარლსრუეს" დამარცხება უნდა გაუჭირდეს, რადგან ბადენელები თვენახევარია, წარმატებას ველარ ალწევენ. „ზებრებს" დღეს **ტარარაჩე** არ ეყოლებათ, რომელმაც მიმდინარე სეზონში უკვე მე-10 გაფრთხილება მიიღო.

"ბაიერნთან" განადგურების შემდეგ (0:5), დაღდასმული დორტმუნდელები „ჰანოვერს" უმასპინძლებენ და თუ ვერ მოიგეს, ქომაგებისგან ობსტრუქციის საფრთხე ემუქრებათ. "ბორუსიის" გამანადგურებელი "ბაიერნი" კი, როგორც ალვნიშნეთ, ფრანკფურტში ჩადის...

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 28 | 17 | 9 | 2 | 52-16 | 60 |
| 2. ვერდერი | 28 | 15 | 5 | 8 | 60-40 | 50 |
| 3. შალკე | 28 | 13 | 9 | 6 | 42-31 | 48 |
| 4. ლევერკუზენი | 28 | 14 | 5 | 9 | 50-30 | 47 |
| 5. ჰამბურგი | 28 | 12 | 11 | 5 | 37-21 | 47 |
| 6. შტუტგარტი | 28 | 14 | 3 | 11 | 45-43 | 45 |
| 7. ვოლფსბურგი | 27 | 12 | 7 | 8 | 45-38 | 43 |
| 8. აინტრახტი | 28 | 11 | 9 | 8 | 34-36 | 42 |
| 9. კარლსრუე | 28 | 10 | 8 | 10 | 31-36 | 38 |
| 10. ჰანოვერი | 28 | 10 | 8 | 10 | 40-46 | 38 |
| 11. ბოხუმი | 28 | 8 | 10 | 10 | 42-45 | 34 |
| 12. ბორუსია (დ) | 28 | 9 | 7 | 12 | 41-50 | 34 |
| 13. ჰერტა | 28 | 9 | 6 | 13 | 30-36 | 33 |
| 14. კოტბუსი | 28 | 7 | 8 | 13 | 30-43 | 29 |
| 15. ჰანზა | 28 | 7 | 6 | 15 | 24-39 | 27 |
| 16. დუისბურგი | 28 | 7 | 4 | 17 | 28-42 | 25 |
| 17. არმინია | 28 | 6 | 7 | 15 | 26-52 | 25 |
| 18. ნიურნბერგი | 27 | 5 | 8 | 14 | 30-43 | 23 |

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. ტურის გამოხმაურება

# პელეგრინიმ თავდასხმას უნდა მიხედოს

## რეალს კეკლუცობის დრო არ აქვს, ახლა მთავარი ქულებია

პრიმერა დივიზიონის 32-ე ტური საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლებით გამოირჩეოდა. მთავარი ინტრიგა, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ, ჩემპიონის ტიტულის მაძიებელთა მატჩებს ახლდა. შაბათს "ბარსელონამ" მორიგი ორი ქულა დაკარგა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის შანსი უკიდურესად გაიუარესა. სამეფო კლუბმა ამ ფაქტით კარგად ისარგებლა და საშინაო შეხვედრაში "მურსიის" დამარცხებით უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. ალსანიშნავია, რომ "რეალის" წარმატებას ესპანურ მედიაში არაერთმნიშვნელოვანი გამოხმაურება მოჰყვა. კურიოზულია, მაგრამ მადრიდული და კატალონიური პრესა შეხვედრის მთავარი არბიტრის, **იტურალდე გონსალესის** მუშაობას აბსოლუტურად განსხვავებულად აფასებს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ "დიარიო სპორტმა" ბასკი არბიტრის მუშაობას სამარცხვინო უწოდა. კატალონიური გაზეთი ამტკიცებს, რომ სენიორ გონსალესმა "მურსიას" ორი ასპროცენტიანი პენალტი არ მისცა. გარდა ამისა, მას საკამათო ეპიზოდების სამეფო კლუბის სასარგებლოდ გადაწყვეტაშიც ადანაშაულებენ. "დიარიო მარკა" კი აბსოლუტურად განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს. მადრიდულმა გამოცემამ იტურალდე გონსალესს 8 ქულა დაუწერა და მხოლოდ იმის გამო უსაყვედურა, რომ **გუტის** საჯარიმოში წაქცევის გამო "რეალს" პენალტი არ მისცა. ძნელი მისახვედრი არ არის ამ აზრთა სხვადასხვაობას რა განაპირობებს. "დიარიო მარკა" "რეალისადმი" სიმპათიას არასოდეს მალავს. "დიარიო სპორტი" კი ბარსელონაში იბეჭდება და ცხადია, "ბარსას" უმაგრებს ზურგს.

ასე იყო თუ ისე, სამეფო კლუბმა **ვესლი სნეიდერის** ეფექტური გოლის წყალობით უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა. **ბერნდ შუსტერი** სამი ქულის მოპოვებით ძალიან კმაყოფილი დარჩა. აი, რა განაცხადა მან: *"ვერ ვიტყვი, რომ საუკეთესო შეხვედრა ჩავატარეთ, მაგრამ მთავარია, გავიმარჯვეთ. სეზონის დასრულებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. ახლა კეკლუცობის დრო არ არის. ქულას ქულა უნდა შევმატოთ და სიბელესამდე მივიდეთ. მალე რუუდ ვან ნისტელროი დაგვიბრუნდება. იმედია, ჰოლანდიელი ფორვარდის გამოჯანმრთელების შემდეგ, თავდასხმა მნიშვნელოვნად გაძლიერდება. გულწრფელად გეტყვით, ჩემი გუნდის ჩემპიონობაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ სანამ ყველაფერს ოფიციალურად არ გავიფორმებთ, ფიესტა არ უნდა დავიწყოთ. პროფესიონალებს საქმისადმი ასეთი მიდგომა არ ეპატიებათ".*



მანუელ პელეგრინი

შუსტერისგან განსხვავებით, "მურსიის" დამრიგებელი **ხავიერ კლემენტე** ძალიან უკმაყოფილო იყო. განწყობა მას სამი ქულის დაკარგვაზე მეტად გამოუყენებელმა მომენტებმა და მსაჯის უსამართლობამ გაუფუჭა: *"მიმდინარე სეზონში ასეთი იოლი შეხვედრა არ გვქონია. ყველა პირობა გვქონდა იმისთვის, რომ მოგვეგო, მაგრამ ჩვენი დაუდევრობისა და იტურალდე გონსალესის შეცდომების გამო ხელმოცარულები დავრჩით. შეიძლება, ვინმემ იფიქროს, კლემენტეს მსაჯის საწინააღმდეგო რა აქვს, სენიორ გონსალესმა "რეალს" მიგელ ტორესი შეხვედრის მე-20 წუთზევე გაუგდოო, მაგრამ საქმე ის არის, რომ დარჩენილი 70 წუთის განმავლობაში მთავარმა არბიტრმა უამრავი უსამართლო გადაწყვეტილება მიილო. სამწუხაროდ, საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. არადა, რომ მოგვეგო, პრიმერა დივიზიონში დარჩენის შანსი გაგვიუმჯობესდებოდა".*

რომ არა ორი გარემოება, მადრიდელებს სრული ბედნიერებისთვის ყველანაირი საბაბი ექნებოდათ. განწყობა მათ გუტის დისკვალიფიკაციამ და **როისტონ დრენტეს** ტრავმამ გაუუარესა. ხოსე მარიამ მეხუთე ყვითელი ბარათი მიილო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ "რეალის" ვარსკვლავი სანტანდერის "რასინგთან" უპრინციპულეს დაპირისპირებას გამოტოვებს. დრენტეს რაც შეეხება, მას ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. ექიმები ვარაუდობენ, რომ ჰოლანდიელი ნახევარმცველი "რასინგთან" ვერ ითამაშებს.

"ვილიარეალმა" ოთხთვიანი პაუზის შემდეგ, ზედიზედ მეორე პრიმერადივიზიონური მატჩი წააგო. 6 ქულის დაკარგვა **მანუელ პელეგრინის** გუნდის სატურნირო მდგომარეობაზე პირდაპირპროპორციულად აისახა. "ყვითლებმა" მეორე ადგილი "ბარსელონას" დაუთმეს. შეგახსენებთ, "ალმერიასთან" წაგებამდე ისინი "სევილიასთან" დამარცხდნენ. სენიორ პელეგრინი ძალიან დამწუხრებულია. ანდალუსიური წარუმატებლობა მან **დიეგო ლოპესის** გაძევებას დაუკავშირა: *"ძალიან ძნელია, როცა პირველ ტაიმში მეკარეს გაგიგდებენ. კაცნაკლულები დავრჩით და ტაქტიკა აგვერია. ბოლოს რამდენიმე მიუტევებელი შეცდომაც დავუშვით. "ალმერიამ" ამით კარგად ისარგებლა და გაგვიტანა. მიუხედავად ყველაფრისა, ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებთ. შეგირდებთან სერიოზული საუბარი მექნება. ვიცი, ბიჭები დაილალნენ, მაგრამ ვალდებულები ვართ, ძალა მოვიკრიბოთ და ბოლო 6 შეხვედრა თავგანწირვით ჩავატაროთ".*

პელეგრინის დაავიწყდა აღენიშნა, რომ მის გუნდს 272 წუთია გოლი არ გაუტანია. მოწინაალმდეგის კარს თუ არ დალაშქრავ, ბუნებრივია, თამაშს ვერ მოიგებ. ასე რომ, ჩილელ სპეციალისტს მთავარი სამუშაო სწორედ თავდასხმის ხაზში ექნება.

"ვალიადოლიდისა" და "ატლეტიკოს" დაპირისპირებას დიდი ინტრიგა უძლოდა წინ. ვალიადოლიდი მადრიდიდან 200 კილომეტრში მდებარეობს. ამ ქალაქის საფეხბურთო საზოგადოება სამ ნაწილადაა გაყოფილი. ყველაზე მეტი გულშემატკივარი "რეალს" ჰყავს, მეორე ადგილზე თავად "ვალიადოლიდის" ინჩასები არიან, შემდეგ კი "ატლეტიკოს" ქომაგები მოდიან. შესაძლოა, პარადოქსულად მოგეჩვენოთ, მაგრამ "როხიბლანკოს" ფანებისთვის გამოყოფილი კვოტა თითქმის ბოლომდე ადგილობრივმა ინჩასებმა შეავსეს. ინტრიგას **ხოსე ლუის პერეს კამინეროს** პერსონა კიდევ უფრო ამძაფრებდა. "ვალიადოლიდის" სპორტული დირექტორი წლების განმავლობაში "ატლეტიკოს" ღირსებას იცავდა. 1996 წლის ლეგენდარულ სეზონში მიღწეულ ფენომენალურ წარმატებას (იგულისხმება პრიმერა დივიზიონსა და ესპანეთის სამეფო თასზე გამარჯვება) სწორედ მის სახელს უკავშირებენ. მოკლედ, ამ თამაშს ინტერესი მართლაც არ აკლდა. სტუმრები უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას-



ვილიარეალმა ალმერიასთან წაიფორხილა

თან ახლოს იყვნენ, მაგრამ საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე **ოგბეჩემ** წონასწორობა აღადგინა და **ხავიერ აგირეს** ხასიათი წაუხდინა. აი, რა განაცხადა სტუმართა დამრიგებელმა: *"ობიექტურად რომ ვიმსჯელო, შედეგი სამართლიანი იყო, მაგრამ გული მწყდება, რომ ორი ქულა თამაშის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე დავკარგეთ. "ვალიადოლიდმა" ღირსეულად იასპარეზა. სტადიონზე საოცარი ატმოსფერო სუფევდა. დიდი სიამოვნება მივილე, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ჩამიმწარდა. რომ მოგვეგო, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსს გავიუმჯობესებდით. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ბოლო ტურამდე არაფერი გაირკვევა. კონკურენცია იმდენად დიდია, რომ ვადამდელ წარმატებაზე საუბარი არასერიოზულობა იქნება".*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საგა. რონალდინიოს საიდუმლო

# ინტერი: ჩვენ არაფერს გვეკითხებით?

## მორატი აცხადებს, ბრაზილიელის მილანური ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ ინტერის თანხმობა იქნებაო

შესაძლოა, **რონალდინიოს** ტრანსფერი ახალ საგად იქცეს. გუშინ მისმა ძმამ და აგენტმა **რობერტო დე ასისმა** ყველას გასაგონად და გარკვევით თქვა: მიუხედავად იმისა, რომ ამ მომენტისთვის ხელშეკრულება გაფორმებული არ არის, ჩემი კლიენტის "მილანში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი ამბავიაო. მან დაახლოებით ერთი კვირა დაჰყო მილანში, სადაც რამდენჯერმე შეხვდა კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის**. გუშინ მან ინტერვიუ მისცა ფრანგულ "კანალ პლუსს". აი, მისი საუბრის მცირე ნაწყვეტი:

*"მილანი" ენთუზიაზმით ჩაება მოლაპარაკებებში, რომლის საბოლოო მიზანია რონალდინიოს გადასვლა "როსონერიში". უნდა გითხრათ, რომ სერიოზულად წავიწიეთ წინ. კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, თუმცა მრჩება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი მოგვარებულია და დარჩა მხოლოდ დოკუმენტების გაფორმება. თუმცა ოფიციალურ განცხადებამდე რაღაც დეტალებია დასაზუსტებელი. საქმე ისაა, რომ რონალდინიოს "ბარსელონასთან" ჯერაც კონტრაქტი აკავშირებს, ამიტომ, ვიდრე ეს საკითხი საბოლოოდ არ მოგვარდება, ბეჭედს ვერ დავსვამთ. მაგრამ კიდევ ერთხელ შემიძლია გავიმეორო, რომ "მილანის" პოზიციები ძალიან ძლიერია".*

მხარეებს შორის საკვანძო მოლაპარაკება შედგა შაბათს, რის შემდეგაც გალიანიმ პრესას ამცნო: *"კონტრაქტისთვის საფუძველი მომზადებულია, ჩვენ საბაზისო შეთანხმებას მივაღწიეთ. ახლა ისღა დაგვრჩენია, "ბარსელონასთან" მოვილაპარაკოთ. სხვათა შორის, მათ მოგვცეს უფლება, პირდაპირ რონალდინიოსა და მის აგენტს ვესაუბროთ. შევჩენკო? ისიც შეიძლება ჩამოვიდეს. "ჩელსისთან" კონტაქტი გვაქვს და კლუბის მესვეურებს კიდევ შევხვდებით. იმედია, ამ მხრივაც ყველაფერი კარგად იქნება".*

მაგრამ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა "ინტერის" პრეზიდენტ **მასიმო მორატის** განცხადება: რონალდინიოს ბედი ჩვენზეა დამოკიდებული, ანუ, როგორც "ნერაძური" იტყვის, ისე იქნებაო: *"ამ კვირაში ჩვენ ავწონ-დავწონით სიტუაციას დ<sub></sub>ვნახავთ, რისი გაკეთება შეგვიძლია, ბოლომდე გავყვეთ ამ სატრანსფერო ხაზს, თუ არა. "ბარსელონის" ხელმძღვანელობასთან ბრწყინვალე ურთიერთობა გვაქვს, ასევე ფეხბურთელის მენეჯერთან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: სად ითამაშებს რონალდინიო, "ინტერში" თუ "მილანში", ეს ჩვენი გადასაწყვეტია. შესაძლოა, "მილანს" წარმატებები აქვს მოლაპარაკებებში, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ გზა "ინტერისთვისაც" ხსნილია".*



რონალდინიოსთან დაკავშირებული სიტუაცია შარშანდელ ამბავს გვაგონებს. როგორც გახსოვთ, აგვისტოში "მილანმა" ოფიციალური განცხადება გააკეთა, "კალიარის" ფორვარდ **დავიდ სუასოს** შეძენასთან დაკავშირებით. ამას "ინტერის" გაცოფება მოჰყვა, ფეხბურთელი ჩვენ შეგვითანხმდაო. საბოლოოდ, გამარჯვებული "ნერაძური" გამოვიდა. დღეს სუასო სწორედ "ინტერის" მოთამაშეა. ამიტომ, იბადება კითხვა: ხომ არ იჩქარა გალიანიმ? მართალია, ოფიციალური განცხადება არ გაკეთებულა, მაგრამ ასე დარწმუნებით საუბარი, როგორც გუშინ ითქვა - რონალდინიო ჩვენიაო, გადაჭარბებულად გვეჩვენება.

მილანი

# გატუზოს ყიდიან?

## რიგში ბაიერნი, ტოტენჰემი და ნიუკასლი დგანანო

"მილანის" მიერ დეკლარირებული საზაფხულო ტრანსფორმაცია, რაც, პირველ რიგში, გუნდის გაახალგაზრდავებას გულისხმობს, **ჯენარო გატუზოს** გაყიდვით დაიწყებაო, წერს იტალიური პრესა. მართლაც და, "როსონერი" სერია A-ს უხუცესი გუნდია. ასაკობრივი თასმა ვერც **ალეშანდრე პატომ** დასწია. "ახალი სისხლის" აუცილებლობაზე უკვე ყველა ღიად საუბრობს. ცხადია, რომ ამ შემადგენლობამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა. თუმცა, ეტყობა, ყველა ასე არ ფიქრობს. მაგალითად, **პაოლო მალდინის** ჯერ არ გადაუწყვეტია, დაასრულებს თუ არა კარიერას, მიუხედავად შარშანდელი განცხადებისა, რომ ეს სეზონი მისთვის უკანასკნელი იქნებოდა. მაგრამ მალდინი სხვაა. ის "როსონერის" სიმბოლოა და ვერავინ აიძულებს, ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოს...

გაახალგაზრდავება, ძირითადად, ეკონომიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. "მილანს" ხუთი ტური აქვს იმისთვის, რათა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს. თუ **კარლო ანჩელოტის** სამწყსო არცთუ სახარბიელო შანსს ხელიდან გაუშვებს, მომავალ სეზონში კლუბი სერიოზულ თანხებს დაკარგავს. თუკი პრესტიჟულ ევროტურნირში არ მონაწილეობ, ინვესტორისგან ინტერესი კლებულობს. ამას გარდა, თავად ლიგაც დიდ შემოსავალს იძლევა. ის დიდი ყულაბაა. ამიტომ, კლუბი თავს იზღვევს. ხედავს რა საშიშროებას, რომ კვარტეტს მიღმა შეიძლება დარჩეს, იწყებს ფიქრს იმაზე, რომ ფეხბურთელთა ერთი ნაწილი გაყიდოს, ამ სატრანსფერო ოპერაციებით შემოსული თანხა კი ახალი გუნდის მშენებლობაში ჩადოს. სხვათა შორის, ლიგაში ვერმოხვედრამ, შესაძლოა, **ანდრეი შევჩენკოსა** და **რონალდინიოს** ტრანსფერსაც შეუშალოს ხელი...

მაგრამ რატომ, მაინც და მაინც გატუზო? თუ გახსოვთ, შარშან ამ დროს<br>



საც იყო მის გაყიდვაზე საუბარი, თითქოსდა, "რეინჯერსში" უპირებდნენ გაშვებას, იმ "რეინჯერსში" სადაც 1997-99 წლებში თამაშობდა. მას შოტლანდიელი ცოლი ჰყავს და შესაძლოა, ეს იყოს კიდეც გადამწყვეტი ფაქტორი საბოლოო არჩევანის წინ. თუმცა "რეინჯერსამდე" მას სხვა წინადადებების განხილვაც მოუწევს.

იტალიურ პრესაში "ბაიერნზე" დაიწერა. როგორც ამბობენ, გატუზოს სამსახურით პრემიერლიგის რამდენიმე კლუბიცაა დაინტერესებული, მაგალითად, "ტოტენჰემი" და "ნიუკასლი". პირველი ადრეც აცხადებდა მასზე პრეტენზიას, მაგრამ ახლა უფრო ხელსაყრელი მომენტია. ცნობილია ისიც, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი სერ **ალექს ფერგიუსონი** "რინოს" დიდი ხნის თაყვანისმცემელია, მაგრამ ვეჭვობთ, "მანკუნიანელებმა" 30 წლის მოთამაშეზე გააკეთონ აქცენტი.

იუვენტუსი

# ლიპი არ გვინდა, რანიერი რჩება

## მოდის თუ არა კიუელი? ამაურიზე მოლაპარაკებები დღეს დაიწყება

"იუვენტუსის" უფროსობა "მილანთან" გამარჯვებით აღფრთოვანებულია. შაბათს "ბებერმა ქალბატონმა" ისტორიულ "მტერს" 3:2 მოუგო და სასწაული უნდა მოხდეს, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოიპოვოს. "იუვეს" მესვეურთა ამაღლებული განწყობა, პირველ რიგში, **კლაუდიო რანიერის** გაახარებს. კლუბის პრეზიდენტმა **ჯოვანი კობოლი ჯილიმ** გუშინ წერტილი დაუსვა ხმებს იმასთან დაკავშირებით, თითქოს გუნდში **მარჩელო ლიპი** ბრუნდება. ჯილიმ ინტერვიუ მისცა "რადიო ანკიოლო სპორტს" და აი, რა თქვა:

*"მარჩელოს დაბადებიდან 60 წლისთავს ვულოცავთ. ის დიდი მწვრთნელია და "იუვენტუსისთვის" ძალიან ბევრი გააკეთა, მაგრამ რანიერის ვერ შეველევით. სწორედ კლაუდიოა ის სპეციალისტი, რომელიც ახლა "იუვეს" ყველაზე მეტად გამოადგება. ილუზიონისტები და მკითხავები არ გვჭირდება. ამიტომ, აქ არანაირი ეჭვი არ უნდა იყოს: რანიერი რჩება".*

პრეზიდენტი განსაკუთრებით მწვრთნელსა და მოთამაშეებს შორის ურთიერთობითაა აღფრთოვანებული: *"მის ხელში გუნდი ყოველთვის მობილიზებული და შემართულია. რა თქმა უნდა, იყო და დღესაც არის პრობლემები, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია. რანიერის მეშვეობით, ფეხბურთელებმა აჩვენეს, რომ სერია B წარსულს ჩაბარდა. მან გუნდი სკუდეტოზე დაგეშა და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მომავალ სეზონში სწორედ ამ მიზნისთვის ვიბრძოლებთ. როცა მე და ჟან-კლოდ ბლანი მას პირველად შევხვდით, ვისაუბრეთ 3-წლიან პროექტზე. ამ პროექტის დაგვირგვინება უნდა იყოს "იუვეს" ტრიუმფალური დაბრუნება ევროსარბიელზე, ისეთი დაბრუნება, როგორიც კლუბის სახელსა და ისტორიას ეკადრება".*

შემდეგ, კობოლი ჯილიმ პალერმოელ კოლეგა **მაურიციო ძამპარინისთან** დაგეგმილ შეხვედრაზე ისაუბრა. **კარვალიო ამაურის** შეძენასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაში შედის. თავად ძამპარინიც აცხადებს, რომ "იუვენტუსს" სერიოზული შანსი აქვს. თავად ტურინელთა პრეზიდენტი კი იმედოვნებს, რომ ძამპარინისთან მოლაპარაკებები წარმატებული იქნება:



*"ის ყოველთვის კარგი პარტნიორი იყო, განსაკუთრებით საფეხბურთო ბიზნესში. ვიცით ძამპარინის ხასიათი და აქედან გამომდინარე, რთულ მოლაპარაკებებს ველოდებით. მას ექნება საიმისო არგუმენტი, თუ რატომ უნდა ღირდეს ამაური ესოდენ ძვირი. ჩვენ მოვუსმენთ ძამპარინის და ალტერნატიულ წინადადებებს შევთავაზებთ. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ველით, რომ ყველაფერს ერთი შეხვედრა გადაწყვეტს, მაგრამ ის ფაქტი, რომ სინიორ მაურიციო თანახმაა მოლაპარაკებებზე, უკვე ბევრს ნიშნავს. შარშან, ჩვენ ასე წინ არ ვიყავით. ახლა რამდენი გვაქვს შანსი? შევხვდებით, ვისაუბრებთ და ვნახავთ. ყოველ შემთხვევაში, არ ვეთანხმები პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილია. მერწმუნეთ, წინ დიდი ბრძოლა გველის. ასე რომ, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას".*

ამასობაში, იტალიური პრესა ავრცელებს კიდევ ერთ ინფორმაციას, "იუვენტუსის" სატრანსფერო გეგმებთან დაკავშირებით. საუბარია **ჰარი კიუელზე**. ავსტრალიელი გარემარბი "ლივერპულში" თითქმის არ თამაშობს. მართალია, ამაში ტრავმებიც უშლის ხელს, მაგრამ **რაფა ბენიტესი** არც სალსალამათს სწალობს. "ლივერპულთან" მისი 5-წლიანი კონტრაქტი ივნისში იწურება. მერსისაიდული კლუბი ხელშეკრულების გაგრძელების სურვილს არ გამოთქვამს, პრინციპში, ამაზე მოლაპარაკებები უკვე დაგვიანებულიცაა. როგორც ჩანს, 29 წლის კიუელს "ენფილდის" დატოვება თავისუფალი აგენტის სტატუსით მოუწევს. "კორიერე დელო სპორტის" მტკიცებით, რანიერის ავსტრალიელი იმ დროიდან მოსწონს, როცა "ჩელსის" მწვრთნელი იყო. სწორედ მაშინ ცდილობდა კიუელის გადაბირებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ახლა მას აქვს შანსი, სურვილი "იუვენტუსში" აისრულოს. ეტყობა, რანიერის ის 36 წლის **პაველ ნედვედის** ალტერნატივად სჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ ჩეხი ნახევარმცველი ტურინში კიდევ ერთი წლით რჩება...

თუმცა "სანდი მირორის" მტკიცებით, კიუელს "ლივერპულიდან" აბარგება არ სურს. გაზეთს მოჰყავს ინკოგნიტო წყარო, რომლის თქმითაც, ჰარი და მისი ოჯახი ჩრდილო-დასავლეთში თავს ჩინებულად გრძნობენ. ფეხბურთელი კი, თურმე, საბოლოო გამოჯანმრთელებას ელოდება, რათა "ლივერპულს" თავისი ღირსებები დაუმტკიცოს. იქვე, წყარო საუბრობს იმაზეც, აქამოდა, "წითლების" მწვრთნელს კიეუელისადმი ნდობა არ დაუკარგავსო, რაც ცოტა არ იყოს, გასაკვირია. პარალელურად, ვრცელდება ინფორმაციაც, თითქოს, ავსტრალიელი გარემარბით "სანდერლენდი", "ბოლტონი" და "სელტიკი" არიან დაინტერესებულნი.

გვერდი მოამზადა
გიორგი გელაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ რონალდოსთან

# მინდა, მალე დავბრუნდე

**ჯერ ფლამენგო, მერე ჭინახოთი. რონალდო ბერლუსკონისა და მორატის საკუთარ ცხოვრებასაც კი მიანდობდა**

რონალდოს იძულებითი შვებულება აქვს. "ფენომენი" თებერვალში მიღებულ ტრავმას მკურნალობს. ერთი ხანობა, ფეხბურთისთვის თავის დანებებას აპირებდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა. პარიზიდან დაბრუნებულმა "მილანელოს" ბაზაზე რომ დავდგი ფეხი, მივხვდი, წასვლაზე ფიქრი ჯერ არ შეიძლებაო, თქვა რონალდომ ორი კვირის წინათ. ამ დღეებში კი ის "გაძეტა დელო სპორტს" ესაუბრა...

**- ამასწინათ, "რომა"-"მანჩესტერის" მატჩის შემდეგ, "გაძეტა დელო სპორტი" ასეთი სათაურით გამოვიდა - "რონალდო ძალიან ბევრია". მაგრამ ეს შენზე არ ყოფილა...**

- კი, ვნახე ის ნომერი და თავიდან შოკირებული ვიყავი. ვიფიქრე, ჩემზე იყო საუბარი. მერე კი გამეღიმა, რადგან საფირმო მარკა "რონალდო" ყოველთვის დიდ სიმაღლეზე იყო, ახლა ჩვენ ორნი ვართ. უნდა გითხრათ, რომ პორტუგალიელის არ მშურს. სულაც არ ვთვლი, რომ ის მეტოქეებს დასცინის, როცა ხშირად უსარგებლო ფინტებს აკეთებს. ის ცდილობს, გაექცეს მეურვეებს, თან ფეხბურთისგან სიამოვნებას იღებს.

**- თავად როდის შეძლებ მოედანზე დაბრუნებას?**

- დღეში ოთხ-ხუთ საათს ვმუშაობ. ნებისმიერ შემთხვევაში, ჯანმრთელობა უნდა დავიბრუნო, რათა ზაფხულში, მეგობრებთან ერთად, პლაჟზე გავაგორო ბურთი და საერთოდ, ნორმალური ცხოვრებით ვიცხოვრო. პარიზში ყოფნის დროს, ექიმმა დამაიმედა და მომცა გარანტიები, რომ ფეხბურთს კიდევ ვითამაშებ. ოპერაციის შემდეგ ორი თვე გავიდა და ვგრძნობ, რომ მუხლი გაცილებით უკეთაა, ვიდრე მაშინ, მარჯვენა მუხლი რომ მქონდა დაზიანებული.

**- და გაქვს სურვილი, საფეხბურთო კარიერა გააგრძელო?**

- მაქვს და თანაც, ძალიან დიდი. ჯერჯერობით, ფეხბურთის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. როცა ტრავმა მივიღე, პირველი ერთი კვირა ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც გამოფიტული ვიყავი. მერე გამოჩნდა პროგრესის პირველი ფაზა და ჰიპოდინამიის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ვიგრძენი, რომ სიცოცხლის რაღაც ნიშნები მქონდა... რა თქმა უნდა, ჯერჯერობით, შორია იქამდე, ვიდრე ძუნძულს დავიწყებ. სადღაც 4 თვე კიდევ მომიწევს ლოდინი. მაგრამ კარგი ისაა, რომ პირველ ტრავმასთან შედარებით, ახლა სარეაბილიტაციო პროცესი გაცილებით ხანმოკლე იქნება.

**- მოკლედ, "მილანში" დაბრუნება გინდა...**

- თითოეულ ფეხბურთელთან, მწვრთნელებთან, ხელმძღვანელობასთან ჩინებული ურთიერთობა მაქვს და ვიცი, რომ ჩემთვის კარი ყოველთვის ღიაა. მაგრამ სწორად გამიგეთ, "მილანის" დონეს ხომ უნდა ვპასუხობდე? ამიტომ, გამიჩნდა იდეა, რომ ცოტა ხნით სამშობლოში დავბრუნდე და "ფლამენგოში" ვითამაშო. თუ ყველაფერი კარგად იქნა, მერე აუცილებლად დავბრუნდები.

**- მაგრამ ოპტიმალური ფორმის მისაღწევად წონის კონტროლია საჭირო...**

- ჩემს წონაზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ სიმართლე არავინ იცის. აღარ ვარ ის ბიჭი, როცა 75 კგ-ს ვიწონიდი. როცა მსოფლიო ჩემპიონი გავხდი, 86 თუ 87 კგ ვიყავი. რა თქმა უნდა, ახლაც მომატებული მექნება წონა, რადგან მთელი დღე გაუნძრევლად ვარ. გამიმართლა, რომ ჯანსაღ საკვებს ვიღებ, არ მიყვარს ტკბილეული და არც ლორმუცელა ვარ, როგორც ამას გაზეთები წერდნენ.

**- შვილს კარიერის რომელ მომენტებზე მოუყვებოდი?**

- საუკეთესო ფეხბურთი 2002 წლის მუნდიალზე ვითამაშე. გოლებს რაც შეეხება, გავიხსენებდი, "ბარსელონაში" ყოფნის დროს "კომპოსტელას" კარში გატანილ გოლს, "რეალის" მაისურით გატანილ პირველ გოლსაც, "ინტერში" რომ ვთამაშობდი, იტალიის თასზე "პიაჩენცას" ძალიან მაგარი გოლი გავუტანე. ან თუნდაც "მილანში" თამაშისას, როცა "კალიარის" მკერდით გავუტანე. მაგრამ შვილს, პირველ რიგში, მოვუყვები იმაზე, რომ თავიდან ოცნებებში დავფრინავდი, მერე მიწაზე დავეცი, მერე იყო მორიგი ალმაფრენა, ისევ დაშვება და ასე შემდეგ... ასეთია ფეხბურთელის ცხოვრება და ეს მარტო ჩემი შვილისთვის კი არ არის მაგალითი, არამედ სხვებისთვისაც, ვინც ახლა იწყებს ფეხბურთის თამაშს.

**-"რეალი"-"ბარსელონის" მატჩში ვის უქომაგებ?**

- "რეალს", რადგან იქ უფრო მეტხანს ვთამაშობდი. მაგრამ ნამდვილი ქომაგობა რასაც ჰქვია, ასეთი ჩემთვის "ფლამენგოა". ეს დაუვიწყარი ემოციებია. როგორც ნებისმიერი ბიჭუნა, მეც დავდევდი ვარსკვლავებს ავტოგრაფებისთვის, მამასთან ერთად დავდიოდი "მარაკანაზე", რათა საკუთარი თვალით მენახა საყვარელი გუნდი... მაშინ ხომ იქ ზიკო თამაშობდა. ეს ნამდვილი სპექტაკლები იყო...

**- გაზეთებში დაწერეს, "ეინდჰოვენში" ყოფნის დროს რონალდოს აკრძალულ პრეპარატებს აძლევდნენ და ამიტომაც აქვს ხშირად ტრავმებიო...**

- რამდენადაც ვიცით, მსგავსი არაფერი ყოფილა. მეც მსმენია, ანაბოლიკებს აძლევდნენ, სიმაღლეში რომ მოემატაო. კიდევ ერთხელ გეუბნებით, ასეთი რამ არ მომხდარა. სხვათა შორის, მესიზეც ამას ამბობენ. ჩემთვის ერთ კითხვაზე პასუხი ცნობილია: სპორტულ მედიცინას ყოველთვის არ შეუძლია დასახული ამოცანების გადაჭრა. დღევანდელი საფეხბურთო კალენდარი ძალიან გადატვირთულია და არ არის უიქენდი, რომელიმე მოთამაშემ მძიმე ტრავმა რომ არ მიიღოს. მოდით, ეს პრობლემა შევისწავლოთ და ვიმსჯელოთ ამაზე. მე მგონი, სჯობს უსარგებლო თემებზე საუბარს.

**- რა სჭირდება "მილანს" იმისთვის, რომ ძველ სიმაღლეზე დაბრუნდეს?**

- "მილანი" ახლაც დიდია. განა ახლა არ იყო, ჩემპიონთა ლიგა რომ მოიგო? თუკი წლევანდელ სეზონს წარუმატებლად აფასებენ, ჩემი აზრით, ამაში დიდწილად ტრავმებია დამნაშავე. ძალიან მძიმე იყო "არსენალთან" წაგებაც. ამან გუნდზე ფსიქოლოგიურად იმოქმედა. რა თქმა უნდა, რამდენიმე ახალი მოთამაშეც საჭიროა. საერთოდ, "მილანს" ახალი სისხლი, ენთუზიაზმი და მოტივაცია სჭირდება. მაგრამ, კიდევ გეუბნებით, ეს "მილანიც" ძალიან ძლიერია და დიდი მოთამაშეებიც ბევრი ჰყავს. თითოეული მათგანი ნებისმიერ დროს მზადაა, მოედანზე ყველაფერი დადოს, და არა მარტო თავისთვის, არამედ მეგობრისთვის, კლუბისთვის... ეს შეუფასებელი განძია.

**- რონალდინიოს მომავალი როგორი იქნება?**

- შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ვფიქრობ, ის "ბარსელონაში" დარჩება. ის ძალიან სჭირდება "ბარსას". დარწმუნებული ვარ, რონალდინიო მალე დაიბრუნებს სტაბილურობას და ყველა პრობლემას წარსულში დატოვებს.

**- ადრიანოსთან თუ გაქვს კავშირი? შეძლებს ის ძველ დონეზე დაბრუნებას?**

- დიახ, ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ და ვიცი, რომ "სან პაულოში" კარგადაა. არც ის არის დასამალი, რომ მას რთული ხასიათი აქვს, მაგრამ, როგორც ფეხბურთელი, ბრწყინვალეა და უფრო უკეთაც შეუძლია თამაში.

**- ისე ჩანს, თითქოს პატო შენს გზას იმეორებს. რას მიაღწევს ის?**

- პატო განსაკუთრებული ტალანტია. მისგან განსხვავებით, მე უფრო იოლ ჩემპიონატში დავიწყე დიდი კარიერა, ის კი ბრაზილიიდან პირდაპირ სერია A-ში აღმოჩნდა და თანაც, ძალზე მოკლე პერიოდში, "მილანის" მთავარ დამრტყმელ ძალად იქცა. ის მსუბუქია მოედანზე, ორივე ფეხით კარგად ურტყამს და მუდმივად ზრუნავს ოსტატობის ამაღლებაზე. ეს უკვე იმის ნიშანია, რომ პროფესიონალია. ჩემგან განსხვავებით, მას ენობრივი ბარიერი არ ჰქონია. მე კი ძნელ ჰოლანდიურ ენაზე ბოდიშის მოხდასაც კი ძლივს ვახერხებდი. მაგრამ მერე ვისწავლე ჰოლანდიური და ზეედორფს ხანდახან მის მშობლიურ ენაზეც კი ვესაუბრები, როცა გვინდა, რომ საუბრის შინაარსი არავინ გაიგოს.

**- რით დასრულდება სერია A-ს საჩემპიონო რბოლა?**

- "რომა" ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ სკუდეტო "ინტერს" დარჩება. პირადად ჩემთვის, ეს დღესავით ნათელია.

**- იხსენებ ხოლმე 1998 წლის 26 აპრილს, როცა "იუვენტუსი"-"ინტერის" მატჩში იულიანომ შენს წინააღმდეგ წესები დაარღვია და მსაჯმა პენალტი რომ არ დანიშნა? ეს ხომ, ფაქტობრივად, სკუდეტოს დაკარგვას ნიშნავდა...**

- პირველ რიგში, ის მახსენდება, რაც ფარდის მიღმა იყო და ამაზე ყველამ ყველაფერი იცოდა. ეს იყო კლასიკური ტიპის მაფია და კარგია, რომ მართლმსაჯულებამ იზეიმა.

**- პარლამენტის არჩევნები ახლოვდება (იტალიაში არჩევნები კვირას ჩატარდა - რედ). ვის მისცემდი ხმას, არჩევანის გაკეთება ბერლუსკონისა და მორატის შორის რომ გიწევდეს?**

- არ ვიცი. ჩემთვის ორივე მნიშვნელოვანი ადამიანია. ერთსაც და მეორესაც ყველაფერს ვანდობდი, საკუთარ საქმეებსაც და ცხოვრებასაც კი. იტალიას ორივე დიდ სარგებლობას მოუტანდა. მაგრამ მორატის აქტიური პოლიტიკა არ აინტერესებს...

**- კარიერის დასრულების შემდეგ რას გააკეთებ?**

- ბევრი საქმეა... პირველ რიგში, საზოგადოებრივი კუთხით. იცით, ალბათ, გაერო-ს ელჩი ვარ და ეს ბევრს მავალდებულებს. სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო...

**გიორგი ბელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბარსელონა. დიდი სამზადისი მანჩესტერთან მატჩის წინ

# ნახევარფინალში დანდობა არ იქნება

## გულშემატკივრები ეტოოს, კრკიჩისა და მესის ტრიოს ითხოვენ

**კატალონია** დიდი მატჩის მოლოდინშია. ზუსტად ერთ კვირაში "ბარსელონა" და "მანჩესტერი" პირველ ნახევარფინალურ ორთაბრძოლას ჩაატარებენ. ფრანკ რაიკაარდსა და მის შეგირდებს მშვენივრად მოეხსენებათ, რომ ჩემპიონთა ლიგა უსახური სეზონის გადარჩენის ბოლო შანსია. პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში "რეკრეატივოსთან" დაკარგული მორიგი ორი ქულა "ბარსას" შანსებს კიდევ უფრო ამცირებს. სასწაული უნდა მოხდეს, კატალონიელებმა ესპანეთის ჩემპიონატში რომ გაიმარჯვონ. ჩემპიონთა ლიგაში კი უამრავი პრობლემის მიუხედავად, ყველაფერი მაინც ამ გუნდზეა დამოკიდებული. თუ "ბარსელონა" ბოლო სამ ორთაბრძოლას მაღალ დონეზე ჩაატარებს და გაიმარჯვებს, ევროპული საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს დაეუფლება.

ობიექტური რეალობის გათვალისწინებით, მიმომხილველები ფავორიტად "მანჩესტერ იუნაიტედს" მიიჩნევენ. ეს არც არის გასაკვირი. ბრიტანული გრანდი პრემიერლიგაში დამაჯერებლად ასპარეზობს. "წითელი ეშმაკები" ინგლისის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების საუკეთესო შანსს ფლობენ. ამ კლუბის სიძლიერეზე პრემიერლიგის წინა ტურის შეხვედრაც მეტყველებს. მანჩესტერელებმა "არსენალთან" ურთულესი ორთაბრძოლა მოიგეს. ამ მატჩში **სერ ალექს ფერგიუსონის** შეგირდების შეუპოვრობა, თავდადება და სიძლიერე კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა. ამის პარალელურად, "ბარსელონა" პრიმერა დივიზიონში იტანჯება. კატალონიურ გრანდს გასვლითი შეხვედრა 16 თებერვლის შემდეგ არ მოუგია. სტუმრად გამართულ პაექრობებს თავი რომ დავანებოთ, რაიკაარდის შეგირდები მშობლიურ "კამპ ნოუზეც" ველარ ბრწყინავენ. მაშინ, როცა თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს, "ბარსამ" "ხეტაფესთან" უპრინციპულესი თამაში ვერ მოიგო. კაცმა რომ თქვას, რომელ გამარჯვებაზეა საუბარი, როცა მადრიდელებმა უილბლობის გამო უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. დიახ, **მიქაელ ლაუდრუპის** ბიჭებს ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, "კამპ ნოუდან" სამ ქულას წაიღებდნენ. კატალონიური გრანდის სერიოზულ კრიზისს რამდენიმე ფაქტი განაპირობებს. ფრანკ რაიკაარდს მრავალფეროვანი ტაქტიკური მონახაზები არ გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ქულას ქულაზე კარგავს, მთავარი მწვრთნელი, ფაქტობრივად, არაფერს ცვლის. "ბარსა" ისევ 4-3-3 სტრატეგიით ხელმძღვანელობს. გასაგებია, რომ ეს „ბარსელონის" სტილია, მაგრამ გასაჭირში ალტერნატიული მონახაზის გამოყენება მომაკვდინებელი ცოდვა ნამდვილად არ იქნება. არაერთხელ გვითქვამს, რომ ფეხბურთელები ძალიან ცუდად არიან მომზადებულები. რა თქმა უნდა, ესეც მთავარი მწვრთნელის დანაშაულია. პრობლემების გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას, ბუნებრივია, ხშირი ტრავმებიც უნდა ვახსენოთ. რაიკაარდს საუკეთესო შემადგენლობის თავმოყრის შესაძლებლობა მთელ სეზონში ერთი-ორჯერ თუ მიეცა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კატალონიელებს პრობლემები თავზე საყრელად აქვთ. და მაინც, ისინი "მანჩესტერთან" ორმატჩიან დუელს ოპტიმიზმით ხვდებიან.

საჩემპიონთალიგო ნახევარფინალის წინ გულშემატკივრები არნახულად გააქტიურდნენ. ინჩასები მთავარ მწვრთნელს რჩევით მიმართავენ. ისინი ფიქრობენ, რომ რაიკაარდმა შეტევის ხაზი **ეტოოს, მესისა** და **ბოიანის** ტრიოთი უნდა დააკომპლექტოს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა **ტიერი ანრის** შესახებ. საქმე ის არის, რომ ბოიან კრკიჩი დიდი ხანია, გულშემატკივრების კერპად იქცა. 17 წლის ფორვარდს ქომაგები ანრიზე წინ აყენებენ. მით უმეტეს ახლა, როცა ტიერის ტრავმა ბოლომდე ჯერაც არ მოუშუშებია. ინჩასები კრკიჩის უხვგოლიანობაზე აპელირებენ. მიმდინარე სეზონში მან 10 ბურთი გაიტანა. მართალია, ანრის მონაგარი 14 გოლს შეადგენს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფრანგ ფორვარდს მოედანზე უფრო მეტი დრო აქვს გატარებული. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ტიერის ყოველ 218 წუთში ერთი ბურთი გაჰქონდა, ბოიანს კი ამისათვის 181 წუთიც ჰყოფნიდა. რაც შეეხება სამუელ ეტოოს, მის შესახებ ისედაც ყველაფერი გარკვეულია. სერიოზული ტრავმისა და ხანგრძლივი უთამაშებლობის მიუხედავად, კამერუნელი დღეისათვის "ბარსელონის" საუკეთესო გოლეადორია. ეტოომ წელს 16 გოლი გაიტანა. ამ მონაგარს მოედანზე გატარებულ დროს თუ შევუფარდებთ, აღმოვაჩენთ, რომ სამუს ყოველ 110 წუთში ერთი გოლი გაჰქონდა. ოდნავ მოკრძალებულია ლეო მესის მიღწევები. მოგეხსენებათ, არგენტინელ ფორვარდსაც დიდი დრო გაუცდა. მძიმე თუ შედარებით მსუბუქი ტრავმების გამო მან თითქმის ხუთი თვე გამოტოვა. მიუხედავად ამისა, ლეომ 15 ბურთის შეგდება მაინც მოახერხა. სრული შთაბეჭდილების შესაქმნელად გეტყვით, რომ მესის ერთი ბურთის გასატანად 161 წუთი სჭირდებოდა.



სამუელ ეტოო



ლიონელ მესი



ბოიან კრკიჩი

გულშემატკივრებს ყველაფერი გარკვეული აქვთ. ისინი სწორედ ეტოოს, მესისა და ბოიანის ტრიოს დაყენებას ითხოვენ. ბუნებრივია, საზოგადოების განწყობის შესახებ ამ ფეხბურთელებს ამომწურავი ინფორმაცია აქვთ. გუშინ "დიარიო სპორტის" კორესპონდენტი **მანუელ ემილიანესი** "ბარსას" ვარსკვლავებს შეხვდა და მოახლოებულ უპრინციპულეს ნახევარფინალზე ჩამოუგდო სიტყვა. თავდაპირველად თქვენს სამსჯავროზე სამუელ ეტოოს განცხადებას გამოვიტანთ: *"უდავოა, ახლა საუკეთესო ფორმაში არ ვართ. ძალიან ბევრი პრობლემა დაგვიგროვდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე "ბარსელონას" ეხება. ამ გუნდს ნებისმიერ დროს შეუძლია ძალის მოკრება და კონკრეტული მატჩების მოგება. ცხადია, ცრუ ილუზიებით არ ვიკვებები. ძალიან კარგად ვიცი, "მანჩესტერი" რამდენად ძლიერი გუნდია, მაგრამ ჩვენ მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს წარმოვადგენთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ შესაძლებლობებს ბოლომდე გამოვამჟღავნებთ, ნებისმიერ მატჩს მოვიგებთ. მთავარია, ფორტუნამ არ გაგვწიროს. დარჩენილ ერთ კვირას პრობლემების მოსაგვარებლად მაქსიმალურად გამოვიყენებთ. იმედია, ყველაფერი კარგად წარიმართება. ფინალისტის ვინაობა პირველ შეხვედრაში არ გადაწყდება, მაგრამ ყველაფერი უნდა ვილონოთ იმისთვის, რომ განმეორებითი დაპირისპირების წინ გარკვეული უპირატესობა მოვიპოვოთ."*

ლეო მესი "მანჩესტერს" ჯეროვნად აფასებს, მაგრამ არგენტინელს ამ გუნდის არ ეშინია: *"რომელი გაზეთიც არ უნდა გადაშალოთ, ყველგან ინგლისური გუნდის უპირატესობაზე საუბრობენ. ფავორიტებზე აპელირება ჟურნალისტების საქმეა. პრინციპში, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. თანახმა ვარ, ფავორიტად "მანჩესტერ იუნაიტედი" შერაცხონ. ამით ფსიქოლოგიური წნეხისგან გავთავისუფლდებით. ყველა ხედავს, რომ ბრიტანელები ფანტასტიკურ სეზონს ატარებენ. კრისტიანო რონალდო და მისი თანაგუნდელები შესანიშნავ ფორმაში არიან. ინგლისელებს ფინალში გასვლის კარგი შანსი აქვთ, მაგრამ ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ "ბარსელონა" იოლად არაფერს დათმობს. სირთულეების მიუხედავად, ნახევარფინალური ბარიერის გადალახვის უნარი შეგვწევს. პირადად მე, უკან არაფერზე დავიხევ. მართალია, ბოლო ტრავმის გამო თითქმის ორი თვე გამიცდა, მაგრამ მაინც არაფრის მეშინია. გულწრფელად ვიტყვი, საუკეთესო კონდიციებისგან ჯერაც შორს ვარ, თუმცა თავს არ დავზოგავ და ჩემს გუნდს ყველანაირად დავეხმარები. თუ "ბარსელონა" შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენს, ფინალში გავალთ. ამაში ღრმად ვართ დარწმუნებული. პრიმერა დივიზიონისგან განსხვავებით, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. აქ შანსები აბსოლუტურად თანაბარია."*

აქვე ბოიან კრკიჩის განცხადებასაც გაგაცნობთ: *"ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ გულშემატკივრები ჩემს თამაშს ითხოვენ. 17 წლის ფეხბურთელისთვის ეს, რა თქმა უნდა, უდიდესი პატივია. გასათვალისწინებელია, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პაექრობას არ ვმართავთ. ამ ნახევარფინალზე მთელი სეზონის ბედია დამოკიდებული. ცხადია, თანაგუნდელებს გამოცდილებით ვერ შევედრები, მაგრამ ეს ფაქტი ხელს ვერ შემიშლის. ხომ იცით, ახალგაზრდული ჟინი და შემართება ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს. მზად ვარ, გამარჯვებისთვის თავი გავწირო. უკან არაფერზე დავიხევ. გეფიცებით, ასეთი მოტივირებული არასოდეს ვყოფილვარ. თუ მთავარი მწვრთნელი მოედანზე შემიშვებს, ბოლომდე დავიხარჯები. დადგა დრო, როცა "ბარსელონამ" რეალური შესაძლებლობები უნდა გამოამჟღავნოს. წელს გულშემატკივრებს არაერთხელ გავუცრუეთ იმედი. ვფიქრობ, ფინალში გასვლით ყველა დანაშაულს გამოვისყიდით. ისღა დაგვრჩენია, ბოლო ერთი კვირა ხარვეზების აღმოსაფხვრელად გამოვიყენოთ და მოედანზე საომრად გავიდეთ. ნახევარფინალში დანდობა არ იქნება. ორივე გუნდი საკუთარი პრესტიჟისა და თავმოყვარეობის დასაცავად იბრძოლებს."*

"დიარიო სპორტის" კორესპონდენტს ბოიანისთვის სხვა აქტუალური კითხვების დასმაც სურდა, მაგრამ კრკიჩმა მას თავაზიანი უარი განუცხადა. გემახსოვრებათ, რომ "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ 17 წლის ფორვარდს პრესასთან ურთიერთობა აუკრძალა. კატალონიელები ფიქრობენ, რომ კორესპონდენტებთან ხშირი ურთიერთობა ახალგაზრდა ყმაწვილს თავგზას აუბნევს და მის ზრდას შეაფერხებს. ბოიანს მხოლოდ მოკლე კომენტარების გაკეთების უფლება აქვს. ამის გამო "დიარიო სპორტის" თანამშრომელმა "ბარსას" თავდამსხმელს **ჩიკი ბეგირისტაინის** მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე ვერაფერი ჰკითხა...

გუშინ კატალონიური გიგანტის პრესსამსახურმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაავრცელა. გენერალურმა დირექტორმა ბოიანს ახალი ხუთწლიანი ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზა. პირველი შრომითი კონტრაქტი მხარეებს შორის წელიწადნახევრის წინ გაფორმდა. ესპანეთის კანონმდებლობის მიხედვით, დამსაქმებელს არასრულწლოვანი მოქალაქის ორ წელზე მეტი ვადით დაქირავების უფლება არ გააჩნია, ამიტომ მოქმედ ხელშეკრულებას აგვისტოში ეწურება ვადა. კრკიჩის გასაოცარი პროგრესის გათვალისწინებით, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ამ ბიჭმა ევროპული გრანდების ყურადღება მიიქცია. თავად განსაჯეთ, "ჩელსი" და "მილანი" მზად არიან, ამომავალ ვარსკვლავს ხუთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმონ და წლიურ გასამრჯელოდ სამი მილიონი ევრო და სამი მილიონი ფუნტი დაუნიშნონ. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ სამ მილიონ ფუნტს კრკიჩს ლონდონელები სთავაზობენ. დაგვეთანხმებით, "ბარსას" სერიოზული კონკურენტები გამოუჩნდნენ, თუმცა კატალონიელებს ვუნდერკინდის დაკარგვის საფრთხე მაინც არ ემუქრებათ. ბოიანი "ბარსელონის" ერთგულია და სხვა კლუბების წინადადებები საერთოდ არ აინტერესებს. მის ერთგულებაზე ისიც მეტყველებს, რომ ფეხბურთელი ბეგირისტაინს გაცილებით მოკრძალებულ წინადადებას უსიტყვოდ დათანხმდა. უახლოეს მომავალში ჩიკი ბეგირისტაინი და **ჟოან ლაპორტა** ბოიანს ახალ ხუთწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ. ეს წინადადება უფრო მოკრძალებული იმითაა, რომ კრკიჩი ყოველწლიურად მხოლოდ 1.750 მილიონ ევროს მიიღებს. ერთი შეხედვით, ბოიანი სერიოზულ ზარალზე მიდის, მაგრამ სასწაული უნდა მოხდეს, რომ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ამ ყმაწვილს "ბარსას" ხელმძღვანელობამ საკონტრაქტო პირობები არ გაუუმჯობესოს. ხელფასს მას, სავარაუდოდ, მომავალი სეზონის დასრულებისთანავე გაუზრდიან. ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ თინეიჯერი ფორვარდი რამდენიმე წელიწადში კატალონიური გრანდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება.

სენიორ ბეგირისტაინი ბოიანის ერთგულებას დიდად აფასებს და ყმაწვილს ბედნიერი ცხოვრების პირობას აძლევს: *"ფეხბურთელის მამამ ჩვენს წინადადებაზე თანხმობა განაცხადა. ეს სწორი გადაწყვეტილებაა. კრკიჩი "ბარსელონის" საყმაწვილო საფეხბურთო სკოლამ აღზარდა. ეს კლუბი მისი სახლია და, რა თქმა უნდა, აქ ყველაზე კარგად შეძლებს საკუთარი უნარების გამომჟღავნებას. სხვა კლუბებისგან განსხვავებით, პრობლემების მოსაგვარებლად მას იმდენ დროს მივცემთ, რამდენიც დასჭირდება. ახლა ყველაფერი ზღაპრულად აეწყო, მაგრამ ხომ შეიძლება გარკვეულ სირთულეებს გადაეყაროს. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვან შეთანხმებას მივაღწიეთ. ბოიანის მამას უმნიშვნელო დეტალების გარკვევაღა სურს. ამის შემდეგ, კონტრაქტს გავაფორმებთ და გულშემატკივრებს პლანეტის ერთ-ერთი უნიჭიერის ფეხბურთელის ხუთი წლით შეძენას ვახარებთ. ეჭვი არ მეპარება, ბოიანი „კამპ ნოუზე" მომავალშიც უზომოდ ბედნიერად იგრძნობს თავს."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

რაგბი. ლეგიონერები

# ოსკარი ზირაქას



დავით ზირაქაშვილმა მეექვსე ლელო გაიტანა

**საფრანგეთის ჩემპიონატის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ცხრა ტურია დარჩენილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გოდერძი შველიძისა და დავით ზირაქაშვილის „კლერმონი", რომელიც გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია, პლეიოფში აუცილებად ითამაშებს. პლეიფში მოხვედრის რეალურ შანსს ინარჩუნებს „კასტრიც", „მონპელიეს" შანსები კი მიზერულია.**

დავით ზირაქაშვილიმა მიმდინარე სეზონში რიგით მეექვსე და ზედიზედ მეხუთე ლელო მიითვალა, რისთვისაც ფრანგული სარაგბო გაზეთის „მიდი ოლიმპიკის" ოსკაროსანი გახდა. „ვულკანებმა" შინ „ბურგუენი" მიიღეს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს 36:7. ძირაქაშვილმა ლელო 38-ე წუთზე გაიტანა და 53-ე წუთზე გუნდის მწვრთნელმა **ვერნ კოტერმა** დასვენების საშუალება მისცა. შველიძე საქართველოს ნაკრებში იბრძოდა რუსების წინააღმდეგ.

მეოთხე თამაშია, „კასტრის" შემადგენლობაში არ ჩანს **აქსენტი გიორგაძე**, გუნდმა კი ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია, ამჯერად სტუმრად, „პერპინიანთან" 18:20. რთული ბრძოლის გადატანა მოუწია **დავით ხინჩაგაშვილის** „ბრივთან" საკუთარ მოედანზე **მამუკა გორგოძისა** და **დავით ქუბრიაშვილის** „მონპელიეს". შეხვედრა მასპინძლებმა 20:14 მოიგეს. ხინჩაგიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. გორგოძემ და ქუბრიაშვილმა კი რუსების ძლევაში დაიდეს წილი.

შინ „სტად ფრანსესთან" დამარცხდა აუტსაიდერი, **ირაკლი გიორგაძის** „დაქსი" 9:13. ირაკლის ფეხის კუნთი აქვს გაწყვეტილი და სვარაუდოდ, ამ სეზონში გუნდს ალბათ ველარ დაეხმარება. სტუმრად დამარცხდა „ბიარიცთან" **ავთანდილ კოპალიანის** „ბაიონი" 0:20. კოპალიანი განაცხადში არ იყო. ტრავმის გამო არ უთამაშია „ოშის" შემადგენლობაში **მამუკა მაგრაქველიძეს**, რომელმაც სტუმრად წააგო „მონტობანთან" 19:30. „ოში", პრაქტიკულად, განწირულია გასავარდნად.

**საფრანგეთი. I დივიზიონი. XVII ტური. დაქსი-სტად ფრანსე 9:13, პერპინიანი-კასტრი 20:18, ბიარიცი-ბაიონი 20:0, მონტობანი-ოში 30:19**, ალბი-ტულუზი 13:20, მონპელიე-ბრივი 20:14, კლერმონი-ბურგუენი 36:7.

1.კლერმონი-67 ქულა, 2.ტულუზი-66, 3.სტად ფრანსე-53, 4.პერპინიანი-48, 5.ბიარიცი-47, 6.კასტრი-42, 7.მონტობანი-40, 8.მონპელიე-38, 9.ბურგუენი-35, 10.ბაიონი-33, 11.ბრივი-32, 12.ალბი-26, 13.დაქსი-22, 14.ოში-14.

მეორე დივიზიონში კონკურენციას ვერავინ უწევს ქართველ მორაგბეთა გუნდების დუეტს - **გია ლაბაძის** „ტულონსა" და **ირაკლი მაჩხანელის** „მონ დე მარსანს". ტულონელებმა დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვეს სტუმრად აუტსაიდერ „ლიმოჟთან" 37:14. ლაბომ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

სტუმრად **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონთან" გაიმარჯვა „მონ დე მარსანმაც" 47:20. მაჩხანელმა მასპინძლებს ორი ლელო გაუტანა. ჯერ მეორე ტაიმის დასაწყისში 46-ე წუთზე ათ ქულამდე გაზარდა თავისი გუნდის უპირატესობა. მერე კი 75-ე წუთზე დააბოლოვა ნარბონელთა რბევა. კუთარაშვილი 41-ე წუთზე შეცვალეს.

სტუმრად დამარცხდნენ **მალხაზ ურჯუკაშვილის** „ორიაკი", **დავით აშვეთიას** „ოიონაქსი" და **იგორ ბარბაქაძის** „ტარბი". ამათგან თამაშში მონაწილეობა მხოლოდ აშვეთიამ მიიღო, ის „ლიონთან" შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს. „ორიაკმა" ვერაფერი გააწყო „აჟენთან" 3:9. „ტარბმა" კი „ბორდოსთან" 13:28.

**II დივიზიონი. XXIII ტური. ნარბონი-მონ დე მარსანი 20:47, აჟენი-ორიაკი 9:3, ლიონი-ოიონაქსი 32:22, პო-ლა როშელი 18:13, ბორდო-ტარბი 28:13, ბლანიაკი-ბეზიე 9:26, ლიმოჟი-ტულონი 14:37, გრენობლი-მეტრო რასინგი 23:15**

**1.ტულონი-82 ქულა, 2.მონ დე მარსანი-75, მეტრო რასინგი-70, 4.ბეზიე-69, 5.ლა როშელი-64, 6.აჟენი-58, 7.ლიონი-57, 8.გრენობლი-55, 9.პო-53, 10.ორიაკი-52, 11.ნარბონი-49, 12.ოიონაქსი-49, 13.ბორდო-39, 14.ტარბი-30, 15.ლიმოჟი-26, 16.ბლანიაკი-25.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ავტოსპორტი. საქართველოს ჩემპიონატი

# ბეჟაშვილმა გაიმარჯვა

ავტოსპორტში საქართველოს ჩემპიონატი, "რომპეტროლი-2008" კვირას, 13 აპრილს, მუხათწყაროში ალმართის ჩქაროსნული დაძლევით გაგრძელდა. ამ სახეობაში ეს იყო მეორე ეტაპი, საერთოდ კი - მეოთხე.

ორი რბოლის შემდეგ ადგილები ასე განაწილდა:

**პროფესიონალები:** 1. ზურაბ ბეჟაშვილი (სუბარუ იმპრერა)-02.36.89, 2. ოთარ თავართქილაძე (სუბარუ იმპერა)-02.38.75, 3. არჩილ ბიძინაშვილი (ჰონდა სივიკი)-02.40.33, 4. მევლუდ მელაძე (სიტროენ საქსო), 5. გიორგი ბეჟიტაშვილი (ჰონდა სივიკი), 6. სანდრო ლომაძე (ჰონდა სივიკი), 7. დიმიტრი ქობულია (სუძუკი სვიფტი), 8. გიორგი კოდუა (სუძუკი სვიფტი), 9. დავით მენთეშაშვილი (სუძუკი სვიფტი)

**იუნიორები:** 1. დიმიტრი ქობულია (სუძუკი სვიფტი)-02.50.78, 2. გიორგი კოდუა (სუძუკი სვიფტი)-02.51.00, 3. დავით მენთეშაშვილი (სუძუკი სვიფტი)-03.03.29



თავართქილაძე, ბეჟაშვილი, ბიძინაშვილი

"რიმპეტროლი-2008"-ის მომდევნო ეტაპი გაიმართება 4 მაისს რუსთავის ავტოდრომზე და იქნება წრიული რბოლა.

**დავით ჩუბინიძე**

ჭადრაკი

# გაგუნაშვილმა შედეგი გაიმეორა

დუბაიში დასრულდა ღია საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მეათედ გაიმართა. საუბილეო ტურნირში წელს ოთხმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა: **თამაზ გელაშვილმა, ლევან ფანცულაიამ, მერაბ გაგუნაშვილმა** და **დავით არუთინიანმა**. ლევან ფანცულაიამ შარშან ამ ტურნირში გაიმარჯვა და ტიტულის დაცვას ცდილობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოუვიდა - ბოლო ტურში საერთოდ აღარ გავიდა სათამაშოდ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. სხვაგვარად მისი შედეგის - 4.5 ქულა ახსნა გვიჭირს.

საკუთარ შესაძლებლობებზე ცუდად ითამაშა **თამაზ გელაშვილმაც**, რომელმაც 5 ქულით დაასრულა შეჯიბრი და 26-ე ადგილზე გავიდა. იგი ტურნირზე მეორე ნომერი იყო 2622 რეიტინგით.

კარგად ითამაშეს **დავით არუთინიანმა** და მერაბ გაგუნაშვილმა. არუთინიანი რეიტინგით მეექვსე იყო (2593) და 6.5 ქულით მერვე ადგილზე გავიდა. **მერაბ გაგუნაშვილმა** კი რამდენიმე წლის წინანდელი წარმატება გაიმეორა - 7 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. მერაბმა ფილიპინელ **ვერლი სოუსთან** და ჩინელ **ჭაო ლისთან** პირველ-მეორე ადგილები გაიყო; კოეფიციენტით კი გამარჯვება ფილიპინელს ხვდა წილად. არადა, გაგუნაშვილმა ვესლი სოუს დამარცხება შეძლო. გაგუნაშვილს წარმატება მნიშვნელოვნად წაწევს მას რეიტინგში - მერაბის სასტარტო პოზიცია მეთხუთმეტე იყო

შემდეგი დიდი საჭადრაკო შეჯიბრი ხუთიოდ დღეში, 20 აპრილს იწყება - ბულგარული ქალაქი პლოვდივი ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატს უმასპინძლებს ქალთა და ვაჟთა შორის. წესით, დუბაის ტურნირში მონაწილე ქართველებმა ბულგარეთისკენ უნდა აილონ გეზი.

**ზვიად შათირიშვილი**

ხელბურთი. ევრო 2010. შსარჩევი ტურნირის წილისყრა

# ოთხი გრანდი უკვე აგვცდა

**18 აპრილს, ავსტრიის დედაქალაქ ვენის "ვისენშაფტენ აკადემიაში" გაიმართება ხელბურთელ ვაჟთა 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა. აღნიშნული ტურნირი აქამდე ჩატარებულებისგან კარდინალურად განსხვავებული იქნება. იანვარში, სამკვირიან ვადაში ჩატეული განრიგი გვარიანად გაფართოვდება. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ახალი ციკლი ფეხბურთის ანალოგიური იქნება - 2008 წლის შემოდგომიდან 2009 წლის შემოდგომამდე, მისვლა-მოსვლის სისტემით. ამასთან, გაუქმდება პლეიოფიც, ხოლო ევროგრანდებიდან პრიორიტეტები მხოლოდ მოქმედ ევროპის ჩემპიონს ექნება, რომელიც საკვალიფიკაციო ეტაპისგან განთავისუფლდება.**

ევროპის 2010 წლის ჩემპიონატი გაიმართება 2010 წლის 19-31 იანვარს, ავსტრიაში. მასპინძლები და წლევანდელი ევროპის ჩემპიონი დანიელები პირდაპირ არიან დაშვებულები ფინალურ ეტაპზე, დანარჩენი 14 გუნდი კი საკვალიფიკაციო ეტაპიდან შეირჩევა.

ევროპის ხელბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა საკვალიფიკაციო ეტაპის კალათები და უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ სავარაუდო მეტოქეებზე. 38 ქვეყანა 7 ჯგუფში გადანაწილდება, საიდანაც 4 ხუთგუნდიანი იქნება, 3 კი ექვსგუნდიანი. თითოეული ჯგუფიდან ევროპის ჩემპიონატზე გავა 2-2 საუკეთესო.

რაკილა ქართული ხელბურთის უპირველეს გუნდს 2003-2007 წლებში არსად უთამაშია, რეიტინგში გვარიანად დავქვეითდით და შესაბამისად, ბოლო კალათაში მოვხვდით. ვერც იმან გვიშველა, რომ წლის დასაწყისში "ჩელენჯ ტროფი" მოვიგეთ. არადა, ის ლუქსემბურგი, რომელსაც "ჩელენჯ ტროფის" ფინალში ვძლიეთ, ჩვენზე ერთი საფეხურით მაღლა - მეხუთე კალათაშია.

პირველი კალათიდან საქართველოს ნაკრებს ყველა ვარიანტში ასცდება 4 ყველაზე საშიში ევროგრანდი - საფრანგეთი, გერმანია, ხორვატია და ესპანეთი, რადგან ისინი წინასწარვე ხუთგუნდიან ჯგუფებში არიან განთესილნი, ჩვენ კი რახან ბოლო კალათაში ვართ, ექვსგუნდიანში უნდა მოვხვდეთ. ასე, რომ პირველი კალათიდან გვერგება ან პოლონეთი, ან რუსეთი, ან ისლანდია.

დანარჩენი კალათებიდან კი წინასწარ არავინაა რომელიმე ქვეჯგუფში განთესილი.

ისე, თუკი კალათებს გადავხედავთ, ნათელი ხდება, რომ პირველ-მეორე კალათებში ფაქტობრივად, ყველა ევროგრანდია. რეალობას რომ თვალი გავუსწოროთ, მათთან შანსი თითქმის არ გვაქვს. დანარჩენი კალათებში კი უმეტესობა ისეთი გუნდებია, რომლებთან წარმატებით თამაშიც საქართველოს ნაკრების შესაძლებლობებს არ აღემატება. მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ ჯერ წილისყრას და მერე შემოდგომას. დასასრულ კი გთავაზობთ ექვსივე კალათას.

**I. საფრანგეთი, გერმანია, ხორვატია, ესპანეთი, პოლონეთი, რუსეთი, ისლანდია**

**II. სლოვენია, ნორვეგია, უნგრეთი, შვედეთი, სერბეთი, ჩეხეთი, უკრაინა**

**III. სლოვაკეთი, შვეიცარია, პორტუგალია, ბელორუსი, რუმინეთი, ლიტვა, მაკედონია**

**IV. საბერძნეთი, ბოსნია, ლატვია, ჰოლანდია, ისრაელი, მონტენეგრო, ესტონეთი**

**V. ფინეთი, ბულგარეთი, იტალია, თურქეთი, ბელგია, კვიპროსი, ლუქსემბურგი**

**VI. საქართველო, მოლდოვა, ფარერები**

**კობა ხატისაშვილი**



ჩელენჯ ტროფის შემდეგ ნაკრებს ბევრად უფრო სერიოზული ტურნირი ელის

ჩოგბურთი

# 450 და 296

ATP-ის ახალი რეიტინგის მიხედვით, 450-ე ადგილი ქართველი ჩოგბურთელის ყველაზე მაღალი პოზიციაა და ისიც დღეისთვის მძიმედ ტრავმირებულ **ლადო ჩიხლაძეს** უკავია – ლადოს 63 ქულა აქვს, გასულ კვირასთან შედარებით სამსაფეხურიანი წინსვლაა, რა თქმა უნდა, სხვების დაქვეითების ხარჯზე. საქართველოს ნაკრების მეორე ნომერი **ნოდარ ითონიშვილი**, რომლის დებიუტიც „დევისის თასზე" ბრატისლავაში შედგა, 4 ქულით 1228-ე პოზიციაზეა (+5). თითო ქულა აქვთ **გიორგი ჭანტურიას** (1576) და **გიორგი ხრიკაძეს** (1770). წყვილთა თანრიგის რეიტინგში ათასეულში მხოლოდ ერთი ქართველია, ლადო ჩიხლაძე 35 ქულით 791-ე პოზიციაზეა.

WTA-ს რეიტინგში ცვლილება არ განუცდია **მაკა ჩახნაშვილს**, რომელსაც წარუმატებელი მცდელობა ჰქონდა ფრანგულ სენ მალოს ტურნირში (125 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გაღწევის. მაკას 163 ქულა აქვს. **ანა ტატიშვილის** ჯექსონური წარმატება ჯერ არ ასახულა რეიტინგში (ვერ მოესწრო), ამიტომ ანამ სამი საფეხურით უკან დაიხია და 81 ქულით მსოფლიოს 296-ე ჩოგანია.

სხვები: 355 (+1) **სოფიო შაფათავა** – 59 ქულა, 514 (-1) **თინათინ ყავლაშვილი** – 31, 592 (+1) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 22, 597 (+3) **მანანა შაფაქიძე** – 22, 605 (+3) **სალომე დევიძე** – 21, 718 (-2) **სოფიო ქვაცაბაია** – 15, 811 (-2) **ეკა გორგოძე** – 10 და 918 (-3) **სოფიო მელიქიშვილი** – 7.

მაკა ჩახნაშვილი სან მელოს ტურნირის ერთეულთა თანრიგს კი დაემშვიდობა ნაადრევად, თუმცა ის ისევ ბრეტანის პროვინციაშია, სადაც წყვილთა თანრიგის ძირითად ბადეში კანადელ **მარი-ივ პელეტიესთან** (175) დუეტში იასპარეზებს. ამერიკულ პალმ ბიჩ გარდენში, ქალთა საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში მე-16 ნომრად განთესილმა **სალომე დევიძემ** ამერიკელი **მარია ბელაია** დაამარცხა – 6:3, 7:5.

ბელეკში (თურქეთი) მესამე საკვალიფიკაციო წრიდან ტურნირს (10 ათასი დოლარი) ბოლო შემორჩენილი ქართველი ჩოგბურთელიც დააკლდა, **თეონა ცერცვაძე** გერმანელ **ელისა პეტთან** დამარცხდა – 4:6, 1:6. სამაგიეროდ, ძირითად ბადეში წარმატებით დაიწყო თამაში სოფიო ქვაცაბაიამ. სოფიომ რუსი **ავგუსტა ციბიშევა** (704) დაამარცხა – 6:1, 6:3. წყვილთა თანრიგის ძირითად ბადეში ორი ქართველია: სოფიო ქვაცაბაია და თეონა ცერცვაძე, ოღონდ სხვადასხვა მეწყვილესთან ერთად.

ვაჟთა ასპარეზზე ქართველი ჩოგბურთელის გამოჩენა უკვე იშვიათობაა, ამ კვირაში **გიორგი ხრიკაძე** ლითლ როკის (აშშ) 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ჩაერთო. პირველ წრეში გიორგი ისვენებდა. მეორე წრეში ხრიკაძემ **დევიდ ჰოპკინსს** აჯობა – 4:6, 6:3, 6:2, მაგრამ ფინალურ წრეში კანადელ **კირილ სინიცინთან** წააგო – 3:6, 3:6.

გამოქვეყნდა ახალგაზრდული რეიტინგიც, ოქსანა კალაშნიკოვა 160 ქულით მე-14 ადგილზეა, თუმცა მას წლეულს ახალგაზრდულ ასპარეზზე არ უთამაშია. ეკა გორგოძე 133 ქულით 303-ე ადგილზეა. ბიჭებში **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 188 ქულით მსოფლიოს 187-ე ჩოგანია. სხვები: 374. **ლაზარე კუხალაშვილი**, 381. **ნიკოლოზ ქურდაძე**, 483. **გიორგი ხმიადაშვილი**, 539. **სერგი სიხარულიძე**, 639. **რევაზ ოსაძე.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## თამარ მეფის დროს

**თამარ მეფის დროს:** "სპანი მისნი განისვენებდნენ ნადირობითა და ბურთაობითა."

***

**მეფე თამარის** ისტორიკოსი ასე აგვიწერს განთქმულ სპარსელ და ქართველ მობურთალთა შორის გამართულ შეჯიბრებას:

"უბრძანა მეფემან ამირ-სპასალარსა მისსა ზაქარის და მსახურთა უხუცესსა ივანეს, ჰერეთისა ერისთავსა გრიგოლსა და სხუათა მოყმეთა და ჩავიდეს მოედანს. და მუნით ჩამოვიდა ამირ-მირმანი მისითა დიდებულითა და გონითა და თვით თამარ საჭურეტლად პირითა მით ბრწყინვალითა და ნათელმფენითა. ისლიმნი, დამჯარებელნი თავისა მეცნიერობისანი, და მძლებრძოლნი, მსწრაფლ იძლივნეს დავით მეფისა და მისთა მოყმეთაგან და შეიქცეს ძლეულნი და მჭვუნვებულნი."

## საუნჯე ერისა

# ჩვენ სესხება არ გვესაჭიროება

"არა მარტო კულტურული აღორძინებისა და ძლიერების ხანაში, არამედ შემდეგაც, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველები ფიზიკურ ვარჯიშობასა და თამაშობებს... ევროპელი ერები ერთმანეთში სესხულობენ სპორტისა და გიმნასტიკის ფორმებს. ჩვენ სესხება არ გვესაჭიროება. ჩვენ მოგვეპოვება მთელი განძი ეროვნული ვარჯიშობათა და თამაშობათა, რომლებიც დავიწყებული არიან და აღდგენას ელიან. მათი აღდგენა ახალ ფერს შეიტანს ჩვენს ეროვნულ კულტურაში, ჩვენს სხეულს კი ადრინდელ სილამაზესა და სიჯანსაღეს დაუბრუნებს."

*გერონტი ქიქოძე, 1915 წ.*





როგორც ადრე გაუწყეთ, მსოფლიო ველომოგზაურმა, **ჯუმბერ ლეჟავამ**, რომელიც ამჟამად პეკინის ოლიმპიადას უძღვნის თავის ოდისეას, უკვე გაიარა თურქეთი, ირანი, და გადავიდა თურქმენეთში. ეს ფოტოები ამ მოგზაურობას ასახავს, რომელიც **ივანე ჯაფარიძემ** მოგვაწოდა.

## 120 წლის წინათ "ივერია" წერდა

ფურერის ცირკში წარმოდგენებსა ჰმართავს ვილაც ბ-ნი ფოსსი. ეს ფოსსი მეტად მძლავრი და ღონიერი კაცია, ორს გაჭენებულს ცხენს იმაგრებს ხელით და ამის წარმოდგენაც ის არის, რომ თავის ღონივრობით აკვირვებს და აოცებს საზოგადოებას. ეხლა, როგორც ამბობენ, ბ-ნს ფოსს განუძრახავს გაუმკლავდეს ჩვენებურს ღონიერს ბიჭებსა და დაეჭიდოსო.

*"ივერია", 1988 წ. №39*

# პირველი, პირველმა, პირველად...



პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა არის **გელა კეტაშვილი**. ოლიმპიადის ოქროს მედალს ქართველი ფეხბურთელი დაეუფლა სეულში, 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სსრკ ნაკრების შემადგენლობაში.



პირველმა საქართველოს ვაჟ მოჭადრაკეთაგან ევროპაში უძლიერესის სახელი, პირად პირველობაში, საერთაშორისო დიდოსტატმა **ზურაბ აზმაიფარაშვილმა** დაისაკუთრა. ეს მოხდა 2003 წელს, ზურაბი მაშინ 43 წლისა იყო.



პირველად საქართველოში სპორტული საზოგადოება, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ჩამოყალიბდა 1917 წელს, თბილისში, "ამირანის" სახელწოდებით. მისი დამფუძნებლები იყვნენ იმ პერიოდის ცნობილი საზოგადო და სპორტული მოღვაწეები **გაიოზ ბერელაშვილი** და **დათა ჯავრიშვილი**.

## ვიქტორინა

**1. ვინ არის თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი?**

ა-დავით ციმაკურიძე
ბ-ლერი ხაბელოვი
გ-ლევან თედიაშვილი

**2. სპორტის რომელ სახეობაში აქვთ მოპოვებული საქართველოს სპორტსმენებს მსოფლიო ჩემპიონის ყველაზე მეტი ოქროს მედალი?**

ა-ძიუდოში
ბ-ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში
გ-თავისუფალ ჭიდაობაში

**3. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით საშეჯიბრო სარბიელი არის ქართულად**

ა-უტევანი
ბ-ასპარეზი
გ-საბურთალი

**4. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ქართველი ძალოსანი კახი კახიაშვილი მოიხსენიება, როგორც:**

ა-კახი კახიაშვილი
ბ-აკაკიოს კახიაშვილისი
გ-კახოს კახიაშვილიდი

**5. სად და რომელ წელს გაიხსნა პირველი საჩოგბურთო კორტი საქართველოში?**

ა-ბათუმში, 1906 წელს
ბ-თბილისში, 1910 წელს
გ-ჭიათურაში, 1908 წელს

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-გ.

## სავარჯიშო მეხსიერებისათვის



არადა, უნდა გვქონოდა "სპორტული დიდების ხეივანი". ეს ფოტო 1989 წლის აპრილშია გადაღებული, თბილისში, დილმის ტყეპარკში. მაშინ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, ხსენებულ ტერიტორიაზე რამდენიმე ჰექტარი ფართობი გამოიყო "სპორტული დიდების ხეივნის" გასაშენებლად. ამ ფაქტმა უდიდესი ენთუზიაზმით გამოიწვია. დაინიშნა, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, პრეზენტაციის დღე. შეიკრიბა უამრავი ხალხი, რომელთა შორის იყვნენ ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები, სპორტის გამოჩენილი მოღვაწეები, ჩემპიონებმა დარგეს ხეები. სამწუხაროდ, სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ვერც სპორტულმა ორგანიზაციებმა გამოიჩინეს პრინციპულობა და "სპორტული დიდების ხეივანი" ნაკვეთ-ნაკვეთ ჩამოირიგეს მომხვეჭველმა ჩინიანმა თუ უჩინოებმა.

აი, ასე დასრულდა ეს ისტორია, რომლის მოგონება სინანულის განცდით შემორჩა მეხსიერებას.

## სათავე

# ისტორია მყინვარწვერიდან იწყება



1923 წლის 28 აგვისტო ოქროს ასოებითაა შესული ქართული სპორტის ისტორიაში. ამ დღეს, 85 წლის წინათ, საქართველოს მთამსვლელთა ერთმა ჯგუფმა ქართული უნივერსიტეტის პროფესორ **გიორგი ნიკოლაძის** ხელმძღვანელობით პირველი ექსპედიცია მოაწყო მყინვარწვერზე, რომელიც ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალთაგანია ევროპაში. ზუსტად კვირისთავზე ამავე მწვერვალზე ავიდა ქართველ მთამსვლელთა მეორე ჯგუფი პროფესორ **ალექსანდრე დიდებულიძის** ხელმძღვანელობით. ფაქტობრივად ეს იყო საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ექსპედიცია. ამ ასვლებით დაედო სათავე ალპინიზმის ისტორიას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. საგულისხმოა ისიც, რომ ერთი წლის შემდეგ, 1924 წელს, საქართველოში თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფიის კაბინეტის ბაზაზე შეიქმნა საბჭოთა კავშირში პირველი ალპინისტური ორგანიზაცია.

## დაფასება



ოთარ კორძაღიძის დამსახურება ქართულ ფეხბურთში ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ბოლო წლებში ოთარი სპორტის აკადემიის ფეხბურთის კათედრას ხელმძღვანელობს. ქართულ ფეხბურთში გაწეული ამაგისა და მის განვითარებაში შეტანილი პირადი თვალსაჩინო წვლილისთვის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა ვეტერანი ფეხბურთელი და პედაგოგი საპატიო დიპლომით და სამახსოვრო საჩუქრით დააჯილდოვა.

## ლელოს ფოტომატიანე



მოსკოვი. 1962 წელი. 21 წლის **ნონა გაფრინდაშვილმა ელიზავეტა ბიკოვა** დაამარცხა 9:2 და გახდა ჭადრაკში ქალთა შორის მეხუთე მსოფლიო ჩემპიონი.

"იმ დღეს მოსკოვში თბილისის "დინამოს" წყალბურთელებს მატჩი გვქონდა მოსკოველ თანაკლუბელებთან. ბიკოვასთან გამარჯვების შემდეგ ნონა საქართველოს სპორტკომიტეტის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ **გიორგი სიხარულიძემ** აუზზე მოიყვანა. თამაშის შემდეგ შევხვდით ჭადრაკში ახალ დედოფალს. მე და **ლერი გოგოლაძემ** ნონას ხელი მოვკიდეთ და ტრიბუნაზე ავდივართ. ფოტოზე სწორედ ეს მომენტი აღბეჭდა "ლელოს" ფოტორეპორტიორმა **მიხეილ ზარგრიანმა**" - იგონებს ვეტერანი წყალბურთელი **ოთარ მიმინოშვილი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ლეგიონი

# ცინცაძე, ათუაშვილი და...

**ესტონეთში გიორგი ცინცაძე და სერგო ათუაშვილი რომ არ გვყავდეს, გასული უქმეების ლეგიონერთა მიმოხილვაში სასაუბრო ბევრი არაფერი იქნებოდა. ნიკა ცქიტიშვლმა და მანუჩარ მარკოიშვილმა არ ითამაშეს, ხოლო ვლადიმერ ბოისამ მხოლოდ ამხანაგური მატჩი გამართა...**



სერგო ათუაშვილი ტარტუ-როკთან მატჩში

გიორგი ცინცაძის "ტარტუ როკმა" ერთმანეთის მიყოლებით ორი შეხვედრა გამართა და ესტონეთის ჩემპიონატი პირველ ადგილზე დაასრულა. პირველ დღეს "როკერები" სერგო ათუაშვილის ტტუ-ს ესტუმრნენ და ბოლოადგილოსანი მეტოქე შინ 117:60 შეარცხვინეს. მოგების შემთხვევაში სერგოს თანაკლუბელებს არათუ ბოლო ადგილისთვის თავის დაღწევის, არამედ რვაეულში (სულ 10 გუნდია) მოხვედრისა და პლეიოფში თამაშის შანსიც ჰქონდათ, მაგრამ ტტუ "ტარტუს" ძლევას, ალბათ ყველაზე ტკბილ ოცნებაშიც ვერ წარმოიდგენდა.

წინა მატჩებისგან განსხვავებით, მასპინძლებს ლიდერობა ვერ გაუწია **სერგო ათუაშვილმა**, რომელმაც 14 წუთში 4-4 ქულა-მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა გაიფორმა.

სტუმართა რიგებში კი **ცინცაძე-კუსვორსის** დუეტმა გაილაღა. გიორგის მონაგარი მის მიერ ნათამაშებ წუთობრივ მაჩვენებელს ოთხით აღემატებოდა: 32 წუთში 28 ქულა და 4-4 პასი-ჩაჭრა. ტყორცნების რეალიზების პროცენტულ მაჩვენებელს არ იკითხავთ? 8-დან 6 სამქულიანი (!), 6-დან 3 ორიანი და 6-დან 4 საჯარიმო.

დაგვეთანხმებით, რომ ბუს სტატისტიკა შთამბეჭდავია, მაგრამ არ ვიცი, რა ვუწოდო გიორგის თანაგუნდელის **ბრაიან კუსვორსის** მონაგარს: 32 ქულა, 15 მოხსნა, 4 პასი, 2 დაფარება - 26 წუთში.

ახლა მეორე დღეს "როკის" მიერ ჩატარებულ მატჩზეც ვთქვათ და სატურნირო ცხრილს მერე დავხედოთ. რეგულარული ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში კალენდრის შემდგენლებმა ერთმანეთს ორი გრანდი დააჯახეს - ჩემპიონმა "ტარტუ როკმა" ვერცხლისმედალოსან "კალევს" უმასპინძლა. ცინცაძის მეგობრებს კალეველებთან სეზონის საწყისი ორი მატჩი ჰქონდათ წაგებული, ხოლო თებერვალში მეტოქე სტუმრად დაამარცხეს. ბოლო მატჩში გამარჯვებული რეგულარული პირველობის ჩემპიონი ხდებოდა და პლეიოფში (ეს გუნდები ერთმანეთს, ალბათ, ფინალში შეხვდებიან) მოედნის უპირატესობასაც იბევებდა.

"როკმა" პირველი ტაიმი სტაბილურად ითამაშა - საწყის და მეორე პერიოდებში 22-22 ქულა ჩააგდო, მეტოქე კი 19-სა და 15-ს დააჯერა. პირვლე ნახევარში მოპოვებული უპირატესობა (44:34) ტარტუელებს მესამე ათწუთეულში გაუნახევრდათ, მაგრამ ბოლო რაუნდში მეტოქეს თანაბრად ეთამაშნენ (19:19) და საფინალო სირენასაც ხუთქულიანი ფორით შეხვდნენ - 81:76.

ესტონეთის მთავარ საკალათბურთო საიტზე ამ მატჩის მიმოხილვას გიორგი ცინცაძის ფოტო ამშვენებდა. ეს ლოგიკურიც იყო, რადგან გამარჯვება სწორედ ქართველი ბუს დამსახურებაა. მატჩის სნაიპერობაში კვლავ გიორგი და კუსვორსი გაეჯიბრნენ. ამჯერად პირველობა ჩვენიანს დარჩა: 40 წუთში 23 ქულა ჩააგდო, ზედ 4 მოხსნა და 10 შედეგიანი გადაცემა მიამატა. 23 ქულა და 10 პასი - ეს გახლავთ ცინცაძის პირველი ორმაგი დუბლი მიმდინარე სეზონში. დალ-დალს იგი არაერთხელ მიუახლოვდა, მაგრა მხან თითო-ოლროლა პასი დააკლდა, ხან - ქულა.

ორმაგი დუბლი და ვიცე-ბომბარდირობა გაიფორმა ამერიკელმა კუსვორსმა, რომლის ანგარიშზე 18 ქულა და 11 მოხსნაა.

ახლა, დროა სატურნირო ცხრილიც განვიხილოთ. რეგულარული ჩემპიონატი პირველ ადგილზე დაასრულა "ტარტუ როკმა". მას 36 მატჩიდან 33 აქვს მოგებული. იდენტური ციფრები უწერია "კალევს", თუმცა ის "როკს" ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები უარესი შედეგის გამო მეორე საფეხურზეა. სერგო ათუაშვილის ტტუ-ც პირველ ადგილზეა, ოღონდ - ბოლომდან. მან 36-დან მხოლოდ 6 შეხვედრის მოგება მოახერხა.

მეათეადგილოსანმა ტტუ-მ მეოთხედფინალში რომ ვერ შეაღწია, ცხადია, "ტარტუ როკი" კი მერვეადგილოსან "კრაფტს" დაუპირისპირდება.

## დანარჩენები

როგორც ჩანს, "ტერამოს" თავკაცმა **მასიმო ბიანკიმ ნიკა ცქიტიშვილი** შემადგენლობიდან საბოლოოდ ამოაგდო. მწვრთნელმა სკიტას ზედიზედ მესამე მატჩი გამოატოვებინა (ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტის გამო).

ნიკას გარეშე "ტერამომ" ვერაფერი გააწყო მოქმედ ჩემპიონ "მონტეპასკისთან". სიენელებმა შინ 97:63 იმარჯვეს და პირველობა კიდევ უფრო გაიმყარეს - 31-დან 29 მატჩი აქვთ მოგებული, ხოლო "ტერამოს" 14 მოგების წილ 17 წაგება აქვს და სატურინრო ცხრილში მე-12 ადგილზეა. ცქიტოს თანაგუნდელები მერვეადგილოსან "კანტუს" ერთი მოგებით ჩამორჩებიან. პლეიოფში საუკეთესო რვაეული გადის.

აქვე "მონტეპასკიში" მოთამაშე ახალგზარდა **ნიკა მეტრეველზე** მოგახსენებთ. მისმა გუნდმა 17-წლამდელთა ჩემპიონატში სიენურ დერბიში "ვირტუსი" 84:58 დაიბრიყვა. ქართველი ცენტრი თანაგუნდელებს 10 ქულით შეეწია.

**ვლადიმერ ბოისას** "არისი" საბერძნეთის ჩემპიონატში ისვენებდა, მაგრამ მწვრთნელმა **გორდონ ჰერბერტმა** უქმად ჯდომას ამხანაგურად შრომა ამჯობინა და კვიპროსის აელ-ს დაუპირისპირდა. თავის მხრივ საკონტროლო მატჩები სჭირდებათ კუნძულელებსაც, რომლებიც 18-20 აპრილს ევროთასის ფინალურ ოთხეულში ითამაშებენ. ერთ ნახევარფინალში აელ-ი ბელგიურ "მონსს" დაეჭიდება, ხოლო "ტარტუ როკი" - ლატვიის "ბარონსს".

დავუბრუნდეთ "არისი"-აელ-ის დაპირისპირებას, რომელიც თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და გამარჯვებული ბოლო წამებზე გამოვლინდა - ბერძნებმა კვიპროსელები 86:81 დაამარცხეს.

შეუჩერებელი იყო ბოისას თანაკლუბელი ვაშინგტონი, რომელმაც 33 ქულას მოუყარა თავი, ხოლო ქართველი ფორვარდი 8 ქულას დასჯერდა.

ბოსნიის ჩემპიონატში იოლი გამარჯვება მოიპოვა "ბორაჩ ნექტარმა". იგი ბოლოადგილოსან "ვოგოსჩას" ესტუმრა და 103:69 სძლია. ასეთ ქულაუხვ მატჩში ქართველმა ცენტრმა **დავით უგრეხელიძემ** მხოლოდ 2 ქულა და ამდენივე მოხსნა მიითვალა. მან 9 წუთში ერთი ორქულიანი სტყორცნა და ისიც მიზანში მოარტყა. 24-ე ტურის შემდეგ "ბორაჩ ნექტარი" მეექვსე ადგილზეა. მის ანგირშზეა 13 მოგებდა და 11 წაგება.

ესპანეთის ჩემპიონატში გვიან გამოიღვიძა სევილიის "კახასოლმა". იგი მარტსა და აპრილში თამაშს თამაშზე იგებს და პლეი ოფის ზონას უახლოვდება, მაგრამ წინასწარ გეტყვით, **ტაირონ ელისის** გუნდს მეოთხედფინალში თამაშის მინიმალური შანსი აქვს. ამას სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით ვამბობ: მეცამეტეადგილოსან "კახასოლს" 11 მოგება და 19 წაგება აქვს, ხოლო მეცხრეადგილოსან "გრან კანარიას" - 15 მოგება და ამდენივე მარცხი. თუმცაღა, სევილიელები მეათე ადგილზე მყოფ "მენორკას" ერთადერთი მოგებით ჩამორჩებან.

ბოლო ტურში ელისის გუნდმა სტუმრად "მურსია" 89:74 დაამარცხა. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა 19 წუთში 5 ქულა, 3 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.




გიორგი დარჩი ჩვენთან! - როკის გულშემატკივართა მოწოდება

**ვაჟა სიმონიშვილი**

ნიჩბოსნობა

# მინგეჩაურში, პრეზიდენტის თასზე

აზერბაიჯანის ქალაქ მინგეჩაურში ჩატარდა პრეზიდენტის თასზე რეგატა აკადემიურ, ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში აზერბაიჯანის, რუსეთის, ირანისა და საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობით. შეჯიბრებას ესწრებოდა საერთაშორისო ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი - **ულრიხ ფელდჰოფი**, საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ფედერაციის პრეზიდენტი - **ბეჟან ხურციძე**, აგრეთვე აზერბაიჯანისა და ირანის ფედერაციების ხელმძღვანელები.

განსაკუთრებით კარგად იასპარეზა საქართველოს იუნიორთა ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც გუნდური I ადგილი დაიკავა - აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილხამ ალიევის თასს და ფულად ჯილდოს დაეუფლა.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში წყვილმოსასმელიანი ორიანით გაცურვაში პირველობა არავის დაუთმო **ოთარ მოთიაშვილმა** (მცხეთა) და **გიორგი ეჯოშვილმა** (თბილისი). უმესაჭო გასაშლელი ორიანით გაცურვაში კი **გიორგი სინაშვილმა** და **ირაკლი უკლებამ** (ორივე - ქუთაისი) გაიმარჯვეს.

კანოეთი ასპარეზობაში 500 მ-ზე პირველი ფინიშთან მცხეთელი **შალვა ხიზანიშვილი** იყო, 200 მ-ზე კი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. კანოეში კიდევ ერთმა მცხეთელმა **ვასილი პესტოვმა** პირველი ადგილი დაიკავა 1000 მ-ზე, ხოლო 500 მ-ზე ორიანით გაცურვაში რუსთაველ **ნიკოლოზ კუციასთან** ერთად მეორე იყო.

საბაიდარო ნიჩბოსნობაში თავი გამოიჩინა ქუთაისელმა **ბიქტორ მანაგაძემ**, 200 მ-ზე ფინიში მან პირველმა გადაკვეთა და საქართველოს ნაკრებს ოქროს მეოთხე მედალი მოუტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა. მასპინძლებმა ყველა პირობა შექმნეს რათა სტუმრებს სრულად გამოევლინათ თავისი შესაძლებლობები. საერთაშორისო ნიჩბოსნობის ფედერაციამ ყველაზე მეტად თავგამოჩენილი საქართველოს ნაკრები გუნდის 7 წევრი 12 დღიან სასწავლოსაწვრთნელ შეკრებაზე დატოვა ქ. მინგეჩაურში. ესენი არიან მცხეთელები - ოთარ და გიორგი მოთიაშვილები, დავით ჩხეტიანი და ლევან ჯიმშელიძე, ქუთაისელები - გიორგი სანითაშვილი, ირაკლი უკლება და თბილისელი - მიხეილ ეჯოშვილი. ეს სპორტსმენები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადებიან. ასპარეზობა კი გერმანიის ქალაქ ბრაინდერბურგში გაიმართება.

*"ლელოს" კორესპონდენტი*

ძიუდო

# ახმეტაში ტურნირს ტურნირი მოჰყვა

ახმეტაში ამ დღეებში ძიუდოისტთა კიდევ ერთი ტურნირი გაიმართა. ამჯერად საერთაშორისო და ახალგაზრდული - 20 წლამდელთათვის, ზაქრო ებელაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი. საქართველოს ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლების გარდა მოასპარეზეთა შორის იყვნენ ახალგაზრდა ძიუდოისტები სომხეთიდან. მართალია, ყველა წონაში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მხოლოდ ქართველები ვიხილეთ, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები წილად სტუმრებსაც ხვდათ.

ინფორმაცია ახმეტიდან მოგვაწოდა ტურნირის მთავარმა მდივანმა **გ. აბრამიშვილმა.**

**55 კგ.**
1. გიორგი ბროლაშვილი (მცხეთა)
2. ვახტანგ ჩიდრაშვილი (თელავი)
3. შმაგი ლაგაზაური (ახმეტა)
3. დავიდ მკრტიჩიანი (სომხეთი)

**60 კგ.**
1. ანდრო გიუნაშვილი (ქარელი)
2. ზეზვა არაბული ("შევარდენი", თბ)
3. მიხეილ მეკოკიშვილი (საგარეჯო)
3. მერაბ მურცხველაძე (ქუთაისი)

**66 კგ.**
1. შალვა ქარდავა ("შევარდენი", თბ)
2. ლევან კაიშაური (ახმეტა)
3. ბესო შვანგირაძე (თბილისი)
3. ოვსეპ მარტიროსიანი (სომხეთი)

**73 კგ.**
1. ბაჩო ტატალაშვილი ("შევარდენი", თბ)
2. არტემ ბალდასარიანი (სომხეთი)
3. ნიკა ბაშარაული (თბილისი)
3. ბექა ბერულავა (თბილისი, დიღომი)

**81 კგ.**
1. გიორგი კობაიძე ("მართვე", თბ)
2. ვალერი ობგაიძე (დუშეთი)
3. ვახტანგ სარაჯიშვილი (ახმეტა)
3. ლაშა გუმბერიძე (ქუთაისი)

**90 კგ.**
1. ლევან ნოზაძე (თბილისი)
2. გორ ხოროდიანი (სომხეთი)
3. იასონ ნემსაძე (ქუთაისი)
3. ბექა ბერძენიშვილი (თბილისი)

**100 კგ.**
1. მირიან გონჯილაშვილი (ახმეტა)
2. შალვა ბერუაშვილი (თბილისი)
3. არჩილ სალინაძე (ქუთაისი)
3. ავგუსტინე ფეიქრიშვილი (ახმეტა)

**+100 კგ.**
1. დავით ბოჭორიშვილი (ქუთაისი)
2. ლაშა კოტორაშვილი (თელავი)
3. ლაშა კირტავა (ქუთაისი)
3. გურამ პირველაშვილი (თბილისი)

ხელბურთი. ლეგიონერი

# ჭანტურიას ხუთი გოლი

მაკედონიის სახელბურთო ჩემპიონატში პრინციპული მატჩი შედგა ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდებს - "ვარდარსა" და "მეტალურგს" შორის. დედაქალაქური დერბი 26:26 დასრულდა, რამაც **რეზო ჭანტურიას** "მეტალურგის" წისქვილზე უფრო დაასხა წყალი. "მეტალურგებმა" უშუალო კონკურენტთან 3-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნეს, რითაც მძლავრი ნაბიჯი გადადგეს ჩემპიონობისაკენ. ქართველმა გარემარბმა მატჩის განმავლობაში შვიდჯერ დაარტყა კარის მიმართულებით და 5-ჯერ გაიტანა. "მეტალურგების" ბოლო გოლი ჭანტურიას ანგარიშზე იყო.

**კობა ხატისაშვილი**



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა საქართველოს სპორტული ცეკვების პროფესიონალთა საბჭოს პრეზიდენტი, საქართველოს სპორტსმენ-მოცეკვავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, აფხაზეთის ომის მონაწილე – **რომან არჩაია.** რომან არჩაია 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ ზემოხსენებულ საბჭოს. იყო უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელი და საერთაშორისო მსაჯი. მის სახელს უკავშირდება საქართველოს პირველი მსოფლიოს ჩემპიონი წყვილის მომზადება სპორტულ ცეკვებში. სპორტულმა სამყარომ ჭეშმარიტი პროფესიონალი დაკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი. სატიტულო ბრძოლები

# ტარვერს აბსოლუტური ჩემპიონობა სურს

შტატ ფლორიდის ქალაქ ტამპა ბეის "სენტ პიტ ტაიმს ფორუმმა" ქვემძიმე წონაში ორ სატიტულო ბრძოლას უმასპინძლა, რომელთა გამარჯვებულებიც, ახლო მომავალში ალბათ, ტიტულების გამაერთიანებელ ბრძოლასაც გამართავენ.

ჯერ იყო და, რინგზე WBC-ს ჩემპიონი **ჩად დოუსონი** და მისი ოპონენტი **გლენ ჯონსონი** გამოვიდნენ. ვეტერანი ჯონსონის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩემპიონმა სამივე მსაჯის ბარათზე მცირე უპირატესობით (სამივეზე 116-112) გაიმარჯვა და ტიტულიც შეინარჩუნა, რის შემდეგაც აღიარა, ეს ჩემს კარიერაში ყველაზე ძნელი ბრძოლა იყოო.

ბრძოლა ორმხრივი შეტევებით დაიწყო. საწყის რაუნდებში, 39 წლის ჯონსონი, ვისაც რამდენიმე წლის წინ თვით **როი ჯონს უმცროსი** ჰყავს დამარცხებული, ტოლს არაფერში უდებდა დოუსონს (26-0, 17 ნოკაუტი), მაგრამ ბრძოლის შუაწელში მას დაღლა დაეტყო, რის შემდეგაც, ჩემპიონის უპირატესობა გამოიკვეთა.

თუმცა, მას მეათე რაუნდში პრეტენდენტის მძიმე მუშტი მოხვდა, რის შემდგაც, ჯონსონი კიდევ უფრო გააქტიურდა. მაგრამ მის შეტევებს სიზუსტე აკლდა, ჩემპიონი კი იოლად ახერხებდა თავის დაცვას. ბრძოლა რომ დამთავრდა და რეფერიმ მისი შედეგი გამოაცხადა, უკმაყოფილო მაყურებელმა სტვენა დაიწყო, ჯონსონმა კი დაიჩივლა, აშკარად მე მოვიგე და მსაჯებმა გამარჯვება მომპარესო.

*"ჩადი მაგარი ბიჭია, მაგრამ არა იმდენად, რომ მე მომიგოს. როგორ წარმოვიდგენდი, თუ ჩემი ასაკის მოკრივეს მსაჯები ასე უსამართლოდ მოექცეოდნენ. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ რემატჩს მოვითხოვ"*, - განაცხადა ჯონსონმა.

მეორე, მთავარ სატიტულო ბრძოლაში, როი ჯონსის კიდევ ერთმა მძლეველმა **ანტონიო ტარვერმა** (27-4, 20 ნოკაუტი) ქულებით, იოლად (116-112, 117-111, და 119-109) დაამარცხა ბრიტანელი **კლინტონ ვუდსი** და მას IBF-ის ტიტული ჩამოართვა.

ტარვერი მთელი ბრძოლის განმავლობაში აქტიურობდა, ვუდსს კი, ისე ჩანდა, თითქოს ხელის მოქნევაც კი ეზარებოდა. ყოველ შემთხვევაში, მისი ასისტენტები ყოველ შესვენებაზე მისგან გააქტიურებას მოითხოვდნენ, ის კი ჯიუტად აგრძელებდა თავდაცვაზე ზრუნვას.

ნაბრძოლევს კი ვუდსმა განაცხადა, ამითაც კმაყოფილი ვარ, რადგან ჩემნაირი მოკრივესთვის ასეთი დონის მეტოქესთან ბრძოლაც კი საგმირო საქმე იყო, ტარვერი მსოფლიოში საუკეთესო ქვემძიმეწონოსანია და მასთან მოგებაზე ოცნებაც კი არ შემეძლოო.

ტიტულების გამაერთიანებელი ჯახი როჭოს წონაშიცაა მოსალოდნელი. ატლანტიკ სიტის "ბორდუოკ ჰოლმა" ორ სატიტულო ბრძოლას უმასპინძლა, რომელთა გამარჯვებულებიც ალბათ, მომდევნო ბრძოლას ერთმანეთის წინააღმდეგ გამართავენ.

პირველ ბრძოლაში მექსიკელმა **ანტონიო მარგარიტომ** მეექვსე რაუნდში ნოკაუტი აგემა პუერტორიკოელ **კერმიტ კინტრონს** და მას IBF-ის ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა. აღსანიშნავია, რომ კინტრონს პროფესიულ რინგზე სულ ორი ბრძოლა აქვს წაგებული და ორივე მარგარიტოსთან (36-5, 25 ნოკაუტი). მათი პირველი ბრძოლა სამი წლის წინ გაიმართა და მაშინ მას მექსიკელმა WBO-ის ტიტული ჩამოართვა. მას შემდეგ, კინტრონმა ზედიზედ ხუთი ბრძოლა ნოკაუტით მოიგო, მაგრამ მარგარიტოს კვლავ ვერაფერი მოუხერხა.

რაც შეეხება საკრივო შოუს ბოლო, მთავარ ბრძოლას, მასში პროფესიულ რინგზე ჯერაც დაუმარცხებელმა პუერტორიკოელმა **მიგელ კოტომ** ასევე ნოკაუტი (ტექნიკური) აგემა მექსიკელ პრეტენდენტ **ალფონსო გომესს** და მეოთხედ დაიცვა WBA-ის ჩემპიონის ტიტული.

კოტომ მეტოქე სამჯერ (მეორე, მესამე და მეხუთე რაუნდებში) დასცა. გომესს მთელი სახე გასიებული ჰქონდა, მარჯვენა თვალი კი ისე შეუშუპდა, ექიმმა რომ გასინჯა, რეფერის ბრძოლის შეწყვეტა მოსთხოვა. ეს ხუთი რაუნდის შემდეგ მოხდა. რეფერიმ ექიმის რჩევა ყურად იღო და ტექნიკური ნოკაუტი დააფიქსირა.

ბრძოლის შემდგ კოტომ განაცხადა, სულერთია, შემდეგ ბრძოლაში ვის შემახვედრებთ, ნებისმიერ მეტოქეს შავ დღეში ჩავაგდებ და ეს მარგარიტოსაც ეხებაო. მარგარიტომ ეს გამოწვევა მიიღო და განაცხადა, ახლავე მზად ვარ მაგ ბიჭს ჭკუა ვასწავლოო.

მოკლედ, ახლა როჭოს წონაში ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლების დრო დგება. როგორც პრომოუტერი **ბობ არუმი** გვპირდება, კოტოსა და მარგარიტოს ბრძოლას სავარაუდოდ 26 ივლისისთვის დანიშნავს, ამ ბრძოლის გამარჯვებული კი ალბათ თვით **ფლოიდ მეივეზერ უმცროსის** ყურადღებასაც მიიქცევს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



მარცხნიდან: დოუსონი და ტარვერი ამ ქამრებისთვის ბრძოლას აპირებენ

ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მოკლე აუზი

# ექვსრეკორდიანი აკორდი



როგანმა, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და ოქროს დაეუფლა

მანჩესტერში დასრულდა მოცურავეთა მსოფლიო (მოკლე აუზის) ჩემპიონატი, რომლის ბოლო დღესაც, მსოფლიოს ექვსი რეკორდი გაუმჯობესდა. ამგვარად, "მენ არენაზე" დამყარებული რეკორდების რაოდენობამ 18 შეადგინა. ამ რეკორდებიდან შვიდი ორი მოცურავის, ზიმბაბველი **კირსტი ქოვენთრისა** და ამერიკელი **რაიან ლოხტეს** ანგარიშზეა.

ლოხტემ მეოთხე რეკორდი ბოლო დღეს, 100 მეტრზე ინდივიდუალურ შერეულ სტილში, ნახევარფინალურ ეტაპზე გააუმჯობესა. დისტანცია მან 51.15 წამში გაცურა და ძველ რეკორდს, რომელიც მანვე წინა დღეს დაამყარა, 0.10 წამი მოაკლო. ლოხტემ სულ ოქროს ოთხი მედალი მოიპოვა, რაც ამერიკელთა ოქროს ნადავლის თითქმის ნახევარია – აშშ-ის ნაკრებმა ჩემპიონატი ათი ოქროთი დაამთავრა და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ლოხტეს ჩემპიონატის ბოლო დღეს კიდევ ორი ოქროს მოპოვების შანსი ჰქონდა. მაგრამ ჯერ 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში, წინა ჩემპიონატზე მოპოვებული ტიტული დათმო და ვერცხლს დასჯერდა, შემდეგ კი, ჩემპიონატის ბოლო სტარტზე, თანაგუნდელებთან ერთად, 4x100 მეტრზე შერეული სტილით ესტაფეტაში, რუსებთან დამარცხდა, რომლებმაც მსოფლიო რეკორდიც დაამყარეს.

სხვათა შორის, 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში, გამარჯვება ავსტრიელმა **მარკუს როგანმა** მოიპოვა, ვინც ლოხტეს ტრიტულთან ერთად, მსოფლიო რეკორდიც ჩამოართვა.

ლოხტეს, როგანისა და რუსების ოთხეულის გარდა, მსოფლიო რეკორდები ასევე დაამყარეს: ხორვატმა **სანია იოვანოვიჩმა** ქალთა შორის 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში, ავსტრალიელმა **ფელისიტი გალვესმა** 100 მეტრზე ბატერფლაიში და ჰოლანდიელმა **მარლეენ ფელდჰუისმა** ქალთა შორის 50 მეტრზე თავისუფალ სტილში.

აღსანიშნავია, რომ 18 მანჩესტერული რეკორდიდან, ერთის გარდა, ყველა იმ მოცურავეებმა დაამყარეს, რომლებიც კომპანია "სპიდოს" უახლესი საცურაო კოსტიუმებით, "LZR რეისერებით" ასპარეზობენ. ეს საცურაო კოსტიუმი "სპიდომ" ნასა-ს სპეციალისტებთან ერთად შექმნა და ოფიციალურად თებერვალში წარმოადგინა. მათს წარმოებაში გამოყენებული ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად ამცირებს საცურაო კოსტუმის აეროდინამიკურ წინააღმდეგობას.

მანჩესტერამდე, ამ სეზონში გრძელ აუზში მსოფლიოს 19 რეკორდი გაუმჯობესდა, რომელთაგან ერთის გარდა, ყველა დანარჩენი "სპიდოს" საცურაო კოსტიუმებით მოასპარეზე მოცურავეებზე მოდის. იტალიელი **ფედერიკა პელეგრინი** "არენას" ეკიპირებით მოასპარეზე ერთადერთი მოცურავეა, ვინც ამ სეზონში, რეკორდი გრძელ აუზში დაამყარა. მან ეს ერთი თვის წინ, ევროპის ჩემპიონატზე, 400 მეტრზე თავისუფალ სტილში შეძლო.

სხვათა შორის, "LZR რეისერის" ტიპის საცურაო კოსტიუმი "არენასაც" შეუქმნია, მაგრამ მანჩესტერში მისი გამოყენება ვერ მოასწრო. იტალიურმა კომპანიამ მოითხოვა, რომ 100 მეტრზე თავისუფალი სტილის ფინალში იტალიელ **ფილიპო მანინის** ახალი ეკიპირება ჩაეცვა, მაგრამ ცურვის საერთაშორისო ფედრაციამ ამის უფლება იმ მოტივით არ მისცა, რომ ჰიტებზე მანინიმ ძველი საცურაოთი იასპარეზა, საბოლოოდ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვერცხლს დასჯერდა. ოქროს მედალს კი, მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო შედეგით, ამერიკელი **ნეითან ედრიანი** დაეუფლა.

დავუბრუნდეთ ჩემპიონატის ბოლო დღეს დამყარებულ რეკორდებს. მოცურავეებს შორის როგანი ცნობილია, როგორც "მუდამ მეორე" – ოლიმპიადებსა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მას ვერცხლის შვიდი მედალი აქვს მოპოვებული, მაგრამ მანჩესტერში ნავსი გატეხა და თანაც, როგორ!

დისტანცია მან წუთსა და 47.84 წამში გაცურა 1.21 წამით გააუმჯობესა ლოხტეს მიერ ორი წლის წინ, შანხაიში დამყარებული რეკორდი. სხვათა შორის, რომ არა ავსტრიელი, ამ ფინალსაც ლოხტე მოიგებდა და თანაც, თავის რეკორდს ის გააუმჯობესებდა – როგანთან მან სულ რაღაც 0.07 წამი წააგო.

იოვანოვიჩმა მის მიერვე სამი თვის წინ, ევროპის ჩემპიონატზე (მოკლე აუზი) დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა. მან გულაღმა 50 მეტრი 26.37 წამში გაცურა და ძველ რეკორდს 0.13 წამი მოაკლო. ხორვატს მცირედით ჩამორჩა ჩინელი **გაო ჩანი**, ვინც ვერცხლს დასჯერდა. ამ დისტანციაზე ხელი მოეცარა ქოვენთრის, ვინც მანამდე სამი რეკორდის დამყარება მოასწრო და ამასთან, ოთხი ოქრო და ერთი ბრინჯაოც მოიპოვა. მაგრამ ამჯერად, უმედლოდ დარჩა, რაშიც დაღლილობამ "შეუწყო ხელი".

გალვესმა ასი მეტრი ბატერფლაის სტილით 55.89 წამში გაცურა და 0.06 წამი მოაკლო თანაგუნდელ **ლიზბეთ ლენტონის** (გათხოვების შემდეგ, **ლიზბეთ ტრიკეტი**) მიერ ორი წლის წინ დამყარებულ რეკორდს.

იოვანოვიჩის მსგავსად, ფელდჰუისმაც თავისი ძველი რეკორდი გააუმჯობესა. თავისუფალი სტილით 50 მეტრი მან 23.25 წამში გაცურა და ძველ რეკორდს 0.33 წამი მოაკლო.

რუსებმა – **სტანისლავ დონეცმა, სერგეი გეიბელმა, ევგენი კოროტიშკინმა და ალექსანდრ სუხორუკოვმა** 4x100 მეტრზე შერეულით ესტაფეტა 3 წუთსა და 24.29 წამში გაცურეს და 0.80 წამით გააუმჯობესეს ამერიკელების მიერ ოთხი წლის წინ დამყარებული რეკორდი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კალათბურთი. NBA. გამოკითხვა

# MVP გარკვეულია

რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე, ტელეკომპანია ESPN-მა წლის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოების მოპოვების კანდიდატები დაასახელა და მათი შანსები შეაფასა. ESPN-ის ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ სეზონის საუკეთესო მოთამაშის პრიზს ყველაზე მეტად "ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** იმსახურებს.

**MVP**: 1. კობი ბრაიანტი ("ლეიკერსი"), 2. კრის პოლი ("ნიუ ორლეანი"), 3. კევინ გარნეტი ("ბოსტონი"), 4. ლებრონ ჯეიმსი ("კლივლენდი"), 5. მანუ ჯინობილი ("სან ანტონიო");

**წლის მწვრთნელი**: 1. ბაირონ სკოტი ("ნიუ ორლეანი"), 2. რიკ ადელმანი ("ჰიუსტონი"), 3. მორის ჩიქსი ("ფილადელფია");

**საუკეთესო ახალბედა**: 1. კევინ დიურანი ("სიეტლი"), 2. ელ ჰორფორდი ("ატლანტა"), 3. ელ ტორნტონი ("კლიპერსი");

**მეექვსე მოთამაშე**: 1. მანუ ჯინობილი ("სან ანტონიო"), 2. ხოსე კალდერონი ("ტორონტო"), 3. ლეანდრო ბარბოზა ("ფინიქსი");

**საუკეთესო დამცველი**: 1. კევინ გარნეტი ("ბოსტონი"), 2. მარკუს კემბი ("დენვერი"), 3. ბრიუს ბოუენი ("სან ანტონიო");

**ყველაზე პროგრესირებადი მოთამაშე**: 1. ჰედო თურქოგლუ ("ორლანდო"), 2. რუდი გეი ("მემფისი"), 3. ლამარკუს ოლდრიჯი ("პორტლენდი").

სხვათა შორის, ESPN ყოველ სეზონში ატარებს ასეთ კვლევას და როგორც წესი, მისი პროგნოზები მართლდება ხოლმე.

■ ■ ■

ამასობაში, ჰოლივუდის ცნობილი რეჟისორი **სპაიკ ლი კობი** ბრაიანტზე დოკუმენტური ფილმის გადაღებას აპირებს.

გადაღებები ერთი დღის განმავლობაში გაგრძელდება და რეჟისორი შეეცდება ყველას ანახოს, როგორია "ლეიკერსის" ვარსკვლავის ცხოვრების ერთი დღე.

**გია თვალაბეიშვილი**

## NBA. რეგულარული

**ჩიკაგო–ორლანდო 84:104**

24:36, 24:17, 26:29, 10:22

ჩ: ნოჩიონი (22), დენგი (19+7 მოხსნა), ნოა (10+4 ჩაჭრა), დუპონი (10).

ო: თურქოგლუ (24+8 პასი+3 ჩაჭრა), ჰოვარდი (19), ლუისი (18), ევანსი (10).

**კლივლენდი–მაიამი 84:76**

19:21, 21:17, 17:21, 27:17

კ: უესტი (18), ილგაუსკასი (14+14 მოხსნა), ჯეიმსი (13+11 მოხსნა+7 პასი), ბრაუნი (10+7 მოხსნა), ვარეჟაო (10).

მ: დევისი (17+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), კუკი (13), ბარონი (14+8 მოხსნა).

**დეტროიტი–ტორონტო 91:84**

26:21, 24:24, 15:18, 26:21

დ: სტაკი (18), ბილაპსი (14), მაქსიელი (14), ჰემილტონი (12).

ტ: ბოში (30+10 მოხსნა), ნესტეროვიჩი (18+7 მოხსნა), ფორდი (10+8 პასი).

**ლეიკერსი–სან ანტონიო 106:85**

25:23, 28:30, 26:14, 27:18

ლ: ბრაიანტი (20), ოდომი (17+14 მოხსნა), გასოლი (14+11 მოხსნა), ფიშერი (14), ფარმარი (11), ტურიაფი (10).

ს-ა: პარკერი (20+7 მოხსნა), დანკანი (16+12 მოხსნა), უდოკა (14), ფინლი (11).

**დენვერი–ჰიუსტონი 111:94**

24:18, 37:26, 27:23, 23:27

დ: აივერსონი (33), სმიტი (23), კლეიზა (18), ენტონი (11+8 მოხსნა), კემბი (6+14 მოხსნა+7 დაფარება).

ჰ: ჰედი (19), მაკგრეიდი (16+7 პასი), ნოვაკი (15), ლენდრი (11).

**სიეტლი–დალასი 99:95**

19:25, 31:26, 31:27, 18:17

ს: უოტსონი (21+8 მოხსნა+10 პასი), დიურანი (19), კოლისონი (18+11 მოხსნა), გრინი (13+8 მოხსნა), უოლკინსი (12+7 მოხსნა).

დ: ნოვიცკი (32+9 მოხსნა), ტერი (25), ჰოვარდი (16+7 მოხსნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა. ლონდონის მარათონი

# ლელის ლონდონური ჰეთ-თრიკი



მარტინ ლელმა მესამედ მოიგო ლონდონის მარათონი

კენიელი **მარტინ ლელის** გამარჯვებით დასრულდა ლონდონის 28-ე მარათონი, რომელზეც სამმა სტაიერმა ტრასის ძველი რეკორდი, ექვსმა კი პირადი რეკორდი გააუმჯობესა.

ლელს ლონდონის მარათონი ორჯერ (2005 და 2007 წლებში) აქვს მოგებული, 2006 წელს კი მასზე მეორე ადგილი დაიკავა და ბუნებრივია, ამჯერადაც უმთავრესი ფავორიტი ის იყო. სწრაფი პეისმეიკერების წყალობით, ლელმა და მის ჯგუფში შემავალმა მორბენლებმა, დისტანციის ნახევარზე მეტი მსოფლიო რეკორდის გრაფიკით გაირბინეს, მაგრამ დასკვნით მონაკვეთზე, მოწინავეთა ტემპი დაეცა, რასაც ხელი ცივმა ამინდმა და წვიმამაც შეუწყო.

საბოლოოდ, ლელმა საფინიშო სპურტში აჯობა თანამემამულე **სემი ვანჯირუს** და მესამედაც გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მარათონის ჩემპიონი. გამარჯვებულის შედეგია ორი საათი, ხუთი წუთი და 15 წამი.

ქალთა ასპარეზობა გერმანელმა **ირინა მიკიტენკომ** მოიგო, ვისთვისაც ეს კარიერაში სულ მეორე გამოსვლა იყო მარათონულ დისტანციაზე. 35 წლის მორბენალმა, ვინც სარბენ ბილიკზე ყაზახეთის სახელით ასპარეზობდა, მარათონზე პირველად შარშან, ბერლინში იასპარეზა და ეთიოპიელ **გეტე ვამისთან** დამარცხდა. ამჯერად კი დისტანციის დასკვნით მონაკვეთზე ფეხს ისე აუჩქარა, ვამიც და სხვა მდევრებიც იოლად ჩამოიტოვა და ეულად გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

აღსანიშნავია, რომ შუა დისტანციაზე, როცა წყლის აღებას ცდილობდა, ვამის ინციდენტი შეემთხვა (მეტოქეს დაეჯახა), და დაეცა. მორბენალი სერიოზულ ტრავმას გადაურჩა და გზა განაგრძო. უფრო მეტიც, მარჯვენა ფეხში ტკივილის მიუხედავად, ის ლიდერთა ჯგუფს დაეწია კიდეც, თუმცა მიკიტენკოს გადამწყვეტ აჩქარებაზე პასუხი არ აღმოაჩნდა. საბოლოოდ, ის მესამე ადგილს დასჯერდა, მეორეზე კი რუსი **სვეტლანა ზახაროვა** გავიდა. სხვათა შორის, ზახაროვას ლონდონის მარათონი 2001 და 2002 წლებშიც მეორე ადგილზე აქვს დასრულებული.

ლონდონის წლევანდელი მარათონი საიუბილეო იყო – 1908 წელს სწორედ ლონდონში, მორბენლებმა პირველად იასპარეზეს კლასიკურ დისტანციაზე (42 კილომეტრი და 195 მეტრი). მანამდე კი მარათონის მორბენლებს მხოლოდ 40 კილომეტრზე სირბილი უწევდათ.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

დოპინგი

# გრინს დოპინგის გამოყენებაში ადანაშაულებენ



მორის გრინი

გაზეთ "ნიუ იორკ ტაიმსის" ცნობით, ამერიკის ფედერალურ გამოძიებას აქვს მასალები, რომელთა მიხედვითაც, სახელოვანი სპრინტერი **მორის გრინი** და კიდევ 12 ცნობილი სპორტსმენი, ინტენსიურად იყენებდნენ აკრძალულ პრეპარატებს. გამოძიებამ ეს ინფორმაცია მძლეოსნობის ამერიკელი მწვრთნელის, **ტრევორ გრემის** საქმის ძიებისას, მოწმე **ანხელ გილერმო ერედიასგან** მოიპოვა.

ერედიას მიერ დასახელებული სპორტსმენებიდან, ოთხს (მათ შორისაა კიდევ ერთი სახელოვანი ამერიკელი სპრინტერი **მერიონ ჯონსიც**) უკვე მისჯილი აქვს სხვადასხვა სახის სასჯელი, რვა კი, მათ შორის გრინიც, არასდროს ჩავარდნილა აკრძალული პრეპარატის გამოყენებაზე.

ერედია ამტკიცებს, რომ ის და ტრევორ გრემი ელიტარულ სპორსტმენებს ყოველთვის ამარაგებდნენ აკრძალული პრეპარატებით და მათი გამოყენების თაობაზე, რჩევებსაც კი აძლევდნენ მათ. ერედიამ გაზეთს სხვადასხვა მტკიცებულებათა ასლები წარუდგინა. მათ შორისაა საბანკო ანგარიშსწორების ბარათის ასლი, რომელშიც მითითებულია, რომ გრინი ერედიას 10 000 დოლარს ურიცხავს. საქმის მთავარ მოწმეს ასევე გააჩნია წერილობითი მტკიცებულება იმისა, რომ გრინს ორჯერ აქვს ჩაგდებული დოპინგ-ტესტი.

შეგახსენებთ, რომ გრინმა სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადაზე ოქროს მედლები 100 მეტრზე სპრინტსა და 4x100 მეტრზე ესტაფეტაში მოიპოვა და ხუთჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი, ერთხანს კი 100 მეტრზე სპრინტში მსოფლიო რეკორდსაც ფლობდა.

"ნიუ იორკ ტაიმსში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე მყისიერი რეაგირება მოახდინა მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციამ (IAAF), რომელმაც გრინის წინააღმდეგ, დოპინგთან დაკავშირებული ყოველგვარი ბრალდება უარჰყო. სხვათა შორის, ამერიკელი სპრინტერი, რომელიც სპორტიდან შარშან წავიდა, IAAF-ის კეთილი ნების ელჩია და სპორტის დედოფალს პეკინის თამაშების წინ გაუწევს პოპულარიზაციას. IAAF-ის პრესმდივანი **ნიკ დევისი** ამბობს, რომ გრინზე მსგავსი ჭორები მას ოთხი წლის წინაც მოუსმენია, მაგრამ როგორც ყოველთვის, ისინი არ დადასტურებულა.

ბრიტანულ "დეილი ტელეგრაფთან" საუბრისას, გრინმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა ურთიერთობა ერედიასთან, მაგრამ მისგან არანაირი აკრძალული პრეპარატი არ მიუღია. *"ჩემთვის ეს მეტად არასასიამოვნო სიტუაციაა. ბრალს მდებენ იმაში, რაც არასოდეს გამიკეთებია. ჩვენ ამ თემაზე გვისაუბრია, მაგრამ მისთვის არაერთხელ მითქვამს, რომ ამ ჭორებს არ უნდა დაუჯეროს"*, - ამბობს გრინი და დასძენს, რომ თავისი სავარჯიშო ჯგუფის წევრებისთვის არაერთხელ გადაუხდია გასამრჯელო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის დოპინგს იყენებდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/8 ფინალი

### დასავლეთი

**კალგარი (7)-სან ხოსე (2) 4:3**

1:3, 1:0, 2:0

გოლები: 0:1 ქლოუ-3 (ჯ. ტორნტონი-2), 0:2 მარლო-1 (ქლოუ-2, პაველსკი-2), 0:3 დ. მიურეი-1 (ჩიჩუ-1), 1:3 იგინლა-1 (ფანოფი-1, ა. ოკუანი-1), 2:3 ლენგკოუ-1 (იგინლა-3, ნოლანი-1), 3:3 ფანოფი-2 (ჰუსელიუსი-1, ნოლანი-2), 4:3 ნოლანი-1 (ტანგეი-1, სერიჩი-1).

სერია 2:1

### აღმოსავლეთი

**ვაშინგტონი-ფილადელფია 0:2**

0:2, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 უმბერგერი-1 (ქობურნი-1), 0:2 ჯ. კარტერი-1 (ნუბლი-2).

სერია 1:1

**რეინჯერსი-ნიუ ჯერსი 3:4 (ო)**

1:1, 1:2, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 ბრილინი-1 (ეშემი-1, რუპი-1), 1:1 დუბინსკი-1 (იაგრი-1, სტრაკა-1), 2:1 ეივერი-3 (გომესი-4, იაგრი-2), 2:2 ელიაში-1, 2:3 პარიზე-1 (ლანგენბრუნერი-1, მარტინი-2), 3:3 დუბინსკი-2 (სტრაკა-2, იაგრი-3), 3:4 მადენი-2.

სერია 2:1

**ბოსტონი-მონრეალი 2:1 (ო)**

1:0, 0:1, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ლუჩიჩი-1 (სავარი-2, მ. სტიუარტი-1), 1:1 კოსტოპულოსი-2 (სმოლინსკი-2, ბიგინი-2), 2:1 სავარი-1 (მეფერი-1, ვიდემანი-1).

სერია 1:2

## მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. III ეტაპი. პორტუგალიის გრან-პრი

### 125 cc

1. **სიმონე კორსი** (იტალია, "აპრილია") - 40'56''168; 2. **ხოან ოლივე** (ესპანეთი, "დერბი") - +0"299; 3. **ნიკოლას ტეროლი** (ესპანეთი, "აპრილია") - +6"355; 4. **სტივ ბონსი** (აშშ, "აპრილია") - +14"973; 5. **დანი უები** (შვეიცარია, "აპრილია") - +15"532; 6. **გაბორ ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - +15"868.

საერთო ჩათვლა: 1. **სიმონე კორსი** - 59 ქულა; 2. **ნიკოლას ტეროლი** - 42; 3. **ხოან ოლივე** - 40; 4. **შტეფან ბრადლი** (გერმანია, "აპრილია") - 37; 5. **სერხიო გადეა** (ესპანეთი, "აპრილია") - 32; 6. **მაიკ დი მელიო** (საფრანგეთი, "აპრილია) - 29.

### 250 cc

1. **ალვარო ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - 44'34"257; 2. **მარკო სიმონჩელი** (იტალია, KTM) - +7"050; 3. **მიკა კალიო** (ფინეთი, "ხილერა") - +7"063; 4. **თომას ლუტი** (შვეიცარია, "აპრილია") - +12"998; 5. **ჰიროში აოიამა** (იაპონია, KTM) - +14"666; 6. **იუკი ტაკაჰაში** (იაპონია, "ჰონდა") - +18"498.

საერთო ჩათვლა: 1. **მიკა კალიო** - 57 ქულა; 2. **მატია პაზინი** (იტალია, "აპრილია") - 45; 3. **ექტორ ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - 39; 4. **იუკი ტაკაჰაში** - 37; 5. **ალვარო ბაუტისტა** - 35; 6. **ჰიროში აოიამა** - 24.

### მოტოგრანპრი

1. **ხორხე ლორენსო** (ესპანეთი, "იამაჰა") - 45'53"089; 2. **დანიელ პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - +1"817; 3. **ვალენტინო როსი** (იტალია, "იამაჰა") - +12"723; 4. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, "იამაჰა") - +17"223; 5. **ჯონ ჰოპკინსი** (აშშ, "კავასაკი") - +23"752; 6 **კეისი სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - +26"688.

საერთო ჩათვლა: 1-2. **დანიელ პედროსა, ხორხე ლორენსო** - 61 ქულა; 3. **ვალენტინო როსი** - 47; 4. **კეისი სტოუნერი** - 40; 5. **ჯეიმს ტოუსლენდი** (ბრიტანეთი, "იამაჰა") - 29; 6. **ლორის კაპიროსი** (ესპანეთი, "სუძუკი") - 26.

## TV სპორტი

### 15 აპრილი. სამშაბათი

#### I არხი

11:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ვიგანი.
14:05 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:05 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:50 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
18:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
19:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:25 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:25 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ჰამბურგი (LIVE).
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:05 სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
07:35 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
08:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
10:53 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:30 ბალახის ჰოკეი. ოლიმპიადის შესარჩევი. ქალები. ესპანეთი-უკრაინა. ბაქო. აზერბაიჯანი (LIVE).
15:25 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასი. II დღე. კოტბუსი. გერმანია.
18:20 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
18:32 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:58 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
19:25 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
19:36 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:43 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ჰამბურგი (LIVE).
00:08 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. IV მატჩი. ოტავა-პიტსბურგი.
02:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-სევილია.
03:43 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:34 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. IV მატჩი. დალასი-ანაჰაიმი (LIVE).

#### EUROSPORT

10:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
11:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
12:45 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 48 კგ. იტალია.
13:15 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. პარიზი-რუბე. საფრანგეთი.
14:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:45 სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
17:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 53 კგ. იტალია (LIVE).
18:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 48 კგ. იტალია.
19:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 58 კგ. იტალია (LIVE).
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 58 კგ. იტალია (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 56 კგ. იტალია (LIVE).
00:00 პროფესიული კრივი.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ჰამბურგი (გერმანია)-სიუდადი (ესპანეთი).
13:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ბარსელონა (ესპანეთი)-კილი (გერმანია).
17:00 ავტოსპორტი. Speedcar Series. I რბოლა. დუბაი. საემიროები.
17:30 ავტოსპორტი. Speedcar Series. II რბოლა. დუბაი. საემიროები.
18:00 ბილიარდი.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
20:45 ახალი ამბები.
21:00 ავტოსპორტი. ლე მანის ამერიკული სერია.
21:30 ახალი ამბები.
21:55 სერფინგი. ნორვეგია.
22:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. "რვათა ფინალი". ფინალი. ტურინი. იტალია.
23:00 ავტოსპორტი. Speedcar Series. დუბაი. საემიროები.
00:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ინგლისი

**ჩელსი-ვიგანი 1:1**

**ჩელსი:** ჩეხი, ბელეტი, ბრიჯი, ტერი, ესიენი, ალექსი, ბალაკი, ობი მიკელი (90. შევჩენკო), მალუდა (46. ჯ. კოული), ანელკა, კალუ.

**ვიგანი:** კირკლენდი, ბოისი, მელხიოტი, შარნერი, რ. ტეილორი (79. კინგი), სკოკო (56. კუმასი), ვალენსია, პალასიოსი, ბენტი (64. სიბირსკი), ჰესკი.

**გოლები:** 1:0 ესიენი (55), 1:1 ჰესკი (90)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 19(10)-6(5); **კუთხური:** 9-3; **თამაშგარე:** 4-5; **ჯარიმა:** 10-17; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 40 487

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ | 34 | 25 | 5 | 4 | 72-18 | 80 |
| 2. ჩელსი | 34 | 22 | 9 | 3 | 59-24 | 75 |
| 3. არსენალი | 34 | 20 | 11 | 3 | 64-29 | 71 |
| 4. ლივერპული | 34 | 18 | 12 | 4 | 60-26 | 66 |
| 5. ევერტონი | 34 | 18 | 7 | 9 | 50-28 | 61 |
| 6. პორტსმუთი | 34 | 16 | 9 | 9 | 47-33 | 57 |
| 7. ასტონ ვილა | 34 | 15 | 10 | 9 | 62-44 | 55 |
| 8. მანჩესტერ სიტი | 34 | 14 | 10 | 10 | 39-40 | 52 |
| 9. ბლექბერნი | 34 | 13 | 12 | 9 | 44-42 | 51 |
| 10. ვესტ ჰემი | 34 | 12 | 8 | 14 | 35-41 | 44 |
| 11. ტოტენჰემი | 34 | 10 | 11 | 13 | 63-57 | 41 |
| 12. ნიუკასლი | 34 | 10 | 9 | 15 | 40-58 | 39 |
| 13. მიდლსბრო | 34 | 8 | 12 | 14 | 31-48 | 36 |
| 14. სანდერლენდი | 34 | 10 | 6 | 18 | 33-52 | 36 |
| 15. ვიგანი | 34 | 9 | 8 | 17 | 31-48 | 35 |
| 16. რედინგი | 34 | 9 | 5 | 20 | 37-63 | 32 |
| 17. ბირმინგემი | 34 | 7 | 10 | 17 | 39-52 | 31 |
| 18. ბოლტონი | 34 | 7 | 8 | 19 | 31-52 | 29 |
| 19. ფულჰემი | 34 | 5 | 12 | 17 | 32-56 | 27 |
| 20. დერბი | 34 | 1 | 8 | 25 | 16-74 | 11 |

#### ჩემპიონატი

**უენსდი-პლიმუტი 1:1**

#### საფრანგეთი
##### II დივიზიონი

**ნანტი-ბულონი 3:0**

#### პორტუგალია

**ბრაგა-ლეირია 0:1**

#### დანია

**ვიბორგი-ჰორსენსი 1:3**

#### ნორვეგია

**ბრანი-სტრომსგოდსეტი 1:1**

#### შვედეთი

**კალმარი-გაის 4:0**
**სუნდსვალი-ლიუნგსკილე 4:0**
**ჰამარბიუ-აიკ 1:1**

##### II დივიზიონი

**ლანდსკრონა-ენჩოპინგი 3:1**
**იორგრიტე-ბუნკეფლო 0:0**

#### შვეიცარია
##### ჩელენჯლიგა

**შაფჰაუზენი-ბელინცონა 2:0**

#### თურქეთი
##### II დივიზიონი

**საქარია-ანთალია 0:1**

#### ჩეხეთი

**მოსტი-ბოჰემიანსი 2:4**

#### სლოვაკეთი

**სლოვანი-ჟილინა 0:0**

#### უნგრეთი

**კაპოშვარი-ზალაეგერშეგი 0:2**

#### რუმინეთი

**გლორია (ბუჟ)-გლორია (ბის) 1:0**
**სტიაუა-უნივერსიტატეა (კლ) 4:0**

### ჰოკეი

#### ჩეხეთი

**კარლოვი ვარი-სლავია 4:1**

#### შვედეთი

**ჰვ71-ლინჩოპინგი 5:1**

### ჩოგბურთი

#### ATP. ვალენსია

მონფილსი-მ. გონსალესი 6:3, 6:4
დარცისი-გარსია ლოპესი 4:6, 0:6
ჰორნა-ზვერევი 3:6, 7:6, 4:6

#### ATP. ჰიუსტონი

იანგი-ვისენტე 6:3, 7:6
ბერლოკი-არმანდო 3:6, 6:4, 5:7
ოდესნიკი-დელიჩი 6:3, 6:3

#### ATP. ეშტორილი

ჟიკელი-პაშანსკი 6:4, 6:3
მინარი-ვასალო არგელო 7:5, 6:1
მაიერი-გაბაშვილი 5:7, 5:7
სიმონი-კარანუშიჩი 7:5, 7:5
ჟილი-მაუ 6:0, 6:3

#### WTA. ჩარლსტონი

დულკო-მოლიკი 6:2, 6:3
კრისტეა-კინგი 7:6, 5:7, 6:1
როული-სუნი 6:2, 6:7, 2:6
ერანი-დიტი 6:2, 6:3
დელაკუა-სალერნი 7:5, 6:4
ჟიდკოვა-სტივენსონი 6:7, 1:6
სრებოტნიკი-ბაშჩინსკი 7:6, 6:3
შავაი-ფედაკი 6:0, 7:6
ჩანი-სტრიუკოვა 3:6, 2:6
ვოზნიაკი-დომინგეს ლინო 1:6, 1:6
ზვონარევა-ჩუანგი 6:2, 6:2
ა. რადვანსკა-დომახოვსკა 6:4, 4:6, 6:3
სუგიამა-მორიტა 6:4, 6:1

#### WTA. ეშტორილი

კნაპი-პიედადი 6:3, 6:0
პირონკოვა-დუბუა 6:0, 6:1
არვიდსონი-ოსტერლო 7:5, 6:4
ზაკოპალოვა-როდინა 7:5, 3:6, 6:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ATP-ის ტური

# საინტერესო სეზონი

2008 წლის სეზონი სადლაც სამთვენახევრის გახურებულია, თუმც გარკვეული დასკვნების გამოტანა მაინც შეიძლება. რამდენ ხანს გასტანს როჯერ ფედერერის უტიტული სერია? დაიბრუნებს თუ არა სტაბილურობას ნოვაკ ჯოკოვიჩი, რომელსაც ორი დიდი ტურნირი კი აქვს მოგებული, მაგრამ ორ ჩემპიონატში მეორე წრესაც ვერ გასცდა და ფედერერთან ჰანდიკაპის შემცირების შანსიც ხელიდან გაუშვა. მიმდინარე სეზონში უკვე ხუთმა ჩოგბურთელმა მოახერხა ორი ან მეტი ტურნირის მოგება, მათ შორის კი ჯოკოვიჩიცაა, რომლის ანგარიშზეც... მოდით, საინტერესო ფაქტებს ერთად გადავხედოთ.

## ნოვაკ ჯოკოვიჩი

მოიგო კარიერაში "დიდი სლემის" პირველი ტურნირი (ავსტრალიაში), წინა თვეს კი, ინდიან უელსში მასტერსზე მესამე ტრიუმფი იზეიმა. 20 წლის სერბი დამდეგ სათიხნარო სეზონს 17 მოგებითა და 4 წაგებით ხვდება.

## ენდი როდიკი

როდიკმა 23 მატჩიდან 19 თავის სასარგებლოდ დაასრულა და ამ ეტაპზე, მის ანგარიშზე ორი ტიტული (სან ხოსე და დუბაი) მოდის. როდიკმა უკვე მოასწრო რეიტინგის პირველი სამი მოთამაშის (**ფედერერი, ნადალი, ჯოკოვიჩი**) დამარცხება და ზედიზედ მერვე სეზონია, 25 წლის ამერიკელი მინიმუმ ერთი ტურნირის მოგებას მაინც ახერხებს.

## ენდი მარეი

დოჰასა და მარსელში გაჩემპიონება კარგია, მაგრამ მარეი მაინც არასტაბილურია. სეზონის 10 მოგებით (და ერთი წაგებით) დაწყების შემდეგ, მან შემდეგი 8 შეხვედრიდან მხოლოდ ოთხი მოიგო და 2006 წლის 14 აგვისტოს მერე, პირველად გავარდა საუკეთესო ოცეულიდან.

## ნიკოლას ალმაგრო

ძალიან კარგ ფორმაშია და უკვე მოასწრო ორი ტურნირის მოგება (კოსტა დე საუიპე და აკაპულკო). წელს, ესპანელს თიხნარზე, ჯერჯერობით, საუკეთესო შედეგი აქვს - 14 მოგება და ერთადერთი წაგება. 22 წლის ალმაგრო ვალენსიაში ამ ტურნირის ზედიზედ მესამედ მოგებას ეცდება.

## მიხაელ ლოდრა

უნიჭიერესმა ფრანგმა სეზონი თებერვალში, ადელაიდაში ტურნირის მოგებით დაიწყო, შემდეგ კი, იმავე თებერვალში როტერდამის მთავარი ჯილდოც მოიპოვა. 27 წლის ლოდრა ერთეულთა რეიტინგში 92-ე პოზიციიდან 41-ე ადგილამდე აღზევდა.

## კეი ნიშიკორი

დელრეი ბიჩზე, იაპონელმა სენსაციამ კვალიფიკაცია გაიარა, შემდეგ კი ნახევარფინალში, **სემ ქუერისთან** დაპირისპირებაში ოთხი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, გადამწყვეტ მატჩში კი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჰარდის მოთამაშე, ამერიკელი **ჯეიმს ბლეიქიც** დაამარცხა.

## სემ ქუერი

უძლიერესი მოწოდებისა და ძალიან კარგი ბექჰენდის მქონე ამერიკელმა, ლას ვეგასში კარიერაში პირველი ტურნირი მოიგო, ნახევარფინალში კი ლამაზი, თითქმის უშეცდომო თამაშით, გამოცდილი არგენტინელი **გილერმო კანიასი** დაამარცხა.

## კევინ ანდერსონი

**უეინ ფერეირას** მერე, სამხრეთ აფრიკას ასეთი ძლიერი მოთამაშე არ ჰყოლია. ანდერსონმა ეს ლას ვეგასის ტურნირის ფინალში გასვლით დაამტკიცა, მერე კი მაიამის მასტერსზე ტურნირის მთავარი სენსაცია დააფიქსირა, როდესაც მესამედ განთესილი ჯოკოვიჩი გამოთიშა ასპარეზობას.

## სერგეი სტახოვსკი

ძლიერი მოთამაშე უკრაინასაც ჰყავს. სტახოვსკიმ ზაგრებში, საკმაოდ ძლიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებული ტურნირი მოიგო. არადა, იგი ძირითად ბადეში მხოლოდ მას მერე მოხვდა, რაც კვალიფიკაციაზე მისმა ერთ-ერთმა მძლეველმა ტრავმა მიიღო და უკრაინელს გზა გაუნთავისუფლა. სტახოვსკიმ ტურნირზე ერთბაშად ორი ფავორიტი - მასპინძლები **ივო კარლოვიჩი** და **ივან ლუბიჩიჩი** დაამარცხა და 262-ე პოზიციიდან რეიტინგში 126-ე ადგილამდე აინაცვლა.

## დავიდ ნალბანდიანი

დაბოლოს, არგენტინელის კარგი სტარტიც გამოვყოთ - მან 11 შეხვედრიდან მხოლოდ 1 წააგო და უკვე მოასწრო ბუენოს აირესის ტურნირის მოგება და აკაპულკოში ფინალში გასვლა. ნალბანდიანი თავის საყვარელ სათიხნარო სეზონს საუკეთესო ფორმაში ხვდება.

**ზურაბ თალაკვაძე**



ჯოკოვიჩს სტაბილურობა სჭირდება

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# მარიამ თიხნარი აითვისა



ამელია აილენდის ტურნირამდე, **მარია შარაპოვას** კარიერაში 18 ტიტული ჰქონდა მოგებული, მაგრამ რუს ჩოგბურთელს აქამდე თიხის საფარიან კორტზე არასოდეს გაემარჯვა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ უმეტეს შემთხვევაში, ის, ვინც ჰარდსა და ბალახზე თამაშს არის ნაჩვევი, გრუნტზე წარმატების მიღწევა უჭირს. მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. **როჯერ ფედერერის** კოლექციაში ყველანაირი ტიტული მოიპოვება, გარდა ერთისა - ფენომენალური შვეიცარიელი ვერაფრით ახერხებს როლან გაროსის დაპყრობას, რომელიც თიხნარზე იმართება. არც ლეგენდარულ **პიტ სამპრასს** მოუგია კარიერაში საფრანგეთის ღია პირველობა.

შარაპოვას თიხნარზე თამაში, მაინცა და მაინც, არ მოსწონს. საფრანგეთის ღია პირველობის შარშანდელი გათამაშების შემდეგ, სადაც ნახევარფინალში **ანა ივანოვიჩთან** წააგო, ის გრუნტზე მხოლოდ ერთხელ გავიდა. ახლა კი, რუს ჩოგბურთელს სერიოზულად აქვს განზრახული როლან გაროსის დაპყრობა და ამიტომაც თიხნარის სეზონი ნაადრევად დაიწყო. რაც მთავარია, წარმატებით.

თიხნარზე თავისი პირველი ტრიუმფის სანაცვლოდ, მარიამ 95 ათასი დოლარი და 275 სარეიტინგო ქულა მიიღო, რომლის წყალობითაც რეიტინგში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამელია აილენდზე შარაპოვა შორს იყო თავისი იდეალური სპორტული ფორმისგან. რუსს ძალიან გაუჭირდა მეოთხედფინალში უკრაინელ **ალიონა ბონდარენკოსთან**, რომელსაც სამ სეტში, დიდი ბრძოლის შემდეგ მოუგო. ნახევარფინალში მარიას **ლინდსი დავენპორტის** სახით სერიოზული გამომცდელი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ ამერიკელმა ტრავმის გამო ვერ შეძლო კორტზე გასვლა.

ფინალში კი, რუსს 19 წლის **დომინიკა ციბულკოვასთან** მოუწია შეხვედრა. მართალია, ტურნირის შემადგენლობა საშუალოზე დაბალი იყო, მაგრამ ამ სლოვაკის ფინალში გასვლა დიდ მოულოდნელობად მოინათლა. გადამწყვეტ მატჩშიც, ციბულკოვა ბოლომდე ებრძოლა ტიტულოვან მოწინააღმდეგეს, პირველი სეტის ტაი-ბრეიკში 4:2 დაწინაურდა და მხოლოდ გამოუცდელობის გამო დათმო პარტია.

მეორეში კი, სლოვაკი 2:1 იგებდა, როცა ზურგის ტრავმის გამო კორტზე ექიმის გამოძახება დასჭირდა. ამის შემდეგ, ციბულკოვა ნახევარი ძალით თამაშობდა (ყოველ შემთხვევაში, ასე განაცხადა მან მატჩის შემდეგ) და მომდევნო 6 გეიმში მხოლოდ ერთი ქულა მიითვალა.

ფინალში შარაპოვამ მისთვის უჩვეულოდ ბევრი - 33 უნებლიე შეცდომა დაუშვა და ამას მოწოდებაზე 5 ორმაგი შეცდომაც დაუმატა. მიუხედავად ამისა, გამარჯვება მაინც მის მხარეზე იყო. ბრწყინვალეა ამ სეზონში მარიას მოგებათა პროცენტული მაჩვენებელი - 23 მატჩში 22 გამარჯვება. თანაც, შარაპოვა 2008 წელს პირველი ჩოგბურთელი გახდა, ვისაც უკვე სამი ტიტული დაუგროვდა (ამელია აილენდის გარდა, ავსტრალიის ღიასა და დოჰას მთავარი პრიზები).

**გია თვალაბეიშვილი**

| WTA |
|---|
| Bausch & Lomb Championships |
| ამელია აილენდი (აშშ). თიხნარი |
| **საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი |
| **ფინალი** |
| შარაპოვა (რუს, 1)-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 7:6(7), 6:3. |

ახალი ამბები

# ანას მარკა მიუძღვნეს

სერბეთში პეკინის 2008 წლის ოლიმპიადისთვის მიძღვნილი ახალი საფოსტო მარკა გამოუშვეს. მასზე გამოსახულია ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის მეორე ვარსკვლავი ანა ივანოვიჩი.

*"ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. დაჯერებაც კი მიჭირს. ვერ წარმოვიდგენდი, რომ მსგავსი რამ ამ ასაკში შესაძლებელი იქნებოდა. არანორმალური შეგრძნებაა"*, - განაცხადა ანა ივანოვიჩმა ამ სასიამოვნო ამბის გაგების შემდეგ.

მარკა 40 დინარის (დაახლოებით 0.78 დოლარი) ნომინალისაა და მისი ჩვეულებრივ მარკად გამოყენება შეიძლება. ის შეზღუდული ტირაჟით (30 ათასი) დაიბეჭდა და ხმარებაში 10 აპრილს გამოვიდა.

მარკის ზომაა 35x31.9 მილიმეტრი. ის სპეციალურ კონვერტთან ერთად იყიდება, რომელზეც ასევე ივანოვიჩის ფოტოა გამოსახული.

**გია თვალაბეიშვილი**




# როდიკი საუკეთესო მომწოდებელია

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ ამ სეზონში გამართული ტურნირების მიხედვით, ეისებს შორის ლიდერი ჩოგბურთელების მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა. ამ სიას კვლავინდებურად ამერიკელი ენდი როდიკი უდგას სათავეში, რომელსაც 22 მატჩში 320 აუღებელი მოწოდება დაუგროვდა.

მეორე ადგილზეა როდიკის თანამემამულე **სემ კუერი** - მანაც 22 მატჩი ჩაატარა და მის ანგარიშზე 239 ეისი მოდის. პროცენტული შეფარდებით, გაცილებით უკეთესად აქვთ საქმე ავსტრალიელს **კრის გუჩიონეს** (235) და ხორვატ **ივო კარლოვიჩს** (230). მათ ამ სეზონში 14-14 შეხვედრა აქვთ ჩატარებული.

რაც შეეხებათ ATP-ის ლიდერებს, მათი მაჩვენებელი საკმაოდ მოკრძალებულია: **როჯერ ფედერერი** მე-15 ადგილზეა, **ნოვაკ ჯოკოვიჩი** მე-18-ზე, ხოლო **რაფაელ ნადალი** - 38-ე პოზიციაზე.

**გია თვალაბეიშვილი**